




ს რ ი ლ ი

№8-9 (194-195) საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

თქმობები-წიგნები
ფასი 1.50 ლარი

1134
2003



#8-9
2003

არლი

საზოგადოებრივი-ლიტერატურული
ასოციაცია "არლის" გამოსევა

The Literary Magazine ARILI

არლი - დასავლეთელი სიწმინდე(ნი)
სულხან-საბა

არლი - შხის შუკი, რამეზე დამდვარი
ძარღული ენის
განმარტობისი ლეიტმოტივი

მთავარი რედაქტორი
შადიგან სამანაძე

სარედამციო საბჭო

მალხაზ ხარბედია
(მთრედაქტორის მოადგილე)

ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრაღიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიცნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
ზვიად რატვიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

მენეჯერი - ნანა ჩხვიმიანი
ჟოგირციული დირექტორი -
გიორგი სუბარი

ჟოგირციული უზრუნველყოფა
თამაზ ჩხიძე
ელისო კალმახელიძე
მანანა კორძაძე

ტელ/ფაქსი: 98-84-00

e-mail: kharbedia@yahoo.com

მისამართი: ლესელიძის ქ. №4

ფურალი იბეჭდება ჯაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე



№8-9, ოქტობერი-ნოემბერი, 2003

ლიტერატურა

თამარი ფხაკაძე სანამ დავიძინებავ.....	1
გელა ჩქვანავა აურსაური	20
ელა გოჩიაშვილი ლესეიანი.....	29
ჯუანშერ ტიკარაძე ლესეიანი.....	31
ბესო ხვედელიძე ძალღური ცხოვრება.....	32
ჰარუკი მურაკამი ტყუბანი და ჩაძირული კონტინენტი.....	39
ჟან-ლუკ ლეგრანი სიყვარულის ამბავი.....	45
მანანა მენაბდე ხუთი სონეტი სარის მიბავიძის.....	52
ვახტანგ კომახიძე პაპრუხანა ვაშრაძე	53
თეონა დოლენჯაშვილი კიარა - სხვანადირი აღმავანი.....	56

პერსონა

სტივენ კინგი ცხოვრება ბრძელდება	59
სტივენ კინგი პარვის სიყვარული.....	63

უპულისისტიკა

ნუგზარ პაპუაშვილი ნაციონალური მისტიციზმი ეკლესიასა და სახელმწიფოში	68
--	----

თამარი უსკაპა

სანამ

დაბავშიაბეზენ...

მალე გამომცემლობა "დიოგენე" თამარი უსკაპის მოთხრობების კრებულს გამოსცემს. ავტორის ძველ ნაწარმოებებთან ერთად წიგნი შევა "არილის" დღევანდელ ნომერში წარმოდგენილი მოთხრობაც.

როგორღაც ისე მოხდა, რომ დავიბადე. მერე გვარინად ანეწილ-დანეწილი ცხოვრება გავწვლე, უფრო სწორად, განწოვლე აქეთ, აი, ამ მოუსაფარი დღევანდელი დღისკენ და მოკლედ, გახლავართ გიორგი (გიო) ობოლაძე და ცხოვრება მაინც მიხარია, რა ვიცი.

ა, ბატონო... ხუთწლიანი განწოვრების შემდეგ ჩამოვედი ჩემს თბილის-ქალაქში. ისევ შინ ვარ. ვდგავარ ფანჯარასთან და გავცქერი სხვა ყველა სიკეთესთან ერთად ჩემი ბავშვობის ფონდაც ნაგარგებ ხედს. წინ - სახლი. შუაში - ქუჩა. აქეთ-იქით ქაღერები. ზემოთ - ცა. და ყველაფერში - შემოდგომა. სასუფ. ძლიერად. და ნაღვლიანად...

ავდგები ახლა და ბიჭებთან გადავრეკ-გაღწორეკვაც თუმცა, ვისთან? ზოგი შტატებში, ზოგი - შტატგარეშე... ევროპა-ზაზაში... ზოგი საერთოდაც აღარაა... აღარ არიან ბიჭები, რა.

მამუკასთან დავრეკვ. ეგ, ვიცი - აქაა. გავალთ სადმე, ჩავეჯდებით. ვრეკვაც.

- ვაა... გციოოო?! რო-ოდის ჩჩამოხვედი, ძმაო... დღე-ეს?! ვაა... რო-ოგორ დღაგვეკარგე, შუქჩემბა... სად ხარ! ვაა, რა გგამხარე, ტოოო...

სალამოს უკვე ბარში ვართ. რაღაც-რაღაცებს ვწრუპავთ. რაღაც-რაღაცებს ვაყოლებთ...

- კვარონე, იისეგ მიდიხარ... ა-არ იშლი - მეუბნება მამუკა.

- ერთ-ორ დღეში ნავალ, შო... რა ვიცი, მაგრამ შეეჭვი...

- კიიი... ვააია, რრაზა ლა-აპარაკი, მარა... თთბილისელი კა-აცი ხარ მაინც... მშინც, მამენტ, ა-არ გიჭირს? მე-ერთფერია მაინც, რაიი... სოფელი...

- კარგია.

- კიიი... ტოო... რ-აზა ბაზარი... კა-აია, მარა... მის-ნაველებო, არა? გგვიო მაასნ... რამე...

- შო, რა...

- აუ, დღედას გე-ვიცივები, გიუმი მეც დავხვევდი, რა! სსუ ბარი, ტოო... სსსუ კა-ვედ ტოო... სუ ეს ტტრინ-გიცა-ტტრინ-ინგიცა ნაშები, ტოო... მარა, ძძმაო... ნებისყოფა თქვი შენ. ხსო უუნდა ადგე, მამენტ... გა-ადანყვიტო. ჩჩე-მოღანი ჩჩაა-ლაგო... ტტრიაებს ხელი დდაუქნო... ესე აი... აადიოს, რამე! ა-არვიდდდდდდრჩი... ბააი! გიუმი, შშენ ყო-ველთვის გტონდა რრაა... ეეგ ააბავი... ნებისყოფაზე გე-უხენი...

ნელ-ნელა ვთვრებით.

- გგუუ... კაროო, ძძროხები და რამე არა? ქქორორი შუბლზე აქვს მიწებებული. ჩჩამოცა - ი-ისე ძძმაოო, ძძროხები, მამენტ, აქაც იჩითებიან. ევრე არ გგეონოს შენ ესხა... შო, რაა. რაღაცეცები აქაც იჩითებიან. ძძაღლები - იჩითება, იანსია. ძძროხებიც. ა-აი, გიუმი, ესხა რო შშემოდის, ორი ნაშა. აი, ის... შშეთმიანი. ნაწე, რა საკაიოო ღიბი გადმოუგდია, ტოო... ორა ვჯიქანი, ტოო... გეუბნები გიუმი, ძძროხები ა-აქაც იჩითება-მუთქი... და ვაფემ. კკა-მჭებიც, ძძმაო... და დლორებზე ხო... ბაზარი არაა... ტტელევიზორშიც ი-იჩითებიან... აუ, დდაეთვერი გიუმი... მშაგ-რა მი-იყვარინარ, რო იცნოდე... როსთავალს მივეუყვებით.



- სო-ოფელი რა, გიუმი... სსხვანარია? პროსტო, ბბა-ლაზია და რამე... რუსთაველია და ბალახია ზედ ამისუფლი... ე-ეზლა აქ რა, გიუმი? ბალახი აკლია... ამოვა და, სსოფელია, რა!

მამუკა ასე გავიცანი.

ის დრო იყო, მოკლედ - ამაზე ბევრად დუხჭირი. პუერი არა, ფული არა, ტრანსპორტი არა, შუქი არა, გაზი არა, ეს არა, ის არა... სსროლა. რეკვტი. და შიგადაშიგ პატარა "ჭირში ლხინები", იმ ბაბუთს არაბის არ იყოს. შოდა, ერთი პატარა სუფრაა სადაღაც. ვასიკო და მე ვართ პატარა წრეში. ახალგაზრდები არიან სულ. ახალ-გაზრდობაჩამარბეულები. ვართ სადაღაც, ერთი ბედკრული საბიუჯეტო დანქსებულების ერთ ჩამონგრეულ ოთახში... თონის პური გვაქვს, შოკოლადი, ლიქიერი, კონი-აკი და ყურძენი. გოგოები არიან. ერთი - პოეტია, ორი - ასპირანტი. ბიჭები არიან. ორი, ვასიკოს ძძაგაცია, აფხაზეთიდან. ორი - რაბაგისია. ერთი სამცხე - თვითონ ვასიკოც რომ არ იცნობს. ორი პლასტმასის ჭიჭა დადის წრეზე. ერთი წრე ჯერ არც დარტყეულია - ბვეერი ვართ. რიერობობით უნდა ვთქვათ სადაღვრძელოები. ვისაც რა უნდა.

მე ხომ ანეკდოტების მოყოლის გივი ვიყავი. შუა სროლაში მოგიყვებოდე... შოდა, ანეკდოტს ვყვირი ენაბლულზე, თელავის მატარებელს რომ ელოდებდა.

- თითოეთითელოლაულაუსი მატ-მატ-ტაუ-ტაუ-ტაუ-რეხელი და... ვარ ერთ ეთფორიაში. რაღაც ვერ გავიცინეს მზლად ისე. ნავიდა სუფრა... შოდა, დალვის რიგი იმ ბიჭზე მიდგა, ჩემს წინ რომ იჯდა. ვასიკოც რომ იცნობდა. აქამდე ხმა რომ არ ამოუღია. შოდა,

საქართველოს
კარგადმეცხვის

მასტი ამბობს: - აად-აად-აადამიანობას გა-გაუმარჯოს...
 და დალია. ესაა რა - მამუკა.
 ჩამოვარდა სიჩუშე. ნალდად მჭენი დამეცა. მარა, არ შე-
 ვიწმინე. შოდა, ერთსაც მოვეყვას მეთქი... მოვეყვი რალაც
 საკაფიო ანეკდოტი. გაიცინეს. ამასაც გაეცინა. რალაცნა-
 ირად, უბოროტოდ. მერე, ისე მოხდა რო, მაგრად დაძვ-
 მავადციდა.

ისე, წესით, მე და მამუკას უფრო ადრეც უნდა გაგ-
 ვეცნო ერთმანეთი. სოსხუმიდან ერთ დღეს ნამოუსულვარი.
 ერთად გვივლია სვანეთზე. მამუკასაც ბოლო დღეს დაუ-
 ტოვებია სოსხუმი. ესეც მაშინ მოსვლია, ნერვიულ სტრეს-
 ზე - ენის დაბმა. მაგრამ - იოლად უყურებს. აფხაზეთს
 რომ დავიბრუნებთ, ესეც, ისევე სტრესზე - გამივლისო. და
 სულ ელოდება, რომ დაუძახებენ: ნამო, მამუკ, დავიბრუ-
 ნითო... სულ მაგას ელოდები.

- ვაა, გგოუმ. მე ისევ იოტა ვარ, ტოო...
 ოპერის ბაღში ვართ. ღმერთმა იცის, ვნელ-ღვებით თუ
 პირიქით, უფრო გვეკვიდება. მამუკას თეელი ქურთულა ჩა-
 უღლიდა. შემოქმედებითად გასცქერის რუსთაველს.

- ა-აზზე მოდი, გგოუმ... რა გამოიღის. ყველა იოჩი-
 თება... ძძროხობა... ძძალოობა... ღღობობა, ვრამე... კა-
 ანჭერბო... ვაა! შუენ რისთვის ნა-ახვედი სოფელში, ტოო...
 ესლა უფრე... პეტუბებიც იოჩითებიან, რო იცოდე. და
 ბბატები? ბატების ყყი-ყინი, ტო? ღღუოიო სესია აიღე,
 ძძმაო... გინდა, ვაფშე... პა-არღამენტის... გინდა, რა ვი-
 კაროზე, ბატებიც იოჩითებიან. ვინ დარჩა გგოუმ? თხები?
 თხები ო-ოხარად, ძმაო... ჯჯოოგებად და-ადიან, სიმონ...
 კკაი ნაშები არიან, მარა... თხები! აზზე მოდი, გგოუმ!

- შენ ვინ ხარ? - ვეკითხები მე.
 - მმე? მე... მე ვარ. გოუმ, ხხო იცი, უ-უბანს ვუყუ-
 რებ... რა ქვია ამას...
 - მეველე.
 - ისინია. მეველე ვარ. დავითვერი, გგოუმ. და, ისა,
 ბბრიგა-დირი ხხო არ ვარ?
 - აა. მეველე ხარ.
 - ბბრიგა-დირობა ა-არ მევასება, რალაც!
 - შო.

- მე-ველე, ვერე ჩემსავით უუბანს უყურებს, გოუმ?
 - შო. ვენახში არაინ გადავიდეს. ყანაში ძროხები არ
 შეიპარონ...

- აუუუ! ასინია ძძმაო... მმამარია... უუბანი და ვე-ენ-
 ახი და... რამე? ვინმე რამე არ მი-იქაროს, არა გოუმ?
 - შო.

- მეველე! ჰ!
 ქვედა ტუჩი ამოატრიალა და ფილოსოფიურად გამ-
 ტერდა.

რუსთაველზე ღამის ცხოვრება იწყებოდა. ანეთო, აც-
 იმტობდა ფერად-ფერადად რეკლამები. მუსიკა ყრუდ მო-
 უწანდაა აქეთ-იქიდან.

- ტტო-ოტალიზატორები არი, იქ გოუმ?
 - არა.

- ვაა... -- საფეოკლი მიეცა.
 უინჟელა დაინყო.

- და, აბა, რრა არი, გოუმ?
 - არფერი. შინა არი, მამუკ... ბუნება. ადამიანები.
 განვიმდება - ტტალხია ხან - გვავაა. მდინარეა. სკო-
 ლაა. არი, რა.

თვლები მოვუჭე. არა, ვერანაირი ქართულით ვერ
 აუფსნი, იქ რაა. უღღური ვარ.

- რო მონვიმს მამუკ, მინის სუნია...
 - ა-აქ ასფალტის.

- შო. აქ ასფალტის.
 აა. ვერაფერს გადმოვეცი. ჰ! და მე მინდა წერა?!

შო, მართლა, წერა...
 - მამუკ, რალაცების წერა დაინწყე
 - ლექსების?
 - არა, მოთხრობების.
 - ლექსების ა-არ მჭერა, რალაც.
 - მოთხრობებს ვწერ.

თავი გვერდულად ამოატრიალა ჩემსკენ და დამაკვირ-
 და.

კარგა გვარიანად ცრიდა უკვე ციდან. სინნელში ბას-
 რად ელადა უწერილენი წვეთები. არ გვიწოდდა ნასე-
 ლა. კარგად ვისხედით.

- ისინია. და-ანწერი შუენ.
 მხრები ავიჩქე.

- აბა, იმენა, ვა-აჟა ფშპველასავით იქნები... დდანერ,
 ჩჩჩა-ამოიტან. დდანერ... ჩამოიტან... ა-აქ კიდე, გა-აგისხუ-
 რებენ...

ვერსადროს, ვერსადროს, ასი წლის მერეც ვერ დავი-
 ვიწყებ იმ ანეკდოტს, მაშინ რომ მოვროშე... ვერსადროს
 გასმეყვიდი იმ ტკივილს, მაშინ რომ მივაყენე... მე სულ
 ასე მგონია, თვითონ ვინ იცის - აღარც ასსოვს. მაგრამ
 მე კი სულ ასე მგონია, გულში მყავს დაჭრილი თქო...

ვზივარ. წვიმს. შეიყუჟა ხალხი შიგინთ, სახლებში,
 კაფე-ბარებში... უბედოო ჩიტებივით ვართ. ვინრო სკამზე
 ჩამოსხმდარები. გვანვიმს.

ეს, თურმე, ისევ იმას ფიქრობს.
 - გგოუმ, ვინ იოჩითება კიდე, თუ იცი... ვა-ვაფშე
 მშთავარია. სსო-ოფლის კკოლორიტია...

- ვინ?
 - ც-ც-ცვარი, ტოო! ცცვარის ფარა, სიმონ! აარჩე-
 ნებზე რო, გგოუმ ა-აეგრე, იიმენა, ცცვარის პონტში... რი-
 მიდიან და ა-აძღვრე ამთ... ხმებს... ბე-ე-ე-ე... ხმებს...
 ისე, აასწორებს, რო წწწ... თუ ნალდებს წერ...

- როლიკო საითაა? აეგ წერდა ხოლმე...
 - როლონდა? რო-ოლანდას სსიმღერებს ხალხი მღე-
 რის, სს-სიმონ! წერს რა! უ-უბერავს!

- საითაა.
 - აქეთაა, რა. სსად ნავა. ხხვალე ა-ავადადვო, გინდა,
 გოუმ? სსანამ აქ ხარ, ვა-აკოოროთ, ა?

- ერთი-ორი დღე.
 - ერთი-ო-ორო... ვააბ, ჩემში... ცცვარიც რო-ოგორ გა-
 იჩითა, ამის...

ნელ-ნელა გაუწყვეით გადალუმბულ, სინნელში ფე-
 რად-ფერადად აბრჭყვილებულ რუსთაველს. კარგია
 მართლა შლის ნვიმა ნაკვალევს... კარგია. რაც აქ გასწო-
 ლილი ტყვია ეყარა... კარგია, რომ ნვიმა შლის... ნვიმა
 და დრო...
 სტოპ!

აი, ამ ბართან ხილვები მომდის ხოლმე... კრისტი მე-
 ლანდებ... თავის კნუტიანა...
 "კრისტი..."

ჩემთვის ეგრე ჰქვია ამ ბარს.

* * *

კრისტიან, კრისტი ასე გავიცანი... უფრო სწორად,
 კრისტინა ჯერ რვეიმა გაიცნო. მოკლედ, მიდის მანქანით
 კრანანის სიღვ. გაზაფხულია. ახალი ნაწიმიანია და
 პირანლებს მზეზე წინ ყველაფერი. თვალებს შარის კაცს
 და ამ პრიოლში და ბრჭყვილში ქალი მოდის ასე. გა-
 მოცხადებანასი ხიდის ტროტუარზე. თან არ ქალი! ქალ-
 ღმერთი. შოდა, ტირის ეს ქალღმერთი. ესა, რვეია, გა-
 ლენწადა. გაქანდა, გამოქანდა, დააბრიალა მანქანა და ხი-
 დის ბოლოში ქალღმერთს ზედ იმ ორმეტრიან ფეხებთან
 ნაუჭერა. მანქანიდან არ დაეღაპარავა. გადმოხტა და მი-

ეხლა, ზიგფრიდ-რანდივით. ქალმერთს მხარზე მოთეთრო-მონაცრისფრო კნუტი ევდა და კნაოდა.

რევიამ თქვა:
- დიდი ბოდიში...

და მორჩა. მგზი ვერც ვერაფერი. იმ აცრემლებული ლურჯო თვალების სიღრმეებში ჩაიხრჩო და ზედ ფსკერზე განერთო.

- ჩემი სუჭი... ჩემი ფსუფორტი... - თქვა ქალმა.

რევიამ ცოტა ამოყვინთა.
- გაგპურდეს?

- Да... все забрали, რა...
და რევიამ გადაწყვიტა ეს ქალი ცოლად შეერთო. ყოველთვის ემოციებით წყვეტდა ყველაფერს.

ერთი კვირის მერე კრისტინა მე გავიცანი. უფრო სწორად, ჯერ რევიას დედამ გაიცნო და მოსახდენიც იქ მოხდა.

მოკლედ, რევიამ გადაწყვიტა დედისთვის სარძლო წაურეგინა. გამოირანჭა ბიჭი. ყველზე ჰალსტუხი, რამე... შამპანური... და როგორც დაგვგმილი იყო, ტაქსი გაუგზავნა კრისტის სახლად, ვარკეთილსკენ და კრისტიც მოვიდა... შემოვიდა რევიას კოხტა სამოთახიან ბინაში და ვერკო დედასაც იქ მოეკვება მუხლები, ჩაიკცვა და მოკლედ, ინფარქტით აიკიდა.

ატყდა ამბავი. ზუთ წუთში იქ ვიყავით... მე, აჩო და... ფუი! რა დღე იყო?

ეზოში, რევიას სადარბაზოს პირდაპირ უპატრონო ქურმის ხის ძირას ვიჯექი ხის გრძელ სკამზე და სასწრაფოს ვუცდიდი.

სადარბაზოდან ქალი გამოვიდა. 31 რა ქალი... კოჭებამდე თხელი ტყავის ლაბადე ეცვა, შვიგნი ეს წარმოუდგენლად მოკლე შინდისფერი ქვედაკაბა. გაშლილ თმაზე შინდისფერი გადაამკრავდა. უღრმესად გულამოჭრილი შავი ბლუზა ეცვა და მხარზე თეთრ-მონაცრისფრო კნუტი ევდა.

წამოვიდა არეული, დაბნეული ნაბიჯით და გვერდით მომიჯდა.

- ქრისტინა ვარ. კრისტია, - მითხრა ლამაზად.
ასეც ვიცოდი.

- გიორგი. გიო. - წამოვიწიე.
- Он сам меня пригласил, რა... ქრისტია, დედაჩემი გაგაცნო! не надо было, რა... ნუ, რა ქვიცი იყო, რა...

სადარბაზოდან რევია გამოვიდა. ესეთი არასდროს მენახა. ცახცახებდა ბრაზით. მოვიდა და კრისტინას კბილებში გამოეყურა:

- წინაყუთ!

- რათო რაო, ა?

რევია საწვეწველ თითს უტრიალებს ცხვირს.
- ესლი... ესლი...

- ქი რაა... უსუბლესჯე, რაა...

- ესლი ს ნეი პლოხა ბუდიტ... უზიუ! ზარეყუ!

მერე მე მომიტრიალდა:

- ბოჭო! იკაივე რაა... იკაივე, როგორ მოვიდა ხო ვუხარბი რო, ცოტა ისე რაა... ცოტა ჩვენ პონტში... ნახე რა! პაქმუე ტაკოი კაროტკი! - უღრიალებს კრისტის, შინდისფერ ქვედაკაბაზე ექაჩება.

- ქი რაა... ნიკო...

- ნიკო ქი არა, მოგკავე რამე რო მოვივდეს...

ტყურო მომითრია, კოდეი იკაივე რა, გიუშე წინასწარ მინც მენახა რა ვიციოდი, ტოო... მე გალსტუკით და რამე და... მეთქი, ესეც ვერე მოვა... დასტოინანთ! არა, ტოო!! ვაუბედ კარს და... ესე არ მოეთვალ! კაბარეს პოზივით? კოჰუე ზაქემ პრიტამილა! 31 ამის დედა...

რევიამ ავაღ აკანკალებული, ბალანაშლილი კნუტი

კრისტინას მხრიდან ანელა და მთელი ძალით მოისროლა.

- ქნუთი! - წამოხტა კრისტია.

- წინაყუთ! - ერთიც გამოეყურა რევიამ და ამ დროს სასწრაფო მოვიდა. ჩამოვიყვანეთ ქალი სააკაციო. გააქანეს საავადმყოფოში. რევია გაცევა, აჩო და პატა, საწყვინა.

კრისტინა ისევ იმ სკამზე იჯდა და მტვრიან კნუტს ფერთახავდა.

იმ საღამოს ერთად ვისხედით ამ ბარში და ყავას ვსვამდით. კრისტის კნუტი ევდა მხარზე. გარეთ წვიმდა. არაფერი ვიცოდი ამ აუტანლად ლამაზ ქალზე. ვი! არ... საიდან მოსულა. სამ მიღის. რა უნდა. როგორ ველაპარაკო... ვიცი, ასეთი ქალები სამუდამოდ შენთან დასარჩენად არ იზადებიან. ასეთი ქალები გაიბორჩყვიალებენ და გაქრებიან.

- КОДЕ გაგიცივდება, სერ! - მიუხეზება კრისტია. თითქოს რაღაც ბრჭყვიალებს. თითქოს თან ვხედავ, თან ვერა.

- კრისტია, სახლი გაქვს?

მხრებს იჩინავს. მარჯვენას - კნუტინად.

- И ДА, И НЕТ, რაა. ჩემი სახლი თართუშია. თართუ იცი, გიო?

ვიცი ტარტუტ. როგორ არა. წამყოფიც ვარ. მაგრამ არ ვიცი, კრისტია რატომ არაა ახლა იქ. აქ რატომაა.

- თართუში МОЙ ДОМ, გიო.

რღავებს მიცევა. კრისტის დედა უკრაინელი ყოფილა - ნახევრად პოლონელი. მამა - ესტონელი. ვარსადაში კრისტის ძმა ცხოვრობს - რუდოლფი. მას ნახევრად-პოლონელი და ნახევრად გერმანელი ცოლი ჰყავს. კრისტის დიდი ბებია წამდელიი პანი ყოფილა. დიდი ბაბუა თო თურმე ლა სკალაში მღეროდა და გვარად შალბინი თუ რაღაც ეგეთი იყო. მოკლედ, ერთადერთი, რაც კრისტის ნაღად არ უყრევია - ქართული სისხლია. კრისტია თურმე ტარტუს საფრენბურთო კლუბში თამაშობდა და იქ ჰყოლია დიდი სამეფო დიგი, სახელად ფილიპ.

ვიცო... ვიცი... ასეთი სილამაზე ქალს ცხოვრებას უწენავს. ცრუბუნდინებებს სჩუქნის.

სურვილი მიჩნდება კრისტის წამდელი ბუნდინებება ვაჩუქო. ალბათ, რევიასაც ასე დემარტა.

ვზივარო. ყავას ვსვამე.

კრისტია თურმე ხატავდა. თურმე ის გასაოცრად ლურჯი თვალები ადრე ყველაფერს ისე აკვირდებოდა, როგორც დასახატა... ადამიანთა თავებს... მხრებს... ხელებს... სახეებს. მაგრამ ერთ დღეს კრისტის ყველა თავისი ნახატი ერთად დაუწვავს ძველებურ ბუხარში და კარატზე შესულა. ამის მერე კრისტია თურმე, ყველაფერს იმავეს - თავებს, მხრებს, ხელებს, სახეებს ისე აკვირდებოდა, როგორც დასარტყმელს... საიდან, რა კუთხით უუკო დაერტყმებოდა... კრისტომ ქმარიც აიღო და აღარც დასახატად იზიდავდა რამე, აღარც დასარტყმელად...

ვიცო... ვიცი... ასეთი დამლუგველი სილამაზის მქონე ქალები იმისთვის იზადებიან, რომ აქეთ-მითთ მიანყდნენ, გამუდმებით რაღაც ექებონ და გზადაგზა ისიც დაკარგონ, რაც აქეთ...

სანყალი რევიამ!

- კრის, მაგას არა ჰქვია? - ვეკითხები კნუტზე - ალბათ ტყურება, არა? ან ელ... ან აიგი... ან, ვაჟმე, ტარტუ?

- ქნუთი ქვია. ფროსთო ჩემი ფათარა ქნუთი, რა...

რევიასთან ვრეკავ მობილურზე. დედამისი კრინინაციონაში. მიძივდა.

- მოვკვდე, მაგის... - ცრის იქიდან რევი. ემოციების კაცო.

- умерла, да? - კრისტი საშინლადა შემინებული.
- არა, არა, უკეთაა.
- კნუტი თვალებს ქუჭტავს. იძინებს.
- ცავედით, გი? закрываю уже, რაა.
- ში, წავედით. სად წახვალ?
- ჩემ სახლში, რაა.
- სად...
- თართუმში, რაა... - მილიმის.

ვიცი, ვერასდროს ვაჩუქებ ამ ქალს ნამდვილ ბედნიერებას. ვერასდროს. მუსულმეფლია. არაა ბედნიერებისთვის დაბადებული, რა.

კავებს ცოტათი გავცდით და ერთმანეთს დავეშორდით. მე სახლში უნდა ავრბინებ და მერე საავადმყოფოში უნდა გავეტყულოყავი, რევიასთან.

კრისტი მარცხნივ წავიდა. მე - მარჯვნივ. გაცილებდა არაფრით არ ისურვა. თავისი გზით მიდიოდა. ლამაზად მიდიოდა წვიმაში.

მაგრამ კრისტი შინ არ წასულა. საავადმყოფოში მივიდა. ლეფტით მე-9 სართულზე ავიდა და კიბის თავში ღია ზანჯარასთან იდგა და ეწყოდა. მის დანახვებზე რევია ბოლომდე შეიშალა.

- მოკალი, ქალი, არა?! - დაუღრიალა რევიამ, - მოკალი, ხო, ქალი! შენი ნაბოზიო...

კრისტი უკან შექანდა. და ერთბაშად გაქრა. კიბის თავიდან. რევიას ცხოვრებიდან. სულაც, წუთისოვლიდან...

ჰო, ისა... რევიას დედა, ვერკო დედია რისინიაციიდანაც გამოვიდა, მდგომარეობიდანაც... და ისე კირი, ერთხელაც ისიც გაქრება წუთისოვლიდან, მაგრამ ახლა არა უჭირს რა, არის. და რძალიც თავისი მოსანინი შყავს, ლალიკო...

* * *

სუთი წლის წინ, შორეული პერიოდის პატარა, სულ პატარა ქალაქში ჩავედი. ერთი ჩანითი. დაცარილებული გულით და ბუნდოვანი ენთუზიაზმით.

პატარა ქალაქის თავზე, ასე ნ კილომეტრში აღმართ-აღმართ ერთ გაურყენელ სოფელში მასწავლებლობა უნდა დამეწყო. ვიცოდი, ვაკანსია რომ იყო, ავიღე ქონდათ ვიცოდი - დიდხანს დავერჩეოდი იქ. მანამაც, სანამ, მამუკასი არ იყოს, არ დამიძახებდნენ - წამო, დავიბრუნოთ... ჩემს თავის ქალბოი თითქოს შემოჭრილი, მოძალადე სტუმარივით სამუდამოდ დაეღო ბინა ქორევის სკოლის, ბუნზონის ბაკების ფეთქების, ტყვიების ზუზუნის ხმა... ამ ხმაურს თავს ვერაპირად ვალწვედი. ეს ხმაური ვერც კავებარების მათობელა მელიდებმა გამოაძევა, ვერც ქალების ენებინამს ჩურჩულებმა, ვერც ტელევიზორის ვერანებიდან დაპირებულმა დაპირებებმა... ვერაფერმა! ამ ხმაურს პირველყოფილი, მეთურყველი სიჩუმე, სიმშვიდე და ჩემი სიმარტყვე სჭირდებოდა.

მე რომ ჩავედი, ავგისტოს ბოლო იყო. პატარა ქალაქი მარამბას დღესასწაულობდა. ხელი, ჩუმი ჟინვლილი მოდიოდა. წყნარად, ნაზი შრიალით აწვიმდა ჩემი თავის ქალის მრავალწლიან ზრიალს და უცნაურ შეგებას ვგრძობოდი.

გამგაობის გვერდით ერთი პანია სორო ოთახი გამომიყვ. დროებით აქედან უნდა მველო სოფელში, ყოველ დილით. და არაფერი, სრულებით არაფერი მქონდა საწინააღმდეგო. პატარა ქალაქის პატარა სორო ოთახში დავიდე ბინა და გადავწყვიტე, ყველაფერი, რაც კი რამ ბარგი და ხარა-ხურა დამწარა წინა წლებიდან, ბოლომდე მომეშორებინა, რათა ვაგმსუფუტებულყოფიყ. ჩემს თავს საშაქრო ბუშტს ვადრიდი, რომელიც, ბორტადან რაც მეტ სიმძიმეს გადმოშუშებენ დაბლა, მით უფრო მსუბუქდება

და მალა-მალა მიფრინავს. მომბეზრდა კბილთა ღრქენის სენა-ცქერა. ამქვეყნად ფოთოლთა შრიალიც ხომ არსებობს... წვიმის წვეთების ნკაუნიც კრამიტის სახურავზე... ჩიტების სტვენაც... და უზრალოდ ნაღვსაყოლიოდ სიჩუქეც...

ფრენა მინდოდა. მაგრამ ვერ მძიმედ ვიყავი. ვერ რა ამავფრენი. ბვერი მარტვი მქონდა მოსასროლი. ბვერი კვამლივით შვი, მახრჩია ბედა და ცეცხლის ენებით ნალოკი მოგონება... ვერ შორი იყო კვილა, ლურჯ ცამდე.

მოკლედ, დავიდე ბინა პატარა, ცნობისმოყვარი, მხიარულ და დიდგულა პატარა ქალაქში, ზოგჯერ პატარ-პატარა სისასტიკეებზე რომ ეჩერებოდა.

ვერა, ვერ გამოვუთქვი მამუკას, რა ლამაზად არიგებ-ჩარიგებდა ერთმანეთის ეშით ნაგები შუშპანდინანი სახლები... რა თვალწარმტყავად გადმოკიდებული ღობე-ჭიშკრებზე მოცდავი ვარდის რტოები... რა საამაო გაღმა-გამოღმა მსოფლიოდან ნივჭარებს მოყლილი თივის, კვამლის და პურის სურნელი...

მსოფლიოში ალბათ მილიონია ასეთი პატარა ქალაქი - ერთთავარქუნიანი, ერთმიუდინანი, ორსკოლიანი, ერთათფიოქიანი და უსათოოდ - ფოსტატელეგრაფიანი... ქალაქი, სადაც ერთადერთი სამაქჩო სკოლის ქვეშ პატარა, თავბედი მდინარე მიუდინარე. სადაც ყველაფერი ისე თვალსაშინია, როგორც თვატრის სცენაზე... სადაც ერთი განვიმბეჭდ დიდი რამ შუმაგპირებელი მოვლენა... ასეთი ქალაქი მეტისმეტად პატარაა იმისთვის, რომ მოინყინო, რადგან მოწყენილობას უფრო დიდი გასაქანი სჭირდება, ვიდრე იმას... მის საპირისპირო რადაცას... და მოკლედ. სოფოს დროა...

* * *

სოფო პატარა ქალაქში, პატარა ქათათა კაბინეტში ზის და ხალხს კბილებს უზურდავს. სტომატოლოგია, ესე იგი. პატარა ქალაქებში ერთხელ გამოტანილი დასვენებელია არ იცვლიან. დასვენა ასეთია - სოფოს ძალიან რბილი ხელი აქვს. არასდროს გტკენს. თუ გტკენს - რაღაცნაირი, ისეთია, რომ გრცხვინია იმის, რომ გტკენს და იჯერებს, რომ არ გტკენია. სოფოს პანია სტომატოლოგური კაბინეტი ავტოსადგურის გასწვრივ, ერთსართულიანი რაღაც ნაგებობის მარჯვენა კუთხეშია შეუწყული. ანაფარა სწორედ იქით გამოდის, სადაც ჩემი სოფლის ავტობუსი ჩერდება. ყოველ დილით, სკოლისკენ რომ მი ვიქატირ, სოფოსაც თუქვდა: ანაფარა უფრო ხშირად ღია აქვს. სავარტებო ეტიფეც ყოველთვის უხის თითო პირდაღებული პაციენტი, ქათათა ტილოგადაფარებულ მაკეღებზე კი თითქმის ყოველთვის უდევს რდიით მორთმული მცირე რამ ძველნი... ზურგებდა თუ ჩირის ასხმა... მწიფე ხილი თუ ნამიანი ვარდები...

მაგრამ დანახავს გაცნობა კიდევ არ შექია. სოფო ახლ გავიცანი.

ერთ დღოსა კოკსპირულად წვიმდა. სირბილით გადავიბრინე ნიაღვრად ტყეული ქუჩა, ავტოსადგომად ერთიანად გაველომსე, მაგრამ მსიაპოვნებდა. მსიაპოვნებდა ეს თავხეცვალაღებელი თქემი რომ მრეცხავდა. გუბებს ვასტებოდი, თავპირისსტრეფივთ გაფრბოდი და უცნაურ, ცხოველურ, პირველყოფილურ სიაშეს ვგრძნობდი.

ავტოსადგურში ხალხი ყოველთვისაა. ჩამოდებდა ზემოქვემო, გაღმა-გამოღმა სოფლის ტალახებში ამიგანა გულუი პატარა-პატარა სოქო-ავტობუსები, ავსებდა ხალხით და დღეაღათბობი, დღეებმა შიგ ავსების, მინის, იფლის, ფქვილის, წვიმის თუ გვალვის ოსშივარი. სადღაც, საკამეტქემ შეკვეთებულ კალათებსა და ტორებში

რადაც უთუოდ ინმრევა, ფართხალბებს, კრიპობს, ჭყვიტინებს... დასხვდებიან ანთოლეულ, მზუზამკვდარსხევიანი ნლეფში... ერთმანეთს მიიკოზ-მიიკოზიანვენ, რასა იქმ... პამიღორი როგორ გაყიდე... ყველი როგორ ფასობდა... გადამბა ყველავერნი... დაგავლოთ ამდენა წვიმაში... კარგი დედადი მიყიდა... შენი ბიჭის რა იმისი ჭაჭაქიდან...
სად წავედი! სად გავიბლანდები ხოლმე... მგონი, ამას ჭკია ნიაღვლეა. მომწონს ეს ნიაღვლეები, მაგრამ - სოფო?

პო. სოფო.

გითვით გავეროდი იმ სისხამდილით ცაფხედაჩამოსულ წვიმაში. ელავდა და ჭუხდა. ელავდა და ჭუხდა. მასსურად. შლეგად. აგერ, ჩემი "მოსაცდელიც", ბებერი, ნახვერადამოხრული კოპიტი. კაციშვილი არ ჭაჭანებს. არც ჩემი ავტობუსი ჩანს. მაგრამ აგერ, სტომიტოლოგიური კაბინეტის ფანჯარა ღიაა. აბა, ამ თავსმამი ვინ მოვიდოდა კბილის ექიმთან? არავინ. სოფო ღია ფანჯარას-სამ დგას და მე მიყურებს. ჩვენს შორის წვიმა მიღვარ-თქვითბის. ალბათ, მაგარი სასაცილო დასანახი ვარ იქი-ნად. შიენიდან. სიმშრალიდან. ყვეყნით ვდგეკარ ასწლი-ანი, გაფარჩხული კოპიტის ქვეშ. გალუმბული. სასაცილოდ ეფიორიული.

ლამაზი გოგოა. თან, ტიპირი მემდიცინის მუშაკი. თეთრი. სუფთა. რომ მიყურებს, მგონია, რომ დიაგნოზს მისვამს. კბილი მაინც მქონდეს გამოხრული. ან ყბა - გა-სიხეული. მივიდოდი. დავუვდეგობდი...

წვიმამ იმატა. ჭუხილი მრგვლად წაღადა-გამოდის გორიდან გორაზე... ტალღებად უვლან ნიაღვლის მიღებს. ვაჰ! ეტლა გავრეკე! სოფო ექიმი ხელს მიქნევს. თავის საბრძანებელი მებატყევა. სიმშრალიც. სიბოროტი.

თვაბატოის დადება სისულელეა. ადგილს ვეწყებდი და ადრე მისსოფს, სირბილით, ფრენით, თუ ცურვით, მაგრამ სულ ორიდოდ წამში მასთან ვწნდები. და რაღაც თეთრი, გახამებული პირსახოცი ვიმშრალებ სახეს. თმას...

მგონი, ნიაღვლის დროა. და, ნაღდად ღირს ერთ თხვრ ნიაღვლად, ძმობ, ის ლამაზი და ჭკვიანი სახე... ეს ცხელი, კალმით ნახატებით წარბები და ჩახანჯდომად მი-უნწვომელი თვალები. ეს შუბლიდან და საფეთქლებიდან ატყეული შავი, ბზილა თმა...

მოკლედ, ვზივარი. ღია ფანჯარიდან წვიმის სურნელი უვევ ისეთი სტიქიური ოდენობით შემოჰქრის, რომ თავი ჩანქტერის, თუ ამბობქრებელი ხელის პირსა გვგონება. და უცხებ... ქებსხ! წამით თვალებში გვირელებდა. ვერ გაგვირკვევია, რა მოხდა. მიწა იძრა, თუ ავეფთქიეთ... მე-რე საიდარლავ მოვარდნილი კვალი იფანტება და... აღ-ბათ სოფო ექიმის არეკვით პაკიენტს არ დაუბრუნდა. პი-რე იმხელაზე, შე რომ დავაეღ... აღმოდებული კოპიტის ნამ-სუნებს ზრბოლით, შიშინით აქრობდა წვიმა...

სიკვდილისთვის ბვევკარ ჩამიხედავს თვალებში. ერთხელ აღმოდებული ტანკიდან ამოვყვერი... ერთხელ ტყვიამ ქუდი ამპარი თავიდან... ერთხელ... ჰ! ომი ომია. ასეთები ხშირად ხდება. მაგრამ ეს რა დარდულხალა იყო, ან? მე ხომ გადავფერი ამ საშიშრელებას, მაგრამ სოფოც რომ გადადურჩა კომპარის ხილვას? ხო რა ნვეროზს აი-კიდებამ ვინ ვცივს, ხელების კანკალი დარჩენოდა... და ბორმანქანას დამშვიდობებოდა...

აი, ასე საკაიფოდ, ასე, სიცოცხლის კინაღამ, ფსაად გავციანი სოფო.

და ჩემდავთურად შეიბურა იგი ჩემს ცნობიერებაში გრწმული ქალის იფუმალებით. საბედისწერო ქალის ტი-ტულტულ სულ მოიპოვა და ჩემი დაკარიელებული გულის კარგა მოზრდილი სივრცეც ამოავსა.

სოფოს ბორმანქანის ზრიალი რატომაც სულ არ აღ-

იზიანებდა ჩემი თავის ქალის წიაღს. მომწონდა, ამ ქალს თავისი საქმე ასე რომ უყვარდა, ასე ერთგული რომ იყო მისი... ასე შესანიშნავად რომ ერეკვებდა ამდენ უნგრელს ნემსებში, ბურღებში, პანია, პრიალა სარკვეებში, ქლიბებში და პინეტებში. ვერ წარმოიგდგინა სოფო რომილი-ღაც ხმაურებდა, მარიანულ ბარში, ფეხი-ფეხზე შემოდებუ-ლი, სიგარეტით ხელში და თავზედა სიკარიელით მზურა-ში... არ ვეყვები მასში სექსუალურ რამე-რეებში. მომ-წონდა მისი სადა ერთფერიევნება. ქათათა ხალაით და ძველებური, ნაზი ოქრის საათი მავაზე. ასეთი გოგო არ-სად მენახა... არსადროს. იოლი არაა, ასეთ გოგოს ვისერ-ში ხელი მოვდა და დაუბარო... ასეთ გოგოს ვერ ჩა-ს-ჩურჩულებ "რა სექსუალური ხარ..." კარგია.

ხომ უნდა იყოს ამქვეყნად რამე ლამაზად მოსაპოვე-ბელი...

* * *

ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეა. აი, ეს მხოლოდამ-ხოლოდ ოდნავხალალი ჭქართი გამორჩეული, სხვაფერიე კი ჩვეულებრივი ძველებური ოროთახიანი ბინა, ესე იგი, ჩე-მი ციხესიმაგრეა... მაგარია, არა? გამაგრდები და ხარ შიგ ასე, საკაიფოდ გამაგრებული. გარეთ ღმერთმა უწ-ყის, რა ხდება... თავსება წვიმა, მომშმილეთა აქცია, სოფოცქავია, ტერორული აქტები, ჭქრის სოციოლოგ-ური გამოიჭრებენ... რა ვიცი... ათასი რამე შენ კიდევ, ხარ გამაგრებული შენს ბინა-ციხესიმაგრეში და სვამ ყა-ვის... ან სულაც, სვამ. მაგრამ არის რაღაც ძლიანი ნი-ღვლიანი ასეთ გამაგრებაში. რაღაც ისეთი, ცხიანი ვიო-ლინის მარტოსულ ფღერას რომ ჰგავს.

მიეღი სახლი ფოტოსურათებითაა სავსე. ფოტოსურა-თები ძველი, შავი პიანინოს თავზე... ფოტოსურათები კედლებზე... წიგნების თაროებზე. სარკის წინ. ყველგან... ღმერთმა უწყის, რისთვის იღებენ ადამიანები ფოტო-სურათებს. მგონი, დიდი სვედისთვის. სულ მარაზანსხვან-აირი სვედებისთვის.

წავედა ნიაღვლი. მოკლედ, რაც უფრო ახალია ფოტოსურათი, ცხელ-ცხელი, დღევანდელ-გუმინდელი, სევდა მით უწინარია. თითქოს არცაა... არხეივნი ვარო. თვალთერება გვისხარია. დაცია. წავედით უკან. შარშანდელ, შარშანწინდელ ფოტოებში, სადაც მეტი ნაპერწკალია თვალებში. ნაკლებ-ტი ჭკივილი სულიდან გამოსახვდები.

ჰვეე... პატარი, ლამაზი სევდა მოდის. საიდან? რატომ... ჯერ სადაა. წავედით უკან! კიდევ... ათი წლით თორმე-ტითი! ჰ! ჯერ რამდენი რამე იყო წინ. თუმრე აბა, მაშინ რა იცოდე და რაჟი არ იცოდე, თვალთერეში წნობა გედ-ვა. თვალებში წნობა ბრწყინავდა ალბად, ცოტა სასა-ცილიოდ. აუე, როგორი იყავი თხოუმტეი წნვის წინ. არც ჩრდილია სახეზე, არც ფორიაქი. არც ტანჯვას... და სვე-და მოდის. უფრო დიდი. თითქოს სავეც, ბებერი შივარი ნელ-ნელა გამოდის შავი ღრუბლიდან. შივარესათი მე-ლანქილიანი და ცივად ელვარე სევდა გამოდის რაღაც ისინულიდან; შივარესათი დიდებული და ლამაზი სევდა.

ა, ბატონო! შენ, წ წნვის. ან სამის. სასაცილო და სე-ვარელი. ხელში პლუმის დაფთონიათი. ან ტელეფონის ყურმილით, ან თოვლის ბაბუას მუხებზე. ან კარუსელ-ზე. სევდა თამაშს იწყებს. დამალობანას... დახუჭობანას... რა ვიცი... დროებით უწინარდავა. იცი, სადაც აქაა, მაგ-რამ არ ჩანს. თითქოს არა. სხვა გრწმობა მოდის რაღაც. ცოტათი ფერადად აბრჭყვილებულ ღამის ატრაქციონს ჰგავს. ცაში აჭრილი ჭყტელთა ფრანის სიმსუბუჟე აქვს და მზიანი დიდის ხალისი...

ფი აი, ესეც შენ ხარ. ცხვრის ტყავზე წამოგრე-



ბული ჩვილი. ყველაფერი მოგინანს უნდა გამოინდეს კიდევ უნდა ჩანდეს, რომ კაცი ხარ. გვარის გამგრძობლებელი ასეა აწნაირი ფოტოების წესი. გესამუშებდა. არ გსიამოვნებს. ცოტათი გეზოზდება კიდევ ეს უსუსური, ტიტ-ლიკანა, უსირცხვილო ასეება... აღარც სვედაა. რაღაც, ყრულ გესიამოვნებს, რომ ასეთი უსუსური არ ხარ. აი, ამას ახლანდელი ჯობიხარ.

მაგრამ, ესა? ეს ფოტო? დიდი ხნის წინ ზარ-ზემით რომ გადაიღეთ? მიდგომ-მოდგომით. დაჯდომ-ჩამოშლ-ვით... სიცილ-ხაზბარით... და თითქმის აღარავინაა სააქაოს. ეს აღარაა... აღარც, აი ეს... არც ეს... არც ეს...

დიდი სვედა მოდის. ღრმა. მწარე... და კიდევ, სხვა? სქელ მუყაოებზე დაკრული ყავისფერი ფოტოები? Тифლის და რაღაც ევთები რომ ანერია? კაცები რომ სხედან, უღვაშებაპაპინებულები და თმაკარული, თიერი, ფაბოებიან თხელ ბლურებში გამონყობილი ქალები კი თავს რომ ადგანან, ისეთები? მამა-პაპათა სურათები? ო, ეს კიდევ სულ სხვა ჯიშის სვედაა. სულ სხვანაირი. უფრო დარსვე, უფრო გაშლილი... იგი თითქმის ისე მწვედევ არ გეტება შენ, როგორც ის წინები. ეს საყოველთაო სვედაა. ეკლესიასტეს რომ უღრლინდა გულს, ისეთი... ნათესავი მოვალს და ნათესავი წარვალს და სოფელი უკუნისამდე ჰგევ და ევთები... ამ-აოება და ყოველივე ამაო და რამე... ესეთი სვედა.

ჟუ! მორჩა ნიაღვრება. აქა ვარ ისევ, რა. სახლში ვარ. მირტო ვარ. მე, გიორგი იბოტაძე. ხუთსართულიანი სახლის მე-3 სართულზე განათავსებული ჩემს ორთახიან ბინაში, რომელშიც ბუნდინერად ცხოვრობდა ერთმანეთზე გიჟურად შეყვარებული ჩემი ახალგაზრდა დედ-მამა. მაგრამ მერე მე გავჩნდი. საწყალი დედაჩემი ჩემზე მშობიარობას გადაჰყავ. მამა - სმას. ბებია - დარდს. მეც, აი, ამ სახლში ვცხოვრობდით პატარა მე და ბაბუაჩემი. ბაბუა შეეცადა არავითარ შემთხვევაში არ მომეკვდარიყო, სანამ ფეხზე არ დამაყენებდა (Get up, ბებო! if you must get up! - ეს ად-

გილი ბაბუაჩემს მაგონებს). მერე ბაბუამ დამაყენა ფეხზე. შემაყვარა ყველაფერი, რაც რამ შესაყვარებელი იყო. შემაძულა ყველაფერი, რისი სიყვარულიც ნამდვილად არ ღირს და დამტოვა ნაწილობრივ. ანუ, ხორციელად-ასე იყო.

კარგი იქნება, ვინმე მოვიდოდეს. ვინმე - მყუდრო და თბილი. რაღაც, ძალიან საბრალოლად დაეძრინ ჩემს ციხე-სიმაგრეში. რაღაც ძალიან თავისთვის წვიმს. რაღაც ძალიან კატეგორიულად ტაკპუნობს კედლის საათი. არ უნდა დამეჭოვა. ეს ტაკბატკუპი უფრო აჩნეს სიჩუმეს.

და ზარი კარზე! გავფერქმ ამ შუღამისას. პირველის ნახევიარა...

კარს ვაღებ და ძია გრიშას ვხედავ. ომისა და შრომის ვეტერანს IV სართულის ერთოთახიანი ბინის მფლობელს, უცოლშვილოს. ძია გრიშას წესთა გრიშა ბაბუას უნდა ევახადე, მაგრამ ისეთი ახალგაზრდული შემართების მქონეა, ძიობა ალალი და უსაცვედუროა.

მოკლედ, კარს ვაღებ და დღას. ისეთი ენერგიული და სტარტაღებელი, გეგონება დილის 8 საათია, ღამის პირველი კი არა.

- შაიტი! რაში ყოფილა საქმე! ვაჯაკი ჩამოსულა გიორგი, გიორგი... დაარტყი ხელი! შაიტ, შე გადახვეწილი! მოდი, მოდი გადაგტყვი!

მომილო ხელი კისერში, მაგრამ დამაგაფუტურა.
- შემობრძანდი, ძია გრიშა! ჩაი დადელით... ვილაპარაკოთ.

- შემოვალ! - გადაწყვიტა უცებ და შემოვიდა კიდევ. დაფუტური. დაფუტური. ახლა გამახსენდა ჩემი დიდი ცელოფანის პარკი. სრულიდან რომ ვეშვებოდი,

შეგ მხოლოდ სიონას ნაჩუქარი! ბოლოა ტყა იღო. ბიჭებისთვის მომიტანდა. ვინ საიდან გაიგო, თბილისში რომ მოვდივოდი, არ ვიცო. აღბათ, ბავშვებთან ვთქვი. ჰოდა, სანამ 6 კმ ჩამოვიარე ჩემს "სტომატოლოგიურ კაბინეტამდე", ვინ რა არ ჩამიხირობდა პარკში. არც ვიცო, რაეტი. ერთი ვიცო, პარკი თანდათან დამძიმდა და სტომატოლოგიურამდე ქვემოდა ხელაშობებულად ვატარე პარკა ხანს. იქ, სოფის რომ ვემშვიდობებოდი, კიდევ შეგრება რაღაც. ჰო, სულ ზემოდან სოფოს საგზალი ადევს. თავზე სოფომ წინა საღამოსვე იცოდა, რომ მოვდივოდი. ჰოდა...

- რას დაგრიხინებ, ბიჭო! - მიძახის ძია გრიშა.

"დაგრიხინობო?" ვევიც... იცის თუ არა ამ ბერლინალებულმა ბატონმა, ნეტა, რომ ბავშვობაში გრიხიელს ვუძახებდი? ჩუმად? და ვიცინოდით?

სოფოს პატარა პარკი ვანზე გადავდე. და სხვა რამ ამოვალავე რაღა არ იყო! ორი ნაჭაჭური. ხასხასა პრასი და ხახვი. მოხარბული ლორი. ყველი. მჭადის კოკრები და სულ ქვეშ სიონას ჭაჭა.

გაგხსნა სოფოს პარკი? გაგხსნი!

არც ვიცოდი. ჩემი საყვარელი პატარა ნივთიანი ქაღებია. იცის, რომ მე მიყვარს. ქაღალდი, რომელშიც გახვეული იყო ქაღები, ასეც ვატრიალებ, ისეც, ბევრი ვიქექე, მაგრამ ბარათის ან რამე ნაწერის მსგავსი ვერაფერი ვნახე. არა, სოფო ის ქალი არაა, ბარათი ქაღებთან ერთად გადახაზის. სოფო, საერთოდაც, ის ქალი არაა, ბარათი შემოგაპაროს. რაში სჭირდება! ასი წელი! თვალს თვალში გაგვიყრს და სათქმელს ეგრე გეტყვის...

- აღარ მოდებარ, ბიჭო! - ომახინობს ჩემი სტუმარი. დიდ სინზე დალაგებული ჩემი პურ-მარილით გაგვივარ.

- უყურე შენ! - ხელებს იფშვებტს ძია გრიშა, - შეხედე შენ? იფ!

და ქვიცვაც ვინცებო. ღამის კურიერი თუა, ღამის ქე-
იერი ხარ, რატომ ვერ იქნება? შოდა, ვკვივობო.

საუკეთესო თვედებს ვიღებ. საუკეთესო ჭიქებს. ვერ-
ცხლის დანა-ჩანგალს... ვციცი, ძია გრიშასთვის ამას დიდი
არაფერი მნიშვნელობა აქვს. რკინის მათარიდან უსვამს
წყალი. ალუბონის დაბრეცილი გვიმდნ უჭამია სირისტი-
ან მინურებში და სანგრებში, აქოთებული მახორკა უწე-
ვია, კოვჩი რ ჩემის ყელში ჩაწურთული უტარებია. ძია
გრიშამ არაფერღებრევა კარგად იცის, რა არის პური
და არანაირ ხაჭაპურს მასზე მაღლა არ დააყენებს. მაგ-
რამ მაინც. ახლა ასე იყოს...

- ძია გრიშა, თქვენ გაციმარჯობო. ძალიან მიყვარ-
ხართ. თქვენ ბაბუაქემს იცნობდით. სანდროს.

- შე! რას ამბობს! იცნობდი... გიო, ბიჭო. ტავარიშ
ობოლაქქ! რიადივოი ობოლაღუქ! შერას ჩამოსვლას გაუ-
მარჯოს! მიხარია აქ რომ ხარ, მაინა, იქ რომ ხარ, ის
უფრო მიხარია კიდევ! რო არ დაყიადობ, აგერ, ზოგ-ზო-
გერიტობო... შოდა, გივარგი, შენ სადაც საჭიროა, იქ
ხარ! ბაბუაშენი იმაყებდა ამ ამბით. გაციმარჯობს, ბიძია!

- და გადაპკრა.

ღია ფანჯრიდან წვიმის შრიალი აღწევს. შემოდგო-
მური, ურთოვლიანი წვიმა წვიმს გარეთ. ანვიოს შემოდ-
გომის ვეიზაგებს და ქლაბუტურ სხედს. თან, თითქოს არ
ანვიოს. თითქოს, რომ შექელოს სადმე სხვგან წავიდოდა
ეს ნესტგამჯდარი თქორი... თითქოს იმიტომ ანვიოს, რომ
სხვგან ვერსად წავა... ძალისძალად წვიმს თითქოს.

ძია გრიშა თავისი ამღამინდელი პატარა "რახვედკის"
ამბავს ყვება. როგორ ჩავიდა ამ წვიმიანი ღამით ეზოში,
რათა ეწახა, წვიმით და სინეღით ხომ არ სარგებლობ-

და თავივად და სწორედ ახლა ხომ არ ჭრიდა ძირში ნაძვს.

- რა ნაძვს? - მიკვირს მე, - ახალი წელი ხომ არაა?

სიძონის ჭაჭამ აზროვნებაზე დამარტყა. ძია გრიშა
მისწინ, რომ ნაძვებს, ჭადრებს, კაკლებს და საერთოდ...
სხებს ჭრიან შემოდგენში, რომ რკინის გალია-გარაფები
ჩააკვეთოს. უჯვე სამი დიდი ნაძვი მოუჭრიათ. ეს კი, -
ბაბუაქემის დარტყელი ყოფილა... და თავაძის გარაქს ელ-
ობდა წინ, თურმე...

- ვაა... - სვას ვერაფერს ვამბობ, მაგრამ თავში გა-
ციდობით მრავალფეროვანი ხილვები მიტრიალებს.

... ბაბუაქემი პატარა ნაძვის წერტილს და ნიჩაბით...
მზიანი დღე. თავაძე - სინეღელში მოუჭრულთ... მიმპარა-
ვი... ხერხით ხელში. და სანგრის თავზე ხელყუემბარით შემ-
მართული ძია გრიშა... впереди... იძახის. Hаше дело
правое!... და თავაძე მუღღებზე ეცება და იხეუნება... არ
მესროლებ, გრიშა... არ მოეჭრა...

ძია გრიშა ბერლინამდე ჩამავტა ბოლო ფაშისტს. საშ-
ველი არ მისცა. ბოლომდე იბრძოლა და ბოლომდე გაი-
მარჯვა. ამასობაში, მებრძოლი ბუნება საბოლოოდ ჩამო-
ყვალბდა და ბრძოლის გარეშე ვეღარ მტებს და აგერ,
ოთხმოსტ გადაცილებულმა ბერიკაცმა თავისთვის, თავის
გულში მესამე მსოფლიო ომი გამოიტყვდა. და იბრძვის.
ძია გრიშა ისეთივე თავგანწირული იბრძვის ჩვენი ეზოს,
ჩვენი მიმოგარენის ყოველი გოჯისთვის, როგორითაც
სტალინგრადათან იბრძოდა. შ! კარგი კაცია. ბაბუაქემიც
ასეთი იყო ობოლად.

ვზივართ. ვქვივობო. გვეყიადება.

- შოდა, ამოიხედე და შექვი ანთია, კაცო! შაიტი!
ქურდები შესულან-მეთქი, ვიფიქრებ აბა, სხვა ვინ? შენ
თუ ჩამოხვედი, მე ეგ არ ვიცოდი, ბიძია. აპა, წამოვედი
ან ჩემი ხელყოლით...

- ძია გრიშა... - ჭიქას ვიღებ ხელში, - ძია გრიშა...
- შო, გივარგი! შო...

- კიდევ თქვენ გაგიმარჯობო. თქვენ გამარჯვებული

შესხვედით ბერლინში...

- ტუკ ტონია, ტავარიშ გიო...

- მე... მე კიდევ... მე დამარცხებული წამოვედი სოსუ-
მიდან, ძია გრიშა...

- რაიოო?!

- თქვენ... ძია გრიშა... თქვენი გამარჯვება გაცოცხ-
ლებოთ... მე კიდევ ჩემი დამარცხება და ისე წამოსვლა
მკლავს... თქვენ გაგიმარჯობო!

შუ! ამოვიყუნებ! დარდი ამოვთქვი.

კარგა ხანს ჩემად ვისხედით. მერე ძია გრიშამ თქვა:
- მისინე, ბიძია, რას გეტყვი... შემეტარი ხარ ერთ
რამეში...

და თანდათან აფფორიქდა.

- რატომ გგონია, ბიჭო, შენ... რომ... რომ... მეც არ წა-
მოვედი შენთან ერთად სოსუმიდან?! ა?! რატომ გგონია,
რომ შენს გგონივით არ ვიყავი? რასან აქ დაეჭინდრიობს,
იმიტომ?!

შემტყვება.

- ანდა შენ ხარ ჩემი ბატონი, რატომ გგონია, რომ
შენც არ შესხვედი ბერლინში ჩემთან ერთად? გამარჯვე-
ბული? შენ გგონია, ასე, შევიკრიკილი და სულელივით
მიხანროდა? შენ კი არა, შენი შვილიც... შენი შვილიშვი-
ლიც ჩემთან ერთად იყო... ერთ კაცს სად წაველან თავს
გიორგი, ბევრს არაფერს ნიშნავს. ის ერთი კაცი შამაი-
მავლობაზე ვიფიქრობ... იმისთვის იბრძვის, მარტო თავის-
თვის კიარა! მე და შენ რამ გაცევო, ბიჭო! შენი და ჩე-
მი გამარჯვება, ცალ-ცალკე. რას მიქვია! ან შენი და ჩე-
მი დამარცხება!.

შემტყვება. შემტყვება. მაგრამ მუუნებოდა, რა!

- ახლა რა გეტყვი, თუ იცი. ჩემი დამარცხება მკლავ-
სო... რომ თქვი... ჩვენი - ესე იგი... კი არ გკლავს - გა-
ცოცხლებს! დამიჯერე. იცი რატომ გაცოცხლებს? რომ
გკლავს, იმიტომ! სანამ გკლავს, მანამდე გაცოცხლებს...
ფეხებზე რომ გვიქედოს, - სიკვდილი ის იქნებოდა!.

რალაც მიხურს შიგნით. გულთან.

- მისინე, ბიჭო... იყავი ასე... იყავი ასე ჯერ, ამ ცვეც-
ხლით გულში. ამ დარდით. ამ ბოღმით. ეგ სხვა ციციხი
და დარდია... კაცური. ვიყოთ ასე, ჯერ... კარგია, იქ რომ
ხარ. სოფელში... ასწავლი რალაც კარგა... ცუდს უწერ არ
ასწავლი არაფერს, ვიცი. კარგად, იქ რომ ხარ. შოგან-
ვის იქ ხარ, შენ - სადაც საჭიროა. ახლა მანდა საჭი-
რო... მე აქ ვიყოჩიალბე, ასე... ასე ვეომები აქ... ხის მჭრე-
ლებს... ვევალით გამსრესებ... შოდა, კიყოთ ასე, ჯერ...
ერთხელაც იქნება, გიო და... დაგვიძახებენ...

- მშამაუკაც ასე ამბობს... - ვთქვი, რატომღაც, ენის
ბორძიკო.

- ვინაა მამუკა?

- ჩემი ძმაცაცია.

- ა! ამო ხედავ! ხომ გვეყურებო! იმასაც უთქვამს დაგ-
ვიძახებენო... შოდა, გივარგი, მე რომ სულაც ცოცხალი
აღარ ვიყო... და შენი შვილი კიდევ - ჯერ დაბადებულ-
ელიც რომ არ იყოს... იცოდებ, სამივე ერთად ვიქნებოთ მაგ
საქმეში... არა, მაგ საქმეში მე და შენ... ჩემი და შენი... ა?

- ძია გრიშა...

- შო...

- მიყვარხარ...

- მეც მიყვარხარ, ბიძია... მეც მიყვარხარ.

- გავათენო, ძია გრიშა?

- გავათენო. ერთი და ორი ღამე მითენებია, თუ?!

შენ ეს მოთხარ, რა ამინდები დატოვე იქით... ასე წვიმ-
და იქვე? ასე უმიტყნებდა? მოსავალი აღებული ექ-
ნებათ უჯვე, მიზინავებული... შა?
უყუყუბო... უყუყუბო... წვიმებით ჩამბალი სოდაბუნე-

ბის, მოდიდებული მდინარის, ქარები მოგლეჯილი ბონ-
დების ამბებს... როგორ დადიან ბოტებით აჭყაბულ
გზებზე... როგორ ეზივდებიან სველ სიმინდს ვინ რითი და
ვინ რითი... როგორ ყრიან სასლუბტევს "ნამშრალბში"
როგორ იმარაგებენ შეშას და ფიჩხს... როგორ ხვდებიან
ორლომებში ცელოფანმაზოფურულები თავთავიანთ პი-
რუტყეს... როგორ მიპატე დიდი კალათები ყველი გასა-
ყიდად... როგორ დგას წვიმიანი შაერში ახლადმოხველი
რძის სურნელი, როგორ არ სცალიათ ფიქრისთვისაც
კი... ვუყვები ამ ყველაფერს და ვიცო, კიდევ მინდა მის-
გან რაღაც... კიდევ მინდა ნუგუმის სიტყვა და უცებ სულ
სხვას ვამბობ:

- ძია გრიშა, კაცი მოგვიკლავს?
- გიხსრათ მართალი, სკამზე არ შემუხტარა მოულოდნე-
ლობისგან. ლუკმა არ გადასცდენია. ხველება არ ატყვია
და რაღაც ეცეთები. უბრალოდ, მითხრა:
- თავს ნუ იტანჯავ, შვილო. ვიცო, რასაც მეკითხები.
- მერე?
- მე ბაბუაჩემს ვკითხე ეგ... იმას თავისი უოშია 914-
ში.
- მერე?
- იმას თავისი ბაბუისთვის უკითხავს...
- მერე?
- მერე და, მიხვალ მასე დავით აღმაშენებლამდე... ვხ-
ტანვ გორასალამდე... შიდა... ჰკითხე ერთი იმით... კაცი-
თუ მოვიკლავთ-თქო... ჰკითხე, ერთით ასს რომ ამარტებ-
დი, კაცი თუ მოგვიკლავს-თქო...
- მართალია...
- რა არის მართალი...
- არ ვიცო, მაგრამ რაღაც არის...
- უყურე შენ, რა დრო გასულა? ხუთი არ დანყებუ-
ლა, ბიჭო?!
- ხომ ვათენებთ, ძია გრიშა!
- ვათენებთ და ეგაა... რაღა უკვლია...
- მაგრამ შემოდგომაზე ადრე არ თენდება. ჯერ ბნელა.
ჯერ ღამეა.
- ძია გრიშა, ქალი თუ გყვარებია?
- შაიტქ უყურე ამას შენ რაები დიწყო ახლა...
- მართლა, მართლა... აუ, ძია გრიშა...
- აუ! მაგ აუ მოიშაღე შენ, მეორედ არ გამაგონო და
გეტყვი... მიყვარდა.
- ძალიან?
- ძალიან. ა, როგორც ეს ცისქვეშეთი - ძია გრიშამ
ფანჯრისკენ გაიქნია თავი.
- მერე...
- გაითხოვდა. მე რო ბერლინისკენ ვინვედი, ის სხვა
კაცისკენ, თურმე...
- ჰუ!
- მარა... შენ რატო მკითხე მაგა... სიტყვა ჩამოავდე
ბანიდან ქვეთ, ხო?
- მგონი, ერთი გოგო მიყვარს.
- როგორ ვუთხრა? როგორ ვთქვა უცებ? რა ვახსენო?
სოფის ფაქიზი, მცოდნე თეთრი ხელები? თუ შუბლიდან
ატყვეცილი შავი, ბზილათ იმა? თუ ჩასანვლიდად მიუნ-
დომელი თვლები? თუ იმ დაუნიყარი, ქათქათა პირსა-
ხოცის სურნელი, წვიმით გალუმულ თავს რომ ვიმშრა-
ლებდი? თუ ნამიანი ფრდები მის მაგიდაზე? თუ მესხდა-
ცემული ვიპატი? თუ რა? თუ რა?
- ა, ამ ქადების გამოცხოვბული...
- დამრთო! ამაზე ყველაფერი რა უნდა მეთქვა?
- გამოცხოვბული ერთია, გიორგი და გამოიტანებელი
მეორე. ა? - მუხუბნა ძია გრიშა და ჭიქას სწევს, - ა,
ბიჭო, რას ვფერები ასი წლის ბებერს შენი სიყვარულით!

შენ გაგიმარჯოს, შვილო და იმ შენს იმას... ამ ქადების
გამოცხოვრებ-გამოიტანებულ გოგოს... მე, ბიჭო - დამილო-
ცხარ... მოდი ახლა და, თენდება აგერ სადაცაა... შიდა...
არ ვიმღეროთ ერთი, შე კაცო?

- ვიმღეროთ! - რაღაც მიხარია ძალიან - რა ვიმღე-
როთ?
- მოდი, გაფრინდი შავო მერცხლაო...
- მოდი...
- ორში ერთია. ან წვიმის შრიალი ერევა ჩვენს ღამე-
ულ სიმღერას, ან ჩვენი სიმღერა ერევა წვიმის შრიალს.
სულერთი არაა, რომელი რომელს ერევა? პარეკ კია და.

* * *

სიტუაცია და ვანლაგებები ასეთია:
როლოკო - როლანდი საფარქელში გადაწოლილი. სა-
ფერფლე - საფარქლის განიერ სახელურზე. მამუცა - მაგ-
ნიტოფონთან ჩატუტყული. რაღაცებს აბაშს, ჭიქის, მათე-
ლის რეზინს წვავს, სკოჩს ახვევს, თავის ამბავშია. მე -
როლიკოს პირისპირ, ტახტზე. მესამე ჭიქა ყავა. სახვე სა-
ფერფლე მუსიკის ნაგლეგები - მამუცას საქმინოხასთან
შესაბამისობაშია. ფანჯარა ღია. ნანვიმრობა. როლიკოს-
თან ვართ, მოკლედ.

როლიკო ასე გაევიცანო...
აუჰ... სად უნდა წავიდე... მოკლედ, ჩემი პირველი პირ-
ველი სექტემბერია. მე და ბაბუაჩემი ხელისხელაკიდებუ-
ლები გაუწყვეთ ქუჩას. კარგი გამოპრანჭული ვიყავი,
ზურგჩანთა შევიდა და ცნობისმოყვარობა წინ მიმეტანე-
ბოდა... მე ბაბუაჩემს მივეჭებოდი, ის კი ბებერ, დაღ-
ლილ ფეხებზე...

- არ იტირო, გიო, კაცი ხარ.
- ტირილს არ ვაპირებდი. ტირილით, კბილის ექიმთა
ნაც არ ვიტირებ, ვეჭვრობდი გულში (ჰ, კბილის ექიმ-
თა...).
- მასწავლებელს დაუჯერე?
- სუყველაფერი?
- კი. მასწავლებელს დაუჯერე სუყველაფერი.
- ცუდი რო მასწავლოს?
- ცუდს არ გასწავლის.
- რო მასწავლოს?
- არ გასწავლის-მეთქი, ბაბუ. ცუდს არ გასწავლის.
- არ ვიტირებ, - ზემოთ ვბრვიცავ თავს. ბაბუაჩემის-
კენ.
- ყოჩაღ...

ყვირობი, სველი ფოთლები ცვიოდა ასფალტზე. მე
მიგბუნობდი. ბაბუ მძიმედ მოაბიჯებდა. ბურატინოს და
ბებერ კარლოს ეგავდით.

სკოლის ეზოში ერთი რიარია დაგვიხვდა. ჩემულებს,
პატრონს დედებისთვის ჩაუჭიდათ ხელები. დაბნეული და
ბედნიერი დედები აქეთ-იქით აწყდებოდნენ. მე - ბაბუა
მყავდა. ხელს მაგრად ფუჭერდი და ვეტმასწებოდი.

მერე მოგვაკაროვებს და ორ-ორად დაგვანყვს. ეს, რო-
ლოკო - უფრო სწორად, თურმე როლიკო, თვალბედანით-
ლებული და საშინლად კუმტო გვერდით მომიყვანეს. ლო-
ყებზე თითრად შემწობოდა ნაერგმოლარები.

- არ იტირო, - ვუთხარი მე.
- არ ვიტირებ, - დამბღღვრა როლიკომ, - მაგას ხელ-
ზე ვუჭერ.
- ვის? - დაეინტერესდა მე.
- მაგას, - მასწავლებლისკენ გაიბღვრა.
- მერე ციხეში ჩაგაჯერენ.
- ჩამაჯინონ.
- მერე ბაბუაშენი იტირებს.
- ბაბუაჩემი? - ძალიან გაუკვირდა ბიჭს.

მაგრამ ამ დროს მასწავლებელმა ხელი მოგკვიდა და კლასისკენ წაგვიყვანა. არაფერიც არ უკვნიდა. ცხვარივით მიდიოდა. მერე ერთ მერხზეც მოგხდით.

მერე მერხები თანდათან შემოგვაგაპატარავდა. მერე მაგდივებიან კლასებში ვისხედით... როლიკომ, აი, სწორედ ასე გადანივლილად იცვდა ჯდობა გაკვეთილებზეც - ახლა რომ ზის...

- გვარამაძე! გასწორდი! - მესმოდა მივლი 10 წელი.

მერე, რაღაცნაირად, ერთბაშად დავშორდით ერთმანეთს. დიდი ხნით. ის თავისი გზით წავიდა. მე - ჩემით. იმან მარცხნიდან შემოუარა დედამინას, მე - მარჯვნიდან. ან პირქით და აი, ისევ ერთად მოგხვდით. ვიცო, რაღაცებს წერს. რაღაც-რაღაც სალიტერატურო კონკურსებში მონაწილეობს... როცა არ უნდა ეწიოს, სანამ პირს გაგაცნობ და საღამო-ქალამს ვეჭვი, ჯერ ის, მისი განუხორციელებელი კენზა მასხენდება ყოველთვის და მეცინება. მეცინება და ის ყოველთვის მეკითხება - რა გაცინებს, ბიჭო... ეს სულ ასე იქნება.

- წერ, ესე იგი... - მალევე აბოლებს როლიკო. ნეტარს გვაძვს.

- ვვაფ-ფშმაველასავითაა - ადგილიდან ჩაერთო მაშუა.

- მაგარია... - როლიკომ ფეხები სკამის საზურგეზე ააწყო და თვალები ქვეს ააშტერა; და დიდი ხნის მერე დაამატა - წერა მაგარი კაივინა... გაქვს რამე აქ?

უბეში ოთხად მოუკვილი ფურცლები მდებო. ბოლო მოხსნობა. ვაჩვენი? თუ არ ვაჩვენი... ვაჩვენებ!

ფურცლები ამოვალაგე ჯიბიდან და მივანოდე. გადაშალა. გადმოშალა. ფეხები ჩამოალაგა და კითხვა დაიწყო.

ფიქრით მივეყვები სტრიქონებს. ვისცნებ. ვცდილობ დანაშაულებრივად, რა ადგოს კითხვობს, სადაა. მინდა მასთან ერთად ვკითხო. თან, ვითომ ყავას ესვაემ უზრალოდ, ძალიან არხეინად ესვაემ ყავას ვითომ და ვამ! ვეულავ, ტო.

როლიკო გურუს თუ ვიღაც ეგეთი, აღმოსავლურიოგური მასტის სიფათით კითხულობს. კუნთი არ ერხევა...

- გეგუმ... ი-იზოლენტა მომე ჯაბა... - როგორც ბუხი ობობას ქსელში, მამუკა ისე გახლართულა მავთულ-შურებში. ერთად შეუტეით მაგნიტოფონს. მუსიკის ნაგლეჯები ცვივა ოთახში... იყრება ფანჯრიდან. ტრიალებს ნანვიმარ ჰაერში.

განაწენს ველოდები. და როლიკო ამბობს - შენი გამკვირვება, ძმაო! მაგრამ გამკვირვება, რა, შენი...

აზრზეც არ ვარ, რა გამკვირვებაა.

- მიდი, ამომაქრე, - ვუყვები.

- ბიჭო, ეხლა უყურე, რა ხდება. იმ ომში და უბედურებაში შენ იყავი, ძმაო, შენი თვლით ნახე ყველაფერი. ნყალს რო ცეცხლი უჯიდა და მიწაც რო იწივს. სისხლ-ნიღბი, ძმაო, ღვარად. ტრაგედია ნახე. სტრექები ნახე. ათასი სიმბინჯე ნახე, ტო... ტიპებს არ უნახავი და ბლატაობენ, წერი. სიადნ, ძმაო, ეგეთი მასტელნი ფერები... საიდან ეგეთი სილამაზე... სადა ხარ შენ, ამ საუკუნეში? თუ დიკნისი დროში!

და უცებ დაატორმუხა:

- ხო არ გწყინს, გეგუმ, ეგრე რა გვაჯახებ ქალა...

- მიდი, მიდი...

- რა არის, ეხლა იცი? განა არ მომწონს, გეგუმ. საკაიოთა. კარგია. მაგრამ ცოტა ძველია, რა... სტარამოდნი რა... თუ რა ვიცი, იქნებ პერიფერიული... კაროჩე, შექლებით შევიძლია, რაზეა ლაპარაკი, მარა სტილი უნდა შევცალო. ეგრე დღეს წერა მომგებიანი აღარაა. გუმინ-

დელში ხარ, ცოტა.

- ა-აახურეც ეყლა შემი
- კაროჩე, ის ავლია... აი, შენ წერას... სკანადლი, რამ რამე ისეთი... ან სტრიპტიზი. ან თრილი...
- რა?

- Thrill-რას. წერიული კანკალი შოკი... მე რო დღევანდელი მკითხველი ვარ, გეგუმ, აღარ მინდა სიმშვიდე... აღარ მინდა შენდა ვარდუბულუბოლიანი, ძმაო... გაბიძე! აღარ მინდა სილამაზე... იმნა, გეგუმ - სიმბინჯე მინდა. შავი ფერი გაკლია... რა ვიცი ქალა... ერთი მოთხრობითაც ძნელია... მკითხველს, გეგუმ. დღევანდელი მკითხველს აღარ მინდა სილამაზე... უკვე ყველაფერი ნაიკითხა, ძმაო... მილიონი მიმდინარეობა და რამე... ვარდუბულუბოლიანი მოაბავა... ეს კომუნისტური იდეინი და იმედინიც - მოათავა. შენ რას აძლევ ახალს? იფიქრე რა, შენ რა უნდა მისცე?

- ი-იზოლენტა... - მოითხოვა მამუკამ.
გაგვიტანს სამივეს. იზოლენტა მივეცი. როლიკომ ფეხები ისევ აალავა სკამის საზურგეზე და გააბოლა.

- საკაიოთა ქალა ეს. მოხუცი მიდის იქით და რამე განცდები. მარა, მიეცი რა, მეტი ძაბვა, გეგუმ? ენაც აიწყრალე, ცოტა... აბილენე ცოტა ენა, ტო! შენამდე უკვე ისტინებს და იკალობს ძმაო...და ვაფუე, რადრის მოხუცი ასეუხე წერე! პათოლოგიებზე წერე! სადინზის ელემენტუ შემუშოე მე რო, იმნა, დღევანდელი მკითხველი ვარ, ძნელი ასაგდები ვარ, ძმაო! მოხუცზე გინდა? აჰა! იკაიფე!

როლიკო თაროზე რაღაც ფურნალს ქეჭავს - აჰა! ნახე! იკაიფე რა დანერ ტიპმა მოხუცზე. მარტოებელა ქალია, რამე, 80 წლის რა, ჩაწარდნილი, ან წლის ბებო რა... გაუთხოვარი. კაცი ვაფუე რო არ უნახავს... შოდა "კითარზისიდან" მასტე მიღის... მიქვს მარა, ეგებ... შეპარი, კარკე... ნამალე. მორნა. ესაა სულ. რაღაც, ამ ქალის განცდები და ფიქრებია, ძმაო აღწერილი?! ეს მასტე რო დავეცასება თანდათან... ქალი სიეთიშა ძმაო, ცალი ფეხით და კაცი უნდაბი! მარა, ეხლა ნახე, შენ ამას დანერდი სულ სხვანარად. დელიკატურ-ფსიქოლოგია. არა, რა! ტიპი წერს ნახე როგორ.

და როლიკო ცეიტატა წამკითხა, მთელი იმ ყველაფრით, მოკლედ, სასე რამ მერე ფურნალი გამარჯვებული სახით დადებთა მაგადას და შემომხეცქრედა:

- ნახე! გამიგე ქალა? აქე წერე, რა, ძმაო... მე რო დღევანდელი მკითხველი ვარ, იმნა ორგანზი მინდა ყველა მერე აზნაცე... სტრიპტიზული ფსიქოლოგია მინდა! გაიხადე რა, ბელომდე და ჩამოშვი აფაფერული ხელე... და მანახე ყველაფერი და გენდობი! ესე წერე გეგუმ... უფასო ჩამადე არ მინდა მე შენი შემოჩქეხული ვითომდა მიქდი და რამე... ადგი და, უმივლობა დამანახე, რო ეიხრობოდე, ტო და ფანტოზალი დავინყო! ჩემთი! არ მინდა მე შენი სისუფთავე. შემეყვანე ტუალეტში და იმენა, მე რო მკითხველი ვარ - ჩემს თვანინ ქენი, რამ და დანერე ეს ყველაფერი, როგორც არის, ისე... ომზე წერ, ძმაო? ომზე მე როგორ მინდა, იცი? სხვანარად, რამ ომში რა სილამაზეს ექებ, ტო... სიმბინჯე წერე, კაცი შე-აქმინე კაცს, ტო... რას მისტრიით ამ სილამაზეს! მაგის დრო მოქმულია. შენ სიმბინჯეზე იკაიფე და მეც ამაკაიფე, თუ მაგარი ხარ. მურტალი ხედვით დიანახე და მეც დამანახე რამ აღარ მინდა ეს ვარდს გაუფურჩნა კოკო-რი და ისა...

- გგავდახვებდა ი-იასა... - ნამოშველა მამუკა.
- აღარ მინდა ეგრე, შო! სხვანარად მინდა!
- უუ... უუხასაყვება ი-იასა...
- მოიცა რა, მამუკა...



- მზა-შინ, ყვირავდა ი-იასა...
 - შო, რა! გამიგო ანან, - მამუკასკენ გამიქინა თავი როლიკომ, - შენ იცი, რას შეადარა ტკიმა ამასწინათ მთვარე? როგორ დანერა, იცი? ნაგაკითხებ, მერე...
 - კვა-აროზე, გვიუმ, ი-იგივე დდ-დედა რა! და ე-ეგრე წერე... მომადმა. და... ო-ორგანში ა-არ დაგავინყ-დეს... ძაო...
 და მაგნიტოფონიც გაკეთდა.

წამოვიდა კაი-კაი მელოდები. ბობ მარლი და სტინ-გი. ნაშალა ჩვენი ლიტერატურული რაღაც... ზემოდან გა-დახურა... თვალები მივლულ და ფიქრებში წავიდი.

ესეც ასე... ესეც შენი წერა, გიორგი ობოლაძე! მოკ-ლედ, დადე კლამი და აიღე რამე სხვა... ან თობს... ან ავტობიტი... ან, რა ვიცი... რაღაც მთავარია, კალამი და-დე... სტინგი მიყვარს. რაღაც მთავარად, თავისთვის მღერის და ყველასთვის გამოდის... თითქოს რბილად და თბილად განვიშ... თუ თითქოს, საიდანაღაც, გაგრძობული უდაბ-ნოდან თბილი ქარი გახვევს თავის უშიღავ ტალღებში... თითქოს, მზე ჩადის ოკეანეში... ზღვაში კი არა - ოკეა-ნეში...

ნეტა, რას შეადარა იმ ტკიმა მთვარის გამოსვლა ღრუბლიდან? ფანტაზია ამითამაშდა. ათასი უბედურება წარმოვიდ-გინე.

მამუკა გვერდით მომიჯდა, გააბოლა ლა ლონივრად გამკრა მხარა:

- წვე-ერე გიუმ, რო-ოგორც გგენერინება - და რო-ლიკოსტენ გაუშვა ბილი, - ტტო-ოყე მწე ისა... ხეე-ემინ-გუეი, რაა...
- ბიჭო, მინც რას შეადარა... - ვეკითხები როლიკოს.
- რა? ვინ?
- იმ მასტმა... მთვარის გამოსვლა ღრუბლიდან...
- ა, იმან?

და ის იყო, პირი დაალო, რომ დეიდა ღიზა შემოვი-და ნამცხვრინანი სინით ხელში. როლიკოს დედა.

- მოინა... - თითო მინიშნებს როლიკო და ყურში მი-ჩურჩულებს ციტატას, რომელიც მყის იკავებს საპატიო ადგილს ჩემი თავის ქალას ხარა-ხურაში.

- ა?! მავარია?! - როლიკო ძალიან კმაყოფილია. დეიდა ღიზა სკოლის ამბებს მაყოლებს. თვითონაც მასწავლებელია. ქართულის.

- წავედით, გვიუმ, ნელ-ნელა? - ნამოინია მამუკამ.
- წავედით.
- შენ ესლა, გიო არ გაგიტყდეს, რა... რაზეა ლაპარა-კი. საკაივად წერ... პროსტო, რაღაც ახალ მიმართულე-ბაზე მქონდა აქცენტები. სო აზრზე ხარ...
- კაი, ჰოო... მეც ესლა, ნობელის პრემიაზე გავდივარ... ჩემთვის ვვლანბი, რა...
- ისე, სხვა რამებზეც წამაკითხე მერე.

მხრებს ვიჩქავე. ისევ მე, მამუკა და ზანტი წვიმა. ისევ ღამე, სველი ასფალტი და შემოჩვეული ნაღველი...

- გვიუმ... მი-იხვიდ რა პპონტია? რას გუუნებობდა? ა-აუხლა რო წნვიმს, არა? ა-ადექი და და-ანერე რო... ზხემოდან თა-ავზე გვაფსამენ... ა? მავარია, ა?

- ვიცინით.
- შენ წერე გვიუმ ლამაზად. რო-ოლანდას რეცეპტი რა, ა-ასპირინი კი ა-არაა, ტლო...
- ვერც დაწერე ეგრე, მამუკ, - ვალიარე ღია ცის ქვეშ,
- საერთო შევეშვები. ისედაც ვიცი, ვახურებ რაღაცას...
- რო-ოლანდას სიტყვებ შეეშვები ტოო?! - ალელე მამუკა, - გე-უნერინება და, რო-ოლანდას სიტყვებ შე-ეშვები? მაგან თავისი პონტი წა-ახა და იმას აწვება, გი-

უმ... მეტი ა-არაფერი. ყველა ეგრე კი არ ფიქრობს...
 - რა ვიცო... ჩამოვრჩი ტყუობა...
 - შენ წერე წერე, შენს!
 - მამუკ, იცი რა? ჩამოვი ერთხელ ჩემთან. იქა. სო-ველში.

- მი-ვევლედ, გიუმ?
- რაღაცებს განახებ. ვილაცებს გაგაცნობ.
- შა-ავები არიან?
- შავები არ ვიცი, მაგრამ რა არის იცი... იქ რა-ღაც...

აჰ! არა... ვერ გამოითქვამს, რა მინდა. სისუფთავის და სილამაზის ადვოკატობა მინდა... მინდა დავუმტკიცო მამუკას, რომ... თუმცა ეს თვითონაც მშვენივრად იცის.

რატომ, რატომ უნდა შევადარო საესე მთვარე მინც-დამინაც ქალის შიშველ უკანას? რატომ დავშლო ძუ-ძუ-საყვადი-ბარკულ თოვლიანი მწვერივითი შორით სამზერი ქალი, ერთი დიდებული მთლიანობა - სიფო? ან, რატომ აუფესო თვალენი სისხლით ელიჩკა ბებს და რატომ ავახუნებოდა ეს სასწაულით ლამაზად ჩაღვე-თილი, ტკბილი მოხუცებული? რატომ, მამუკ, რატომ! იცი, რა ლამაზია საწისქელი წყლებით ჩამორეცხილი, თითქოს უსაღებო ბარსპირით ჩამოთლილ-ჩამოჭრილი დაბალი, ბობინა ნაპირები?... იცი, რა სუფთაა ის თხელი, ბრჭყვიალა წყალი? მერე რა, რომ გუმინაც ასე იყო?... დღესაც ხომ ეგრეა... რატომ, რატომ არ უნდა დავინახო, მამუკ?... ან, სიფელს თავი დავანებოთ, შენ რომ იმ ჩა-ბინდულ-ჩამუსიკებულ ბარბეშო ზიხარ, დროს კლავ და ელოდები, ელოდები, რომ წამო, დაგებრუნოთ! - დაგი-ძახებენ, ლამაზად რომ ელოდები, მამუკ, რატომ გწამლო უიმედობით, რატომ! შენ ხომ მაგით ცოცხლობ, ძაო...

ჰუ! ვანდაბა! ყველაფერი ეს და ბევრი კიდევ სხვაც მინდა ვუთხრა ამ კაცს, ასი წლის წინ ჩემგან გულნატ-კენს, კაცს, სამომავლოდ რომ აქვს გადადებული ცხოვ-რება... რაღაცნაირად, დროებით რომ ცოცხლობს, თით-ქოს ვაგზლის დიდ, ჩახუთულ მოსაცდელში თავისი მატა-რების ჩამოდგომას ელოდება...

ეს კაციც გუმინდელ დღეშია. გუმინდელი დღითაა დატენილი და ეგრევე ზეგინდელს უცდის. ზეგინდელში აქვს ჩათესილი იმედის მარცვლები. დღევანდელ დღეში ისეა, რა... შემოსვვით, თითქოს... და ლამაზია, ტოო... რა-ზე დავამახინჯო.

ეს ყველაფერი და ბევრი კიდევ სხვაც მინდა ვთქვა, მაგრამ დღემთმა უწყის, რომელს ემის ენა ჩვენ ორში... ენა კი არა, აზრები მეტმის... გრძნობები... ემოციები...

მოკლედ, ტყუობა მართლა უნდა შევეშვა ამ საქმეს. მეტიც უნდა მღელვარედ ვუდგებო და თავი უცებ ის წა-მომეძალა... ჩემი ზრიალი. ჩემი კოშმარი...

- გვიუმ, შენ უ-უხანს სო იცი, ვვინ უ-უყურებს...
- ვინ?
- ჯაყელი. მშავარი კაი ბიჭია. ჩემი ძმმა, რო იცო-დე...

- არ ვიცნობ.
- ა-არა აქვს მნიშვნელობა. გვიუმ... მოკლედ, ნა-ადი, ბრატ ი-ომ შენ ლა-ამაზ სოვლენ... ჰოაა... თთ-თუ გინ-და, ლ-ლიაც დატოვე კა-არა... და ი-ისე ნად... ბ-ბუ-ბუ რა არი... ბუ-უზი! ხხო აზზე ხარ... მმე-ვევლენი და რამე-უყურებენ, რაა. მო-ოკლედ...
- მაგარია...

ჩვენს გზის გასაყარსაც მივუახლოვდი.
 - ზ-ზე მდისობ, ხო?..
 - შო, ზეგ.
 - რა ვიცი... ხვა-ალე თუ -ა-ამოგადექი... თუ არა და... ფესს ითრევს. აშკარად რაღაც უნდა მეთობს.

- ბიჭო... გგი-იუმ... ქქალები ი-იძლევიან, გიუმ? ა-აბა ისე... როგორ ი-იქნები? ა? ი-იძლევიან, გიუმ?
 მაგად მეცივება. მაგრა! თავს ძღვს ვიკავებ.
 - წა! არ იძლევიან.
 - ააუ ჩემი... და... ისა... ი-იძლესაც არ იძლევიან, რო... ისა... რო მო-მოზავალში მოგვცენ? ა? გგიუმ... გი-ინდა ნაშორკებს ჩა-ამოგიყვან?.. გგინდა, ვა-აუშე, დეაჯენ და გა-ამოგვავანი ვინმეს... პპასილკასავით...
 - მამუქ...
 - შო...
 - მაგანი, ქალი მიყვარს ერთი... მაგრად, თან.
 - აა... ვოტ ანო, შტოო.
 ჩუმად ვდგევართ გზისგასაყარზე. გგანვიშს.
 - ე-უქ იგი... იისე რა... უ-ულოგინოდ? შო-ორიდან, გიუმ?
 - შო.
 - გგლიჯავს! მაგრამ ა-აურიან ხალხმა ერთმანეთში სს-სეგისა და სი-იყვარული, ისე... მეც ა-არული მაქვს. რამ-დენიც სს-სეგისა, ი-იძდენი ს-სიყვარული მგონია...
 - ყველანიარად ხდება... ჩემი ასეა, უზარალოდ... ისე, სეგისდინაც შეიძლება... ყველანიარად ხდება, მამუქ... ვინ რა იცის, სადა...
 - გგო-ონგეითი, არა? ჩ-ჩასაფრებული... ვერ მივუხედი.
 - აა... შენ ა-არ იცი... გგონტამამში და რამე... დენი ა-არა გაქვთ, იქით...
 - შო, გრეა.
 - გიუმ... მოკვლედ... ა-აქა ვარ, რა! მე სსულ ა-აქა ვარ, რა!
 - ვიცი.
 - გგინდა მთა სოფელში იყო... გი-ინდა შო-ოლივუდში...
 - ვიცი, მამუქ.
 - დავაი, აბა! ხ-ხ-ვა-ალამდე...
 ის იქით. შუაზე ვიყოფით. მე აქეთ. და წვიმს...

* * *

როცა ჯიმიზე ვინჯებ ფიქრს, დრო თითქოს ჩერდება. თითქოს ანჭყოში აღარაფერი ხდება და თითქოს, მეც აღ-არანაირი შანსი არ გამაჩნია წარსულიდან ანჭყოში გად-მოვალნიო. მთლიანად იქ ვარ და მორჩა.
 ჯიმი ჩემი სიცოცხლის ერთ-ერთი თანამგზავრთაგა-ნია. არა მგონია, ცხოვრების თანამგზავრი მხოლოდ ცო-ლი ან ქმარი იყოს. ყოველ ადამიანს, როგორც პლანეტას, გა-რს უფლიან თავისი თანამგზავრები. ბუნებრივები. ხე-ლოვრებრივი... თანამგზავრები მატულობენ, ადამიანის საფრენ-საბრიალო დრო კი მცირდება... ერთხელაც პლა-ნეტა გაჩერდება, ჩაქრება და მისი თანამგზავრებიც მიქ-რებიან, როგორც წერილ-წერილი მქრქალი ვარსკვლავე-ბი უზარმაზარ, შვე ცაზე...
 ჯიმი ჩემი სიცოცხლის ერთ-ერთი თანამგზავრთაგა-ნია... ციური სხეული, რომელიც ჩემთან ერთად იბრია-ლებს ამ მირაჟულ სამყაროში და ჩემთან ერთად ჩაქრე-ბა ჩემთვის.
 ჯიმის გახსენებას რამე ისეთი, გამახსენებელი სიტუა-ციები და ბიჭები არ სჭირდება. ის რამე ფიქრს ან სიტყვას არ მოჰყვება ხოლმე. ჯიმი მოდის, როცა მოე-სურება.
 აი, ახლაც. ამ ჩაბნელებულ, დანვიმულ სეივენს რომ მივუყვები მინისკენ, ჯიმი თითქოს უჩინარ ლანდელ მომ-ყვება გვერდით. ჩვენ ვერაფერი დავგაშორებს, იმტომ, რომ მე ჯიმისთან ერთად მოგვედი, ჯიმი კი ჩემთან ერ-თად ცოცხლობს. აი, ასე. არახადროს მემინია მისი მოსე-

ლის. ის არ არის სიჭიქოდან აყრილი, ანრიალეზული მიცვალებულის აჩრდილი. ის ჯიმი. ჩემი ჯიმიშერა, ჩემი მშავი... და ნაღვი მშავაცები არ კვდება. მიცვალებუ-ლებად არ იქცევიან.
 აგერ, ჩემი სახლი. ამ წვიმიან და სიბნელეში "ტიტა-ნისკ" წაბაგეს. მხოლოდ გაცივებით ნაღვიგამირაღდნე-ბულს. აი, ჩემი ფანჯრები. ქარი ფარდას აქრიალებს...
 ღმერთო! რატომ არის ჩემი ურთიერთობები ადამია-ნებთან ესეთი მძაფრსიუფეტარნი? თავიდანვე. დაბადებო-დანვე... სომ შეიძლება, ჩვეულებრივად, უცოდავლად დაბადებულყოფიყვი. როგორც მილიანობა თავში ამ ცისქვეშეთში... სომ შეიძლება ამ მოვლიანობაზე ფან-ჯრებში შუქი ნიბეზულიყ ახლა და დედაჩემი ყოფილი-ყო გადამომდებარნი... ღმერთო, რატომ გავვერი ამდენ სა-ცოდაობაში? სომ შეიძლება, არ გავვერულიყავი... დე-და... მამა... ბებია... ყველას მაივრად დააღლიო ბაბუა... კრისტი...
 და ჯიმი მოდის. კარგი, მოვიდეს. კარგი, ვიფიქრებ ჯიმიზე ახლა მისი დროა. აი, ჩამოვდები ბზის ბუჩქებ-ში შეუფულ ამ პატარა სკამზე ჩემი სახლის წინ, გარა-ყებად და დეკორ ეზოში და ვიფიქრებ შენზე, მეგობარო... აა... აი, ასე...
 ჯიმი მაღალი და გამზდარი ბიჭი იყო. ოდნავ მოუ-ხერხებელი, ისეთი, როგორებიც არიან საერთოდ ანონი-ლი და საუთარი გრძელ კიდურებში გახალთალი ბიჭე-ბი... ჯიმი ოდნავ დაბნეული და მორიდებულიც იყო, მაგ-რამ ჩვენს ნაწილში რომ მოვიდა, ყველა მაშინვე მიხვდა, დაბნეული და მორიდებული კი იყო, მაგრამ ლამარი - არა. ბოზმა ყელში ეტყინა და ბრძოლა უნდოდა. აგტო-მატმა იყო მისცა.
 ჯიმი წყო თუ იყო - ლამაზად რომ ხედავდა. იმ აე-ტომატების კავანში იმ გაუბეცების გრიანში ჩიტის ქი-ქის გაიგონებდა... იმ კვამლში და დენის სჩრაოლში, იმ ცეცხლში და გენიანში შზის ჩასვლას დანიანავდა ზღვა-ში...
 ეგეთი არ იყავი, მშო? სომ არაფერი მემულება? მე და შენ ერთად ჩავვარდით ტყვედ. როგორ იყო, რა იყო, კადრებს ვეღარ ვალაგებ, მაგრამ მე და შენ ერთად ჩა-ვვარდით ტყვედ იმ ჯანდაბორი ალყის დროს. ხელები ზურგზე უარეკვირეს და ასე, აუტომატების მოშერ-მოგე-ნით მიგვიყვანეს თავიანთ ბუღურუგანამდე.
 ერთი რამე არ გამომდის თავიდან, მშო. ესე რომ მოგვერეკებოდნენ, ფეხვეშ სველი ქვიშა რომ სჩრილებდა და წინ კი სიკვდილი გველოდა მასპინძლოდ, მხარი გამ-კარი და გახვედ, გიო, რა ცისარტყელიაო, - მიმახვედ.
 დედის სულს გეცვივებთ, ეგრე იყო. იდაყვი გამკარ-და, გახვედ, რა ლამაზი ცისარტყელიაო...
 უკვე ვიციოდ, ლამაზად რომ ხედავდა, მაგრამ თუ ასე?..
 შეგვეყარეს რაღაც დამწიხულ ფარდულში, იქვე, ზღვის პირას. ადრე მთელზეების ფარდული იყო, ტყეპია, ძვე-ლი, დასერებელი-დამწიხული ნავები ეყარა... ხავსიბედე-ლები... დაქმნილი ბადები... შშორის, აქიოებული თე-ვის რაღაცნაირი, მლაშე სუნი იდგა. ფარდულის ღრვიო-ბიდან ეწარება ჩანდა ზღვა და იმათი პატარა, პრეზენ-ტის კარავი ფარდულის შორიანლოს.
 საღამოსკენ ცეცხლი დაანთეს. ქამენ, დათვრდა. დათ-ვრენ. ახორხოდნენ. ორი ეფიქრებოდა ჩემი ფარდულ-ის. კარი ნილთი შემოაღეს და არ ვიცი, რატომ მაინცდამა-ინც ის, მაგრამ ჯიმი გართ გაიყვანეს. მე კი უსაშვე-ლოდ მაგრად მიმაბის ხელბორვილით ჭყარის რომე-ლილაც კოჭზე თუ ძელზე...
 ღრტიქოდან ვბედავდი, როგორ ურტყეს. მერე და-

აყენეს და ოთხმა კაცმა ამოიღო მიზანში. ხვრეტდნენ ჯი-
მის! ხვრეტდნენ და მე ვუყურებდი. ჯიმი ცაში იყურებო-
და. ცაში ღრუბლები დაცურავდა ფთილა-ფთილა... შე-
ვარდისფერული, უბოროტო, ნაწი ღრუბლები... ერთი
გალმული ტიპი ჯიმიდან მივიდა, ნიკაბი უხეშად ჩაიო-
უნდა და ლულებსიც გახაებდა... იქ უყურეო, ცეცება და
შემოუარა წელა და კეფაშიც მიამალა ტორი.

უმიზნეს და უმიზნეს ჯიმი. უმიზნეს და უმიზნეს... მე-
რე ატესტის სიცოცხლის ხარხარი და ტყეები აქეთ-იქიდან უზ-
უზუნეს... მერე კრეს ხელი და ისევ ფარდულისკენ გამო-
იგდეს...

მეორე დღეს ხუთჯერ გაიყვანეს ჯიმი დასახვრეტად.
ეტყობა, ჯერ მისით ერთობოდნენ. ჩემი ჯერი მერე დად-
გებოდა.

მოკლედ... გაიყვანდნენ, უმიზნებდნენ... უმიზნებდნენ...
ამაყობდნენ... აბა, ახლა ჩიტი ჩაშოფინდებდა... აბა, გა-
ილიმეს.

ჯიმი ხან ცას ასეივად, ხან ზღვას გახედავდა... ისი-
ნიც მაშინვე სახეში თხლიშაგდნენ და ლულებსკენ აყუ-
რებინებდნენ. ლულებიდან სიკვდილი იმზერებოდა. სიკვ-
დილი მატრებაზობდა. ჯიმიც კატა-თავგობანას თიამაშე-
ბოდა, აბუნად იგდებდა... ერთობლა სიკვდილი.

მთელი ძალით ექაჩებოდი ძელზე მიბმულ ხელს...
კბილებით მიწოდდა დამტკიცოდა იქაერთობა. მაგა ჩამი-
ნითობდა. ჩამისხლიანდა...

ჯიმი სულ უფრო მშვიდად გადიოდა სიკვდილთან სა-
თამაშოდ.

- შენ ნუ იყურები ჩემკენ, გიო... ნუ ითხრი ნერვებს...
იცი რა? მგონი, საერთოდ არ დაგვხვრეტენ. მაგათ რა-
ღაც მიზანი აქვთ სხვა. ისე გვაიამაშებენ, მანამდე... -
მითხრა ჯიმიმ მეორე დღეს, ბოლო გაყვანის მერე.

ზღვა ოდნავ ღელავდა. კარგად გვესმოდა აფორიაქე-
ბული წყლის ტყალა-ტყალუშის ხმა. თოლილი მოიხდნენ
და სიცოცხლე ზღვის ნამოქიორილ ტალღებზე მოგდებუ-
ლი თეთრი ქაფივით ეფემერული ჩანდა... ჯიმი თავისას
ფიქრობდა, მე ჩემსას. ორივეს ფიქრი ერთი იყო - ზღვის
შრიობა, თოლივის ნრიბინი, ქარის უზუნუნი და ჩვენივე
გულების ცემა მტისმეტად შავდა რეკიევიმ...

- გიო, რაზე ფიქრობ... - მკითხა ჯიმიმ.
- შენზე.
- ჩემზე?
- ხო. კიდევ რო გაგიყვანონ...
- შ! მაგაზე ნუ ფიქრობ... სხვაზე იფიქრე რამეზე...

ამინდი არია. იმ საღამოს მზე წითლად არ ჩასულა
ზღვაში. წაყლავდა და ცსავც ტილახისფერი ედო. ქარი
ქროდა და რაღაც დათარეშობდა... ავი და დაუნდობელი...
რაღაც არ ვიცი, რა...

- ადრე ლექსებს ვწერდი, - თქვა ჯიმიმ.
- ლექსებს?
- ჰო. მაშინ ძალიან ბედნიერი ვიყავი.
- და იმიტომ წერდი?
- არა... რომ ვწერდი, იმიტომ ვიყავი.
- ისე ცისარტყელაზე რო მითხარი, გზაში. მაშინ ეი-
ფიქრე...

- რა?
- ალბათ ლექსებს წერს ხოლმე-თქო...
- სისულელეა, ხო?
- რა...
- ლექსების წერა.
-- სისულელე რატოა...
- გინდა რაღაც გითხრა?
- რა...
- ახლა ისევ დავინწყე ლექსების წერა...

- შ! გაგიუდი შენი გაგიუდი! გააფრინე! გაიკვე? გა-
რეკვი! ისტორიკოზი ჩავჯერდი - რა დრის ლექსებია! ხე-
ლი რო... ხელი რო არ მქონდეს მიბმული, გცემდი. გეუბ-
ნები! აზრზე მოიგეყვანი!

- სსს... შშშ... - ჩამაშუმა ჯიმიმ, - თვიონ არ ხარ
აზრზე შენ, გიო... იქ როცა გაყავარ, მაგ...
- ნაბოროტბი... ვუკარნახე კბილებს ღრჭენით. ჯიმი
უჭირდა გინება და ასეთი სიტყვები...
- იქ როცა გაყავარ მაგათ... არ მეშინია... ლულებსა
როცა ვუყურებ, არ მეშინია... იმიტომ რაზმ...
- რატომ!
- იმიტომ, რომ ლექსებს ვწერ მაგათ ლულებზე... მაგ
ლულებზე, გიო... მაგენი მიმიზნებენ, მე კიდევ რითმას ვე-
ძებ... სიტყვას და ამასობაში, აღარ მეშინია...
- ი, ღმერთო! ნუ შეშლილი თმია... თმა რატომ გაუთეთ-
რდა დღენსავტომი...

- ისე, გეუბნები, არ დაგვხვრეტენ მაგენი...
მაგრამ დილით ჯიმი დახვრეტეს.
ჯერ ისევ ისე ათამაშე. ლულებსთვის აყურებინეს.
ვიცოდი, რომ ის ახლა ლექსებს წერდა იმ დამიზნებულ,
ჭკუაშორულ სიკვდილზე. მან კი არ იცოდა, რომ უკვე
მართლა ესროლდნენ.

და ესროლეს. დააყარეს. მერე შუბლგახვრეტილი, თვა-
ლაშოგდებული, მუცელგახვრეტილი, გულგაგლეჯილი,
სისხლით ამოვლენული ფარდულში შემოათრის და
გვერდით მიმიგდეს.

აბა, მიიზხარი ერთი, არის თუ არა ჯიმი ჩემი სიცოცხ-
ლის თანამზადარი? ან დაგვეპირებს რამე?

მთელი დღე გვერდიგვერდ ვიყავით. მე - მაგით რა-
ღაც ძელზე მიბოროცი. ჯიმი - მკვდარი. დასახიერებუ-
ლი...

ისინი საღვაც გადაიკარგნენ. მხოლოდ ერთი წვერგა-
ბანჯგულული ტიპი დარჩა კარვანში. გამოიხედებოდა, შე-
მოიხედებოდა ჩემთან, გაიღმებოდა საზოგადო და მი-
დიოდა. საღამოსკენ ცეცხლი დაანთო. ერთი ბოთლი არ-
აყი გაბოზუნდა და კარვან შებოზდა.

რომ შეშინდა, არადადამიანურმა ძრწოლამ ამიტანა.
არა, შენი არ მეშინოდა, ძმაო... შენი თვალაშოგდებული,
სისხლმეშმარი სახის და დაგლეჯილი სხეულის არ მე-
შინოდა... მე საკუთარი თავის შემეშინდა. ჩემში მხეცი ჩა-
ბუდდა. საშინელი, მკინეარე მხეცი. არადადამიანურ ძალას
გვრწმობდი და ერთხელაც, გამეტებით რომ გამოქვამე ხე-
ლი, ის რაღაც ძელი ყრუდ ჩაიფუნა, ჯაჭვი ჩამოცურდა
და ხელზე დამეკიდა.

გაქვს გავადა. კარს მივჯერდი, მაგრამ გარედან იყო
ჩარაზული პატარა ხის რაზობი. ეგ არაფერი! დამიჩიული
ღრჭო იოლად გაგაფართოვე, ხელი გაგავაი და კარიც
გავაღე...

გაქვდა შეძილებოდა! ხელს არაფერი მიშლიდა. მაგ-
რამ შენ? შენთვის რა მექნა, ჯიმი?

კარგად ვიცივდი კუთხეში, აბლაბუღაში გახვეულ კუნ-
ძზე თავმობტრეუილი ნავის ლამაფ იდო. თავი მოვახ-
რანზე. ნავით ბლომად იყო შიგ... ასანთი! ასანთი არ
მქონდა. გარეთ გავედი და კოცონამდე მივხიხი. მერე
ერთ თევზით ბრტყელ ქვაზე ალში მოიცილიეც ნაკ-
ვერცხალი შევადე და უკან ნამოვხიხი.

ეგას! ასე ვერ დაგტოვებ, ჯიმი! აქაურობა ცეცხლს
უნდა მიეცე. შენც... შენც შიგ გამოიწვები. არ შეიძლე-
ბა, ასე რომ ეგდო, ჯიმი... არ შეიძლება, რომ კატებმა
და ვირისებმა დაგძიქვნონ.

... არ შეიძლება, რომ ასე გაიხრწნა... მაპატიე. აქაუ-
რობა უნდა გადავწვა... ის... ის კარავში გაშლართული
ნაჩირლავ ხომ არ ჩავკლა და მერე აქ ხომ არ მოვთ-

რიო? ან ხელები ხომ არ შევუკრა ზურგზე ჩვენსავით და ცოცხლად ხომ არ გამოვწვავ აქ? არა... გაღმოსულ და მძინარე კაცთან რა ხელი მაქვს... თანაც, ის და შენ ერთ ცეცხლში არ უნდა გაეხვითო, ძმაო... ის ჯოჯოხეთის ცეცხლის ღირსია... შენ კი, შენ შენს ლექსებთან ერთად დაიწვიე, მეგობარო! შენს ლამაზ ლექსებთან ერთად...
ნათი მოვასხურე ახორხლილ, დამძირულ ნავეებს და ნაკვერჩხალაც შევაგადე. ალი ავირდა...
ასე...

მშვიდობით, ჯიმი!... თუმცა, არა... ნავედით, ჯიმი... ჩქარა, ძმაო... ჩქარა დაევაგივით აუქვან...
აი, ასე იყო. და ნეტა, როლიკოს რომ ეს ამბავი დაანერინა, სად გაახერხებს და სად ჩაურთავს ორგ...

ეჰ! შაპატიე, ჯიმი!...
აი, ჩემი სახლი წინ. "ტიტანიკივით"... ბნელში მიმცურავი... აი, ჩემი ჩაბნელებული ფანჯრები და ჩემი ფარდები... ქარნაღებულნი...

აი, მე აი, სევდა ჩემს გულში... აი, ბაბუაჩემის დარგული ნაძვი და აი... ვაჰ! ეს ვინაა? აი, თავად - თავაძე ხერხით ხელში... ბნელეთის ლანდევით ჩუმად და საშიშად მომავალი...

ხედავ? ხედავ, ჯიმი, რა ხდება?
ბაბუაჩემის დარგული ნაძვის მოჭრა მოუფიქრებია ამ ბნელი ლამით! ეჰ, ძია გრიშა, ძია გრიშა... ბატონო გრიხელი... თუთუდ შუთავთ ახლა ჰიტლერ და სტალინგარეულ სიზმრებში.

ახლა ჩემი დროა ახლა ჩვენს დროა, ჯიმი... ხედავ? ამ კაცის სულს პოეზია სულ ესაა... ბნელ ღამეში ხერხით ხის მოჭრა... მის ადგილას გალის დადგმა და შიგ მანქანის გამოწვევაც... ნავედით, ჯიმი! ნავედით, ძმაო! ერთი, დავახსორო ჩვენებურად...

* * *

- ბატონო გივი!
- შაჰ!!!
- ბატონო გივი!
- რომელი ხარ კაცო, ამ ბნელში!
- გიორგი ვარ, ობოლაძე, ბატონო გივი!
- ვაჰ! გიორგი? საიდან გაჩნდი აქ, ბიჭო... რა გული გამოიხატე...

- ხეარით, საით ბატონო გივი... ამ გვიანდამით...
- ააა... ევეე... ვაჰ! ხო! ხერხი, კაცო! რუსაქმების ხერხია... სახლში რაღაცეები მქონდა... თარიღები... შოდა, ავუტან-მეთქი, ბარემ...
- ასე გვიან? არ ეძინებო?

- ვაჰ! რა დროა კაცო...
- პირველი ხდება...
- ვაჰ... საიდან გაჩნდი აქ, ბიჭო! შენ იქ არა ხარ? სოფელში? სადაღაც?
- ხან იქა ვარ. ხან აქა ვარ... ისე, კარგი ხერხია.
- შა? შო... კი.
- ხერხი სჯობია ღონისეთს... არა, ბატონო გივი? თუ კაცი მოიგონებსო...

- რა ანდაზებით შელაპარაკებთ, ბიჭო...
- გვიანია, ბატონო გივი... შუალამა. რუსაქმებს ეძინებათ ახლა... ძია გრიშასაც, ძია გრიშასაც სძინავს ახლა...
- გრიშა რა შუაშია, ვითომ! მივრალი ხომ არ ხარ შენ!

- ბაბუაჩემსაც სძინავს, ბატონო გივი... იმქვეყნად.
- შენი ვერ გავიგე, კაცო... რას ამბობ... რა ბაბუაშენი...
- მარა მე არ მძინავს, რომ იცოდეთ, ისე... აქ ვზი-

ვარ, ვოზოში... ვაბოლებ. მოხერხებულ ხალხს ვუყურებ...

- თქვი, რა გინდა, ბარემ...
- ამ საძის თავი დაანებეთ, ბატონო გივი... ბაბუაჩემი ხეს ვეღარ დარგავს აწი...
- ფუიი! ჩასაფრებული იყავი?
- ჩასაფრებული? გოგი კი არ ვარ... გამახსენდა მამუკა.

- მოგნამლა, ხო, იმ ბებერმა! გრიშამ ავიყოლია, ხო?
- ლამე მშვიდობის, ბატონო გივი...
- იპ...
- ერთსაც გეტყვი, თუ გინდათ... ანდაზისნაირს. რა ვიცი.

- რომელს, მინცი!
- იმ ტოტს ნუ მოხერხავთ, რომელზეც ზიხართ, ბატონო გივი...
- მეშუქრები?
- ჰ. დაახლოებით...
მერე კიბეზე ადევარ.
უსწავური დღეა. დავიღალე.
- "ცხელი ჩაი მინდა, დედა..."

* * *

ჩემი "ციხე-სიმაგრის" მოპირდაპირე კარი შედებულია. და შიგ ქეთა დგას. ჩემი პირველი სიყვარული. უფრო სწორად, ჩემი პირველი სექსუალური გატაცება.
- სახიზღარო... - მეუბნება ქეთა აღერსიანად... საერთოდ, მეტიც. ქვაბს რომ ხეხავდეს, ან კიბეს რომ გვიდღეს, იკანთა სექსუალურად გამოუდის. და აღერსიანად, ეგეთია.

ჩემზე სამი წლითაა უფროსი... გასაოცრად გრძელი კიდურები აქვს და მოკლედ, კაცის გასაგიჟებლად რაცაა საჭირო, არაფერი აკლია. ჩინწლიანი, თითქოს წამავალი ხმით დანეყებულ და შენს სახეზე და სხეულზე მოხეტიალე მხერხი დამთავრებული... მოკლედ, წასულია შენი საქმე, მიხანწი თუ ამოგიღო...

შოდა, მე-11 კლასში რომ ვიყავი, ამომიღო მიხანწი. ხან ეს მიხანწა, ხან ის, ხან კიბის თავზე გადმომიგდა ძალიან მოკლე კაბით, ხან... მოკლედ მის დანახვაზე უკვე თვალეები მიწნებდებოდა და მაჭრიალებდა. თითქოს, აქამდე ვერ ვხედავდი... რაღაცნაირად, უცებ დამახანა თავი, მეც, დავინახე და და-ვე-ცა... მერე, ნათვამამდი მაინც, ხელისწაცლებით მივეყვი ადამის წამოწყებულ ინსტინქტებს... ნაკლებმდედური ევა არც მე გამომიჩნდა და ვაჰ! იმათზე ნაკლები საშოთზე კი არ მქონდა... ნელ-ნელა აზრზე მოვიდიდი... ნამდვილი წითელქუდას ზღაპარი გაიმართა...

- ქეთა, ქეთა, რატომ გაქვს ასეთი გრძელი ფეხები?...
- ქეთა, ქეთა... რატომ გაქვს ასეთი გრძელი ხლებები?
- ქეთა, ქეთა, რატომ გაქვს ასეთი ღამაზი თვალეები?
- იიმიტომ, რომმმ... შაჰ! - და გადაამყაპა. სექსუალურ ამბავში.

მაგარი love story იყო... ქეთამ, ადამის გზაზე დამაყენა და გამიშვა... თვითონ კი, გზას აცდა, დიდი აწწწილ-ბზურდული ცხოვრება განვლო და არცერთ უბანზე არ გაუმართლა. არც ქმრებში. არც საყვარლებში. არც ბიზნესჩალონიში...

ამბობენ... რომ ქეთას დედა, - ვენერა დეიდა, ანუ, - ქეთას დედა არ არის... ზუსტად არაფერი ვიცი, მაგრამ ისე, ქეთა არანაირად არ ჰგავს დედამისს. ვენერა დეიდა დაბალი და მსუქანი ქალია და რომ იტყვიან, ძივებს და გორავდა. კიბეებზე ქმენა-ქმენით ამოდიოდა ხოლმე... ქეთას მამაზე ბაბუაჩემისგან მხოლოდ ის მსმენია, რომ მეტროში მუშაობდა... მე ის კაცი თვალთ არ

მინახვს. ვენერა დეიდა დიდი ხანია, შინიდან არ გამოდის. ავადმყოფობს. ლოგინსა მიჯაჭვული.

ქეთას ცხოვრება კი, რახანია, "ერთხელ, ამერიკაში"... გახდა. უკვე სამჯერ, თუ ოთხჯერ იყო წასული შტატებში. სამ თუ ოთხ მდიდარ, დავერიმომლ მოხუცს უარა და მათ მოვლაში აღებული დოლარები აქეთ გაზანა... და იმ დოლარებით აქ დედამისს, ვენერას დაუქირავე მომვლელი... ოღონდ აქაური, ამერიკიდან ჩამოსული არა. მთლად ეგეთი სარკისებური ტრანსპორტივაც არ მომხდარა...

დრო გადიოდა. ქეთა შტატებში დოლარებს აგროვებდა, ვენერა დეიდა კი აქეთ, - შაქარს და მარილებს, - საკუთარ ორგანიზმში.

მე და ქეთა თითქმის ვერასდროს ვემთხვევით ერთმანეთს. ის ჩამოვა, - მე ვარ წასული. მე ჩამოვალ - ისაა წასული. ამასობაში, ნახე, ძმაო, რა ქალი დამდგარა! ჰ! არის მისში რაღაც პოლიტიკური? ეს ჩაიხსენებოდა გადაღლებილი სლიკინა თმა, ეს ჩაღვლილი ხაკისფერი პურანგი, ეს ავეცილი თოთი ტილოს შარვალი და ეს რაღაცნაირი, ამჩქეფებება, ტეხასური დეფიმი...

- საზიზღარო! - ისე ამბობს, "გენაცვალე" გამოუდის, - ჩამოსული ყოფილხარ და ერთი არ მომიჩვეე...
- სულ გართი ვარ... ამ დროს მოვიდარი...
- ეს დრო რა, დრო არ არის? მოდი, ვაკოცო. ასი ნელია არ მინახისარ.

ეს აღბათ, ამერიკული სუნამოს არომატია! მაგრამ, რატომ მასხენდება მაინცდამაინც ახლა სტომატოლოგიური კაბინეტის სურნელი? ნოვოკაინის, თაბაშირის, დარიშხანის, სპირიტის და ნამიანი ვარდების ოხშივარი?

- ყავას არ დამალევენებ? - ნელა ირწევა ქეთა, - მე შემოვიტან. ამერიკული ყავა მაქვს. ძაან ნაღდი. ვაკურთ...
- დავლით, აბა.
- ესლავე შემოვალ. კარი არ ჩაკეტო, - და უჩინარდება.

ვზივარ ბაბუაქემისგან ლამის ძირგაგდებულ საყარტელში... ესლა, შემოვა. დაიწყება "once... in america..."

- ეჰ, მე რომ მოვედი, შენ რომ არ წასულიყავი, დედა, ხომ ვერ შემომივარდებოდა ამ შუღლამისას ეს კატასავით ზნეკია ქალი? თავისი ამერიკული ყავით და გამოცდილებით?

თარიდან რაღაც წიგნი გამოვადრე და გადაფურცელე.

"შემედობით, კეთილი და ერთგული ვეგრე! დარწმუნებული იყავი შენი ბეთჰოვენის ერთგულებასა და მეგობრობაში..."

ჰ!
...ამჟამად ნებს ვაძლეე მუხას, იძინოს. და ეს იმიტომ, რომ ძალა მოიკრიბოს. იმედი მაქვს, კიდევ შეეკმინი რამდენიმე წანარმოებს და შემდეგ, დაბერებული ბავშვი, დაეანარელებ ჩემს ამქვეყნიურ საქმიანობას კეთილადამიანთა შორის..."

დაბერებული ბავშვი! დაბერებული ბავშვ...
- გითიო?...
- დაძახებაც განხეილი აქვს ამ ქალს!

- ჯოორჯ?
კაბა ჩაუცვამს. ძალიან მოკლე. ძალიან შავი. გვერდინდაც შექრილი.

- მოვედი.
- მოდი.

- მოხვარშო?
- კარგს იზამ...

- ოქციე! - გაიხნივა ტანიან, ხმიან, სიტყვა-პასუხიანა...

რაღაც უნებართბა მჭირს ამ ბოლო დროს. თითქოს მარტო არასდროს ვარ. თითქოს, ჩემი სიცოცხლის თანამ-

გზავრები ჩემს ირგვლივ ტრიალდებენ. სულაც არა აქვს მნიშვნელობა, ცოცხლები არიან თუ აღარ... პრინციპში, ყველანი ცოცხლად არიან ჩემთან... არაა განსხვავება...

ბაბუ... აქ ხარ? ვაკო, რას დაგინახავს ეს წიგნი ნი-თელი ფანქრით? დაცვა... აგერ! მთელი ეს აზნაცი, ბაბუ... "ზიპარისის მორალური სიდედ უარყოფითად მოქმედებდა ამარლოსს... მოთიბენიდან გამოჰყავდა იგი... ამას თვითონ აღიარებს: ... "მე იმიტომ გავხდი ცუდი, რომ ბიძაქვს (აქ ფანქრით მიგინერია, ბაბუ - "ბეთჰოვენი") უნდა დედა კარგი ვყოფილიყავი... ეს ბოლო წინადადება ფანქრით მრგვლადაც შემოგინახავს... ნითლად. რატომ, ბაბუ? ჩემზე და შენზე ხომ არ ფიქრობი ამის კითხვებს? ხომ არ შეეგონებოდა, მეც იმ კარლოსივით ზრინვე ცუდი არ გამოვსულიყავი? ბეთჰოვენი კარლოსს ზრინვდა... შენ - მე. შენც ძალიან გინდობა, კარგი ვყოფილიყავი და ამ სიტყვებმა მაგრად ჩაგადარაჯა, არა? ა? ნუ გემზინია, ჩემო ბებურო... არასდროს გავხდები ცუდი იმის გამო, რომ შენ ჩემი სიკარგე გინდობდა... ეგ არ იდარდო... იცი...
- Your coffee, George... ეგ რა არის... რას კითხვობ...
- რა ვიცი... ბეთჰოვენის ცხოვრებაზე... და მიქელანჯელოზე... დედაქინა დიორობა?
- წესებს და ძინავს. რიღამდე არ იმძრევა. საძილებს სვამს.
- მაგრა მოტყდა.
- ჰო... მოგწონს ყავა?
- საკვიფოა.
- იცი, ერთხელ... ამერიკაში...
ხო ვიქციე. დამბებრა ოკეანისკაღმიდან... ერთხელ, ნიუ-ორლეანში და... ერთხელ, ბაფალოს გზაზე და... ერთხელ მისის ჯორენმა... ბრაიანის მანქანით... ჯოზუფინას ძმა... და... დადე ეგ წიგნი.
ჰო... რას ვფურცლავ, მართლა, ამ წიგნს... ბაბუ... საით ხარ?

- იმიჯი მაგრად შემიცვალა ისე, არა?

- ვინ? - ვეკითხები ჰაიპარად.

- ვინ კი არა, რაში ამერიკამ, გიო! შტატებმა! რა დამტერებულად ხარ, ბებიი?

- ჰო... მაგრად შეგიცვალა.
- ნაიდე?

- ივექო... რას მიშლი... კარგად ზიხარ - და ფეხებზე შევავლე თვლი. ყურებზე მეტს იმსახურებს, მაგრამ... სოფოს გამოქცევაში ნივანით ქადები მასხენდება... მგო-რი, კიდევ უნდა იყოს ცეკობაში. გავედივარ და კი, არის თეფშზე ვანყობ. გზად, - ვწყნარავ ნიგვზის, თაფლის, ვანილის სურნელი აქვს და ონდაც, სულ ონდაც, - სტომატოლოგიური კაბინეტისაც.

- ოოუ?! - გაეხარდა ქეთის ამერიკულად. რატომღაც, შემეცროდა. არ იცის, - ეს ქადა უ არა, სხვა ქალია.

- ჰოოოდა... ბებიი... ნავედით ნიაგარაზე. მე, ბრაიანი და ჯოანა... იქ ერთი ზანგი იყო... ტომი... დადე რა, ეგ წიგნი!

- აჰა! აჰა! დავეე...

- გესმობა, რას გეუბნებოდი?

- კი... ტომის ჰქონდა ძალიან სქელი ტურები...

- ეგ არ მისწენია... მაინა, პრინციპში, ჰქონდა! არ მეკარებოდა იმისი ტურები... იმას კიდევ, ჩემს ტურებზე აფრიალებდა.

- მერე, რატო კონცინდა...

- როგორ, რატომ...

- თუ არ გევახებოდა...

- რა ვიცი... ცოლობა მთხოვა. გახსოვს, მე და შენ რი ვსასაობდით ხოლმე კიბეზე?

- ჰო...
- და... ის თუ გახსოვს...
- ქეთა...
- რა?
- არა, არაფერი.
- მაინც, რა?
- არაფერი...
- რა საშინლად მომწონდი, ბებიი...
- მეც.
- ეხლა?
- ეხლაც ძალიან კარგი ხარ...

ფოქი ალბათ ასე გამოდიან რაღაც ჭინჭრით გადავლილი თხრილიდან... თუ შუშებმოყრილი რამე ადგილიდან... თუ რა ვიცო... ასე გამოიხილართებიან ალბათ შემოკოჭილი თოვებიდან...

- მიედ-მოედები, ბებიი... რა ხდება... რამე ხომ არ დაკარგე იმ ომში...

პატარა ვულკანური ამოფრქვევა სადღაც, გულში. პატარა ცოცხი ნაგლეჯი...

- ომს შეეშვი.
- აბა?
- აბა და... წადი. დაიძინე. ყავისთვის დიდი მადლობა.

- ოქქეეეი... - ნამოიზნიჭა ქეთა, - აზიატები და ვირები ხართ მინც აქ...

- ამერიკაში?
- Good night, ბებიი... საზიზლარო... კი არ შეგჭამიდი...
- რა შესაჭმელი მე ვარ...
- ზეგ ისე მივფრინავ, ბებიი... ვიცი, ინანებ ამას. გულ ნააიტი -

და ჯახ! კარის ხმა. და სიჩუმე.
ბაბუ! სად ხარ?... დამტოვე?..

ისევ იმ წიგნს ვიღებ... და ეს? ეს რაღატომ გახაზე?... ნეტარი არის სული მისი, ჩვენ სიბერეში გულვებს მშურვალე სიყვარულით ვინც აგვიტყვირებს...

მგონი, ნეტარი გამოვიდვარ, ბერიკაცო...

ძილი გამიტყდა. * * *
ძილის დროა, არადა. ნანვიმარი, გრილი სუნთქვით სძინავს ჩემს თბილის-ქალაქს. ოდნავ შესუსხული ღამეული ქარი დანარიალებს ქუჩებში. აქა-იქ შუქი ანთია... ნეტავ, რატომ? აბა, ამ ცეცხლივან ენერგოფასეში ტყუილბურალოდ ვინ დატოვებს ღამით შუქს? ან ჭირია, ან ლზინი, ალბათ. ან ნეკროზი...

წარმოვიდგინე, სადღაც, რომელიღაც მოციქოებე ფანჯრის იქით შუა ოთახში დასვენებული კუბო... მიცვალე ბული. ღამის მთევლები. სათიღები...

წრფოლად ამიტანა. ახია ჩემზე! დარჩენილიყო ქეთა. ვიწებოლით ეხლა ჩახუტებულები. კედლებზე მოცისფრო, მუდრო ათინაები ილიცლიცებდა და თუნდაც ამ ერთ ღამეს გადავარჩენდი ერთმანეთს... აღარც გულს ვატყუნებ... რა ზედმეტად იდეინი გახდი გიორგი? რა იდიოტური ადოქმები დადე?

მაგრამ, არანაირი აღთქმები რომ არ დამიდევს?! ნუთუ ქეთა რომ შემოვიყვანო ახლა და ძალის ყმუილივით უსიამო ფიქრების გაქრობაში დავიხმარო, სოფოს ღალატი იქნება? ჯერ ხომ, მაინცდამაინც ჩამოვალბებულად, გამრავლების ტაბულასავით, ან მუნდელივის ცხრილივით არც გამიფორმებია, რომ სოფო მიყვარს? იქნებ, არც მიყვარს? იქნებ, შენს ვინაზე არა, მაგრამ... იქნებ უბრალოდ ცუდიც ვარ, ბაბუ? ცუდი, და მორჩა!

ვიცი, ქეთასაც არ ასვენებენ ეხლა სიმარტოვის ანრი-

ალბეული, მისუაფარი მაჯლაჯუნა ლანდები...
უცებ, გავლიზინდი. სოფოზე გავბრაზდი. თითქოს, საიდინლაც, ცხრა მთას იქიდან მმართავდა... მიმორჩილებდა.

ზედმეტად ხომ არ დავემონე ამ ქელს? მისი არღალატი ჩემი თავის, ჩემი კაცური მეობის ღალატი ხომ არაა? გავაბოლე. და ტელეფონზეც დარეკა.

- ნანბო, ბებიი?
- რატომღაც, უსაზღვროდ გამეწარდა ქეთას ხმის გაგონება... რაღაც ძველი და მშობლიური იყო ამ ხმაში.
- შემო, რა... - ღამის შევევედრე ისიც, შემოვიდა. შუქი ჩავაქრით და დიდხანს, დიდხანს ვისხედით ტახტზე ჩახუტებულები.

- როგორ გამაგდე... წელან?
- მამატიც.
- მე ხომ... ჩვენ ხომ...
- კარგი... კარგი...
- საზიზლარო... განა მაინცდამაინც სექსი მინდოდა... დეტილი.

- ვიცო...
- ღმერთმა იცის, კიდეც ვნახავთ ერთმანეთს თუ არა და ეს... ეს მაგდებს... იმისთვის... თითქოს ის...
- კარგი... რა გატირებს, გოგო.

- გიო... შენ აზრზე თუ ხარ, რომ შეიძლება ველარ განახო... და ის ჩავეკდე იქ, რო... ა? აზრზე ხარ? იცი, საად? ცხრა მთას იქით... მარტო... შენ კიდე... შენ კიდე... ერთი გოგო მოკვდა იქ... თბილისელი... ისიც ჩემსავით...
- აუ, ლუ ტირი, რა... გეხვენებო...
- მაშინ, ჩამეხუტე...
- აი... ამა...

- თავზე ვუსვამდი ხელს. ეგ იყო. მეტი არაფერი.
- კარგია, რომ გამოხვედი...
- ზეგ დილას მივფრინავ. და გული არავის წყდება...
- ხო... და რო აღარ წახვიდე?.. თუ ასე მწელია?

- მერე რა ვქნა, გიო! რა ვქნა, მითხარი! ბოთლები ვზტო რესტორანში? თუ კვებები ვციო ბაზრობაზე? იცი, მარტო დედმარტოს წამლებს რამდენი ჭირდება? და ვალეზი? ვალევი, გიო?... გაწუმდი, მომეფერე... ჩემი შტერი... ჩემი სოლომონ ბრძენი... დებილი...
- მე ტირი, რა...
- იცი... სექსისთვის კი არ გეგონოს... სექსი ხო, გიო... სექსი ხო არაა მთავარი... უბრალოდ... ისე მინდოდა აქ ყოფნა... შინანს. ბოლოჯერ... თუ გინდა, სულ ისე...

- ჰო... ვიცი.
- გიო... ნაღდად არ მინდა სექსი... ასე ვიჯდეთ, უბრალოდ... ხო?
- ხო! - რაღაც გამეწარდა შინით. გულზე მომეშვა.

- "მიყვარს?" - სოფოს სიხორემ ამანრიალა უცებ.
- ის გოგო გადმოსავენეს... ძმებმა. და მამამ...
- მერე?
- მე რო ჩავეკდე... მე არავინ გადმომასვენებს... ვინ მყავს...

- სისულელეებს ღაპარაკობ... რა ჩავეკდე! ნახე, რა ქელი ხარ...
- მართლა?
- მართლა. ვარიანტი არ არსებობს. ბოლო "ნასადეკა" აქ გეკნება... დაბრუნდები. თან, მილიონერი...

- საზიზლარო...
- ზეგ მეც მივდივარ, ისე...
- "მიყვარს..." - გამრავლების ტაბულაა უკვე ხო!
- სულელი... ეგ რა წასვლავ... ეგ სამოთხვა.
- ისე... რა ვიცი... მიგნა კმაყოფილი იყავი... წელან ისე ჭკვიკვებდი...



- გეპრანჭებოდი, საზიზლარო...
და ისევ ატირდა...
კედლებზე მართლაც დაცურავდნენ მოცისფრო ათინათობი... ალარ მედიკრებოდა შორეული ფანჯრის იქით დასვენებულ კუბოზე... მაგრამ ახლა ამ ქალის სევდაზე მეფიქრებოდა და იმაზე, რომ ალბათ, მართლაც უკანასკნელად ვხედავდი.

- გასოსეს, ნელან ბრძანაზე რომ გეუბნებოდი... არაფერიც არ მასსოსეს, მაგრამ მაინც ვუყევე თავს.
- ნამდვილი პიდარასტია. და იცი, რა იცის?..
- რა? - ათასი საზიზლრობა წარმოვიდგინე...
- ფუჰ! ბოყინი! წარა-მარა... წარა-მარა...
- მეზე?..
- რა მერეს! რა მერე, გიო... ჩემო კარგო... ჩემო სუფთა ბიჭო... ჩემო... რალა მერეს! იცი, რა? მიიდი, შეაგინეს! ავგრე თქვი: მე ყველა ბრძანის დედაა... მიიდი რა! შენ მინდა, რომ შეაგინო, თორემ ჩემგან არ აკლიათ... გულში...
- ბრძანა ადამსსაც?
- მიიდი, გიო...

უცებ წარმოვიდგინე ქეთა... მალალი. თხელი. გრძელი. სადაღაც შუა ბროდვეიზე, ან სადაღაც, ეგეთ ადგილას. მთელი შტატების ბრძანებით გარშემორტყმული... ბრძანებით ქეთასკენ მიიწვიდნენ და გაიძახოდნენ: "fuck you, baby..." "come on, baby..." ქეთა მარტო იყო... თეთრი ქრილა კაბა ეცვა და მილიარდ დოლარად უღირდა ვინმე ჩვენებურის გამოჩენა... ვინც გემოზე, მამა-პაპურად შეუკურთხედა ამ გიაურებს...

ბოლბა ყელში მომანვა...
- შე ყველა ბრძანის დედა... ქეთა... - შევიგინე მთელი სულით და გულით.
თენდებოდა. ძაღლები აღავლავდნენ ნალამურ ქუჩებში. მანქნებმა მოუხშირეს.
- ამ ღამეს ზეგ ამერიკაში წავიღებ... - მითხრა ქეთამ.
- მძიმე ხომ არ იქნება?
- პირიქით... სხვა ყველაფერსაც შემინუსუბუქებს...
- ჰ!
- ვინმე გიყვარს, ბებიი?
მხრები ავიწიე.
- გიყვარს.
- ზეონი...
- გიყვარდეს... მაინც წავიღებ ამ ერთ ღამეს ამერიკაში... ერთი ღამე ისეთ რას დაგაკლებს... ხო არ გენანება, გიო... ხომ არ გენანება ჩემთვის? ალ. ხო არა, ბებიი... ერთი უსუქსო ღამე... უბრალოდ, შეციოდების...
- ნუ ტირი...
- ჩამეუბტე... მომეფერე.
თავზე ვუსვაძმი ხელს, ბავშვით.
ნელა, ნალვლიანად და ძალიან ჩვენებურად თენდებოდა.

თოვლი რომ მოვა, * * *
სოფელი თითქოს უწინარდებდა. მარტო კვაბლი ადის აქა-იქ დიდი, ბრჭყვიალა სითეთრიანი და მოგუდული, რაღაცნაირად, შუაგზაზე დაჭერილით ხმები გაისმის... პირუტყვი ზემოის... ძაღლები ღვავებენ... მამლები ყვირიან... ბავშვები ფრიაბუბუბენ... ზამთარია, ჰა.

მერე, ნელ-ნელა, თითქოს მსატყარი ხატავს შვი პასტელით, მოხასხება ლობე-ყორებო... გაფარჩხული ხეები... აივან-შუშანდები... ნაფხურები... ნაურმალები... ნაბორბლარები... ნაცივარები... სიგლუვეს, სითანბრეს და-კარგავს თოვლი... ამოირება აქა-იქ უწინ-ამონაყრები...

მინა ამოიგლისება ჩახლართულ-ჩათოვლილ ბურქისძირებში... მინა ამოიგლისება ღობის ძირებშიაც... ქიშკარ-გადასაბიჯებთან...
- თეონაა... უუუუ... - გზად... გზად იკარგება სმა.
- ბატონოოოოოო...
- დროოოოოოო... დროოოოოოო...
- ბესკვიითა... ბესკვიითა...
- შოთია-უუუუუუ...
ყიფი-ყიფითი გარბიან სკოლისკენ. გზაში მატლებზე... თოვლზე დაგორებულ გუნდასავით დიდდებიან... ბეგრდებიან... ჩექმისყელებში, თბილსაყელოებიდან ამოირილ ჩამბბარ, მამაყინნას კისრებში თოვლი ყვრებათ... ფთილა-ფთილა - ჩამონბტყც ხეებიდან... დამიზნულ, ჩაფშენილ გუნდებიდან... ვერ გრნობენ... ვერა... ხურან... დანილდებულ, დაიოშლ ხელებში გუნდებს ტკეპნიან... სიცელი თოვლთან ერთად იფშებნება... ფთილა-ფთილა იყრება...

ღობებზე თოვლი დევს. სარებზე - პანია, მრგვალი ნამქვარივით... თეთრად... კოსტად...
- ღელე მოლოკივებს მინაინ-თოვლიან ნაბირებში... შე-ჭირხლულ ქვებში... სველი იების სურნელი მოაქვს საიდანდაც... ზემოდან... მთიდან...
ტკეპ კი... მინა... მინაინდებული. დამზრალი. ჩამალული.

ბოსტონში გადავა ცეცხლთან გამბბარი, სახეატკეცილი ქალი... დათოვლილი, შემოდგომამოყოლილი პირებს ხელს გამკრავს-გამოკრავს... მუქი მწვანე ამოსკვება ცივ სითეთრში, ტკაცა-ტკუცით გადაამტყვრებს თავებს... ჩქარ-ჩქარა... "უჰ... კარგი იქნება ცხელ ღობიოზე..." მინს სუნი აბრუებს მაინც... გაზაფხულს ყნოსავს სადაღაც... სადაღაც აქ ჩამალულს... ამ თოვლში და ყინვაში... ყნოსავს... ყნოსავს... აქა! აქა! სადაღაც... გაზაფხულო...

თივის ზეინებს თოვლი ადევს სქლად, მშრალად, უფრო დიდ რაღაც არსებებს თავთან გვერდიგვერდ წამოყუდებულ ზეინებში. თეთრი თევზამოგდებულ ვეება... კაბებზაფორილებულ... სქელ-სქელ დედაბრებს...
- მამუკაა... უუუ...
- ეჰეეეე...
- გამოადგი, ბიჭო ფეხიო...
შორს, სკოლის ზარი რეკავს... თოვლი გუდავს ხმას... გიო მათათათან... მათათათან...
- გიო მათათათან...
მორყულ ქიშკართან ელიკვა ბებიი დგას. გრძელ, რუბ კაბაში... თავმალმობიურლო... ხელგახიბოთ...
- ამოხვედი... უკვე?.. შეილო... შეილო... სოველი ხარ, ბებიი თლათ... სოველი... შემოდი. დედა... ფეხი მინთია... შემოი შეილო, პატარა...
რას შევალ. მავიანდება. სკოლის ზარი რეკს შორი-ახლო...
- რას მიბრინობენ... უყურე ერთი ამით...

ელიკვა ბებიი წყალივით გამჭვირვალ, ბებრულად მხიარული თოვლებს დააყოლებს თავდაღმართულ ქარივით ჩაქროლილ ბავშვებს...
- სალამი გიო მასნ! - ნაფხით გაპობილ შემსასავით სხივად ცვივა აქეთ-იქით...
- სალამი!
- სალამი...
- სალამი, გიო... - "მასნ" სადაღაცა უკვე... ქვევიო...
- ეეეჰ... ერთი ამისთანა გადარყული, ბრიგანა ბიჭი მეც მიყვალდა, ბებია... ჩემ ეზო-კარში... მეღორისადა ერთი ამისთანა ბოვში... ერთი ამისთანა ლოყედატკვარ-ცული, დედა... წყალს მაინც ამოიღებდა, დედა, ჭიდან... პურზე მაინც გამეგზავნებოდა... ჩემ ჭურჭელს დედიჩნებდა...

ამ კოხტა კარმიდამოს მეტატრონიზობდა, დედა... მოუფა-
თურდებოდა...

არაერე შუკვას ელიჩკა ბებოს. სულ არავინ. ჩემსავითაა,
რალავით...

თავლი და შაქარია ელიჩკა ბებოს სიტყვა... სადღა
არინ ესეთი ბებოები... ცოტანი არიან უკვე ბუნებში...

ლოკვა იცის ელიჩკა ბებო, წყველა - არა. რომ დამ-
ნიფდება მისი ატამი და შაველიავი, ჩამოჯდება გადასა-
ბოჯთან და ეპატიყება გამეფელე-გამომეფელს... ვინ, რო-
მელი ონავარი გადავა მის ახლზე და ალბებლზე... თვი-
თონ გიქედის დამქნარი ხელით ლედვს და აყიროს...

- გავეთილებს მერე შემოგიბრენ, ელიჩკა ბებო! შე-
შას დაგიჩხავ...

- შენ გაგახარებს, დედა, დედა ლვისშობელი... შენ
მოუმრავლდი და მოუშენდი, დედა, შენ გამზრდელს...

ბარდნის... ბარდნის...
და სკოლის ზარი რეკავს სულ ახლოს...

მაგრამ, სკოლის კი არა, ტელეფონის ზარი ყოფილა.
ქტა აღარაა, ნასულა. კაცს კი, რომელიც ამ დილაუთე-
ნა მიჩრკავს, დიდი ხანია, ვიცნობ. ძმავეცები ვართ-მეთ-
ქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ...

მოკლედ, ანტონი.

კაცს, რომელმაც ამ დილადრიან დამიჩრკა ანტონი
ჭკვია. ბაბუამისის სახელი. ჩვენ ერთად ვმუშაობდით რა-
ღაც სამხერხაოში, იზანად, ყველაფერი რომ მიორღვა და
მოიშალა ერთბაშად. მოკლედ, ვზომავდით, ვხაზავდით,
ცხერხავდით... ვზომავდით, ვხაზავდით, ცხერხავდით... და-
თავყანამადე ერთფეროვანი საქმსგან ზოგჯერ ადამია-
წეროვის სეგრძინას ვკარგავდით. ზოგჯერ მქვენებოდა,
რომ ამ თბილი ნახერხით გამოტენილი ორი თოჯინა
ვართ. ორი მარიონეტი. თავშიც ნაბერხი გვიყარია და ჩვე-
ნი აბრებიც ნახერხივით მხატვდ დახვავებულნი გროვდა.
ჩვენი სამხერხაოს შანსანი მფლობელიც, გვიკას თქმს-
ნენ, ერთი დიდი დასახერხი ხვა და საერთოდ, მთელი
ცხოვრებატ ბურბუმუხლასავით უაზრო და გამოფიტული
რამაა...

ანტონი, ისევე როგორც მე, მხერხავად არ დაბადებუ-
ლა. ის სოლოლაკში ერთ ძველ, დაბზარულ სახლში იყო
გაზრდილი. გერმანული წყალივით იცოდა. იტალიური -
ესმოდა. ფრანგულს ამტყრევდა და ვერდის ოპერებზე
გიჟდებოდა. სამხერხაოს მხაურში სულ ვერდის რაღაცებს
უსტყვენდა და მგონი, სერიოზულად იყო მარია კალასზე
შეყვარებული, რადგან მის ლამინირებულ სურათს გუ-
ლისჯიბით დაატარებდა...

ერთხელ, მე და ანტონი ოპერაში წავედით ერთად.
ბილეტები ნაყიდი ჰქონდა და უარი ვერ ვუთხარი. ან, რა
იყო საუარი. "რიგოლეტო" ვნახით და მე, პირადად ორი
საათით თავში ნახერხის ბულის ნაცვლად ვერდის მუსი-
კა ჩამიდგა. მაგრამ ვიციდი, ეს დიხანს არ გაგარქელ-
დებოდა. გარეთ გავიდოდი თუ არა, კვლავ ნახერხის და
ბურბუმუხლას კორინანტილზე გავცხრდი და სულს კვლავ
უმიედობა და იმედგაცრუება დამიხერხავდა. რაც უფრო
ტბილი და დიდებული მუსიკა ჟღერდა, მით უფრო ნათ-
ლად ვგრძნობდი ამას და გული მწყედებოდა...

ასეც იყო. გარეთ ბურბუმუხლისა და ნახერხის გრან-
დიოზული, ყოვლისმომცველი შოუ გრძელდებოდა და
ჩვენ, მე და ანტონი, ორი საბრალო, ნახერხით გამოტენი-
ლი მარიონეტი ჩვენს ადგილებს უნდა დაგბრუნებოდი.

გვიკას უყვარდა სტვენა. შუადღისკენ, იქვე, საღებ-
ვებით მოვაჭყრე ბიქს ქაბახზე და ლუღზე გაგახანდა
ხლომე, დაუახსებდა ხელმარჯვნივ მანქანის ზეთებით მო-

ვაჭყრე ომარას... ისიც, ნაამატებდა თავისას, - არას,
მწნილს, რამეს და შეერეოდა ფიქვლ და თბილი ნახერ-
ხის ოხმზარას ამ ყველაფრის სურნელ-არომბატო... ზედაც,
მერე, - დუშ-პამამა... რიმ-ტამ-ტამ... და რამე... ტაში... ტუ-
ში...

ეგეთები მონონდა მოკლედ, გვიკას და მოკალი ცხლა.
ეგეთ მულაშში კაიფობდა და სტვენითაც რაღაც ეგეთებს
უსტვენდა.

ერთხელ, რაღაც, მყრალ ხასიათზე იყო და ანტონმა
რომ ვერდის სტვენა ნამოინყო ლამაზად, უყვე დაუღრი-
ალა:

- შენა, ბიჭო! რაებს უსტვენ! რა ტვინი ნაჭამ!
- ანტონი გამეშდა და მერე უთხრა:
- ვერდის მუსიკას ესტვენ. რა არი, რო?
- რა არი და, ვერდი-გვერდი არ ვიცი მე! კაცური
დაუსტვინე თუ იცი, თუ არადა, მორჩი აქა, ჩიტვით ქიკ-
ქიკ!

ანტონი ჩაწუმდა. ვზომავთ, ვხაზავთ, ცხერხავთ... ვზო-
მავთ, ვხაზავთ, ცხერხავთ... ვატყობ, მოწამლულია. ცოტა
ხანში, ნამოინყო ისევე სტვენა. ისევე ვერდი.


ეს დრო იყო რო, გვიკამ ქაბახზე და ლუღზე აფრი-
ნა ბიჭი, ომარამ ახალი ნიორი, შოთი პური შემოიტანა
და...

- ბიჭო, რა გითხარი მე შენ!
- რა არი? - გაფთირდა ანტონი.
- ნუ უსტვენ-მეთქი მაგეთებს! ნერვებზე ნუ მეთამაშე-
ბი-მეთქი!
- რა იყო, ბიჭო... გვიცი; რა არი? - ვერ გაერკვა ომ-
არა.

- რაღაცეებსა სტვენს, ბიჭო, მთელი დღე...
- უსტვინის მერე, შენც კიდე...
- სტვენს! სტვენას გაანჩია, ომარას ვნაცვალე! ნაგა-
სა სტვენს რაღაცას არც თავი აქ, არც ბოლო, მე მაგის...
- ვერიდა, - თქვა ანტონმა, - როგორ, ნაგაიო...
- ვერიდა თუ რა, ნუ სტვენ-მეთქი აქა ეგეთებს... სახ-
ლში უსტვენე ცოლს... არ შეჭამა ტვინი, კაცო?
- შეევიე, ანტონ, - ხმადალა ჩავერიე.

მაგრამ ანტონამ ჩუმი ნოლმა ჩიოლ გულში და იმ
ღამით გვიკას სამხერხაო გადაწვა. გადაწვა და გაქრა...
იმის მზავალს ვერც გვიკამ მიავნო, ვერც ვერავინ...
ერთს გზავდა გვიკა, იმ... იმ... ვერდი იყო თუ გვერდი...
იმან ქნა ყველაფერი!

- გიორგი... ალო! ანტონი ვარ...
- ანტონი...
- ხო, გახსოვარ?
- ვაა! ანტონს!
- როგორ ხარ? სად ხარ?
- სოფელში ვმუშაობ, ანტონ. შენ საით ხარ?
- ვარკეთილში ვარ, ჩემს დასთან. სოლოლაკის სახლ
მინისძვრზე დიანგრა და...
- რა იცოდი, რომ ჩამოსული ვარ...
- ვერცავედი ხოლმე... თვეში ერთხელ... თვეში ორჯერ...
მივციდი, - აქ არ იყავი.
- შო, ხუთი წელია.
- კი, მოვიცი. მაგას ყველა მიხვდა.
- ხო იცი, რატო ვქენი...
- რა ვიცი, ძმაო... შენი საქმეა. ისე, ვიცი.
- მარტო სტვენის ამბავი არ იყო მანდ.
- აბა?
- მარტო ვერდის ამბავი არ იყო მაგაში...
- აბა?
- რაღაც იყო სხვა კიდეც.



- რა?
 - რა ვიცი, გიორგი... რაღაცა იყო.
 - მაინც, რა?
 - არ ვიცი, მაგრამ რაღაცა იყო... ვეზიზღებოდი...
 - იქნებ, არ უნდა გეყენა, ანტონ...
 - უნდა მეყენა.
 - რა ვიცი, ძმაო.
 - რაღაცა იყო, კიდევ... რა...
 - ალბათ, ალბათ.
 - სულ ვფიქრობ, უნდა მეყენა თუ არ უნდა მეყენა...
 - მერე?
 - ეგრე უნდა მეყენა.
 უცნაური კაცია... მაგრამ, იქნებ მართლა უნდა ეყენა ვერე?

- კარგი აბა, გიო. ეხლა უკვე იცი.
 - რა?
 - მე რო ვქენი ის ამბავი.
 - ისედაც ვუცოდო.
 ეგრე რო არ მეყენა, ვეღარასდროს დავუსტყენდი...
 - ჰო...
 - ეხლა, როცა მინდა, ვუსტყვენ, გიო. ვერდის ვუსტყვენ. მინდა... ტრავიატას... მინდა აიღას... არავისიც არ მეშინია!
 - ჰ!
 - კარგი, აბა.
 - კარგად, ანტონ.
 და დაკიდა.
 უცნაური კაცია, მაინც... მამმა მია!
 ხომ ვამბობ, მსაფრთხოვეტიანი ურთიერთობები მაქვს ხოლმე ადამიანებთან-თქო... ა, ბატონო... ა!

* * *

ნეტა, როგორია პარიზის დიდუბის ავტოსადგური? ან ლონდონის... ან მადრიდის... ან, რომის ავტოსადგური "ოკრიბა"? იმათი ესენი, - ესე იგი...

ნეტა, როგორია იქაური პარიზ-კასპის ავტობუსი? ან პარიზ-ნილენის? ან პარიზ-ჩოხატაურის? ან, როგორია, ნეტა იქაური მადრიდ-სანჩრე? იკარუსია... მერსედესია... ან, რა ხალხი ირევა ნეტა, რომის "ოკრიბაში"? ირევიან ალბათ იქაც ყველანაირები... რომში საყიდლებზე ჩამოსულები... რომიდან იქა, იტალიის ხარაგაულში რთველზე წამსვლელები... ზოგი დალაგებული, ზოგი არული... ზოგი კახაა, ზოგი გვერდშიც ქმარ-შვილ-დედამთილისანი...

"ზოგშ მე დვეიჯენ კალთაში" - თავს იღებს ტკბილმწარე დედამთილი... ოლონდ, რომის "ოკრიბაში" სხვაფერიც იტყას... ბამბინო... ტანტინო-პოკო... მაკიონო... სტრაადა... - რაღაც, ვეგუს... იტალიის - იმერული...

მოდა, რომის "ოკრიბაშიც" ირევიან ალბათ, იტალიის ძალის-მუხრანელები, იტალიის საჩხრე ქვათურლები... ირევიან... ბილეთებს იღებენ. საბარგულებში ტენიან ჩანთებს, ცელოფანის დიდ პარკებს...

"ჰე, დროზე ახლა... დოშქარეთ... ნავეიტი..." იძახის ავტობუსის კიბეზე გადმომდგარი იტალიელი მძღოლი, იქ ის ბიჭიკო... ან ოთარა... ანუ ვინმე ჯანი... ან დინო... და სხვაფრად იძახის, იტალიის საჩხრეულად... ანდიამო... პრესტო... პრესტო! სონიო ტაარდი და რაღაც...

ლონდონშიც ჩამომდგარა კონია-კონია ავტობუსები. იქის დასავლეთის... იქის გურია-იმერეთის... იქის ქართლის...

"გაადის მერსედესის მარკის ავტობუსი ვინძორის მიმართულებით..." - მოწყენილად, მოზეზრებულად აცხადებს ალბათ იქაც ვინმე... არაჟუჟუნა...

"შენი ქალი სუჟაი" - ბღღვინავს იქაც, ვინმე...

"გადის ავტობუსი სვინდინის მიმართულებით"..."
 "გადის ავტობუსი რიდენის მიმართულებით... ბილეთები იყიდება მუ-მ სალაროში..."
 გაბრიან-გამორბიან... ოლენდ, ლედი-ჯენტლმენების მხარეა... სულ ფლიზი-ფლიზებით მიდის საქმე... სულ სორი-სორი-რებით...

თორემ ისე, ავტოსადგური ავტოსადგურია. და ამ ჩვენს დიდუბის ავტოსადგურის არ იყოს, იქაც იქნებია ტლანქი-ტლანქი ჯიბის ქურდები, ნაყინ-ლეზლის დამძალელები, მივრანები და ფიზლები... დაგვიინებულები და ნამეტანი ადრე მოსულები. მოკლედ, ხალხი იქნება იქაც, ჭრელი და რ-ს ნუნისმიერად იტყვიან, სასისმიერად, ხორხისმიერად თუ ყბის ამოვადებით, - რა მნიშვნელობა აქვს...

მივდივარ, მოკლედ არეული ამ აგერ, აჭრილი, ათქვეფილი ამ მილეთის ხალხში, ადენ წამსველ-წამოსვლელში. ვზივარ, ჩემს ავტობუსს ვუცდი, ვაბოლებ და და თან მიხარია რაღაც... თანაც გული მწყევდება. რაღაც ისეა, ღრუხლანში რომ მზეცაა. თან რომ წვიმს, თან რომ მზეა.

ჰეი! გიო თობოლქ აიღე ბილეთი, მოაგეტი შენს ავტობუსს, დაახვიე იქით, სადაც გელან... აქედან ახლა გამცოლებელბაა გაცა. იქ, - დაშვედრ-მოლოდინეები გეგულბა! გეგულბა, ხომ?

- გიო მასწ! გიო მასწ! გიო მასწ... და შემოდგომურ ოქრო-ბურუსში ჩაკარგული პატარა ქალაქი... ზათორის-პირზე დაფაცურებული.

და სოფო... ისეც იქით. რაღაცნაირი, მყარი, სამიედო და მთის ნიაფიტი სუფთა...

რაღაც მზიარია. მზრგში ვიშლები... არაა ბატონო ლონდონის დიდუბის ავტოსადგური ეს! თბილისისა! ჩემი ბუქური, ჩემი ნაწაზნი თბილისის... არცერთი დოღართი არ ჯარმიდება, ბატონო, აქ გადამფურთხებენი!

ჩემი ანელი, გაბურძნული, პირდაუბანული თბილისა ეს... წუხანდელი გამოუძინებელი, ღამნათუნე... შეეშვი, ძმაო! არ იცხავან ჯერ აქ კედლებს და მინებს თბილი სანაირი წყლით ღამ-ღამობით არ იღიბის ეს ქალაქი თქვენებურად, "ჩიიზ"-ს რომ ამბობთ, ისე... ჩამოსტრის ცვირ-პირი... დაღერემილია, მაგრამ გული... გული იმსლება აქვს, ევეშ...

მოდა, როგორიცაა ვეეთი მიყვარს. ვეეთი როა, - უფრო მიყვარს, კიდევ. იმითო რომ... შევცოდებარეული სიყვარული რომ რაღაც, სხვანაირია, არ იციო, კაცო თქვენ? მაგრიდ-პარიზ-ლონდონის დიდუბის ავტოსადგურთა მგზავნიერო?...

აბა, დაეაგრხინლ-დაკულულებული რომ იყოს ჩემი თბილის-ქალაქი, ხის ყუთზე ივდებოდა ეს აჯავაული, გაბურძნული ბიჭი და ჩახრინული ხმით იმღერებდა სულ ერასა და იმავს? ეს გამოჟანგული კონსერვის ქალა ედებოდა ნინ?

"ბიჭი ხის ყუთზე ივდა, ნინ დაეაგნული კონსერვის ქალა ედვა. თავი უკან გადაყენა და ასე, კედელზე მიყრდნობილი, სადაც, არსათი დასტკრალი მღეროდა. ერის დასმათავრებულ, - მორგეს იწყებდა... მერე მესამეს, მეოთხეს... მერე ისევ მოკრულს და ასე... კანტი-კუნტად, ცივი რაკუნით ცვიოდა ყუთში გროშები... მერე, საიდანდაც ერთი უღვაშა, სქელსკინრა მასტი გამოტყვრა. მივიდა, რაღაც ბღვერით უთხრა ბიჭს, კონსერვის ქალა პიკავის მოულაშულ ჯიბეში მოიპირქვავა და ისევ ნინ დაუღდა. იმან ახდა და რაღაც უთხრა. აჰან, პიკავის ჯიბეში ჩაიფათურა ტორი, ერთი გროშაში ამოიღო და მიუგდო. ბიჭი წამოიზღაზნა. უღვაშამ რაღაც უთხრა ბღვერით,

თავში წამოართყა და წავიდა... და თან წაიყოლია ჩემი უშოი, მრავალსართულიანი გინება...

ბიჭი ღვეზელის გამყიდველთან მივიდა და გროშიანი გაუნოდა. იმან ცოტა პუნენიკურად, ორი თითით გამოართვა და ღვეზელი მიანოდა.

ბიჭი ღვეზელის ღვეჭა-ღვეჭით წამოვიდა და გვერდით მომიჯდა. არც შემოუხედია, ისე.

ნებაზე, რა ერქმეოდა ამ ბიჭს რომის დიდუბის ავტოსადგურში? ალბათ... ჯოვანი... ლონდონისაში კი... ტომი ან ჯო...

- რა გქვია? - ვკითხე ვერცე, უშესავლოდ.

ისე ამოშხედა, როგორც საერთოდ, არამკითხველ მოამბეებს ეკუთვნიოთ:

- რა არი რო?

- რა უნდა იყოს, ისე... - ვუთხარი მე.

ჩემი ავტობუსი ჩამოდგა. უნდა ავსულიყავი.

- მირო მქვია. მირიანი, - თქვა ბიჭმა.

- და... ის ვინ იყო... მამაშენი? ფული რომ წაიღო...

- მამა არა, ისა!

- აბა, ბიძა?

- ესლა კიდე, ბიძა... არც ბიძა არ მყავს მე და არც მამა... არც დედა კიდო... მაგენი რო მყავდეს, აქ არ ვქენოდი მე...

- ბებიაც არ გყავს? - ვკითხე რაღაც ბუნდოვანი აზრით შთაგონებულმა.

ბიჭმა შემომბღვირა და არ მიპასუხა: ღვეზელი მოათავა. ტურნებზე სახელი გაისვა. სიმღერის დრო დაუდგა.

- კარგი. წავედი, აბა. ბედნიერად. ათ წუთში ჩემი ავტობუსი გადის.

- ესა? - ნიკაბი აიქნია ბიჭმა.

- არა. აი, ის... ლურჯზოლიანი.

- კარგია სოფელში... ოღონდ, ზღვა თუა... - თქვა მირომ.

- შო, კარგია სოფელში, - ვთქვი მე და თრიმლით აწითლებული მთები წარმომიდგა. შემოდგომის მთები.

- წავედი აბა... - ნაბიჯი გადავდგი, მაგრამ უყებ...

თითქოს პანაი, სორო ოთახში 500 ვატიანი ნათურა აანთესო... თავის ქალა ელვასავით, დამაბრმავებლად გამინათა ისევ იმ, ოღონდ უფრო გამოკვეთილმა აზრმა.

მოგტრიალდი და ვუუბნებ:

- ისე... არ გინდა, თაფლივით ტკბილი ბებია რომ გყავდეს? და გვერდით მივუჯექი. ბიჭმა ჩაიჩოქა. შერეკილი ეგონივარ, ალბათ.

- მომისმინე!.. ბებია გეყოლება... გამიგე? სახლი გქვება... კარი, ეზო... მარანი... ძალი... შენი საპატრონო... მერე რა, კაცი ხარ... უპატრონებ. წყალს ამოიღებ ჭიდან... შემას დაწეხვებ. პურზე გაეგზავნები... სკოლაში ივლი. შენი მასწავლებელი მე ვიქნები... შენი გიო მასწავლებელი და თან შენი მაგარი ძმა შოდა... რაც მთავარია, რაც მთავარია... მაშინ იმღერებ, როცა მოგინდება გამიგე? ძალით არ იმღერებ! და რომ იცოდე, ის ბიჭი შენისთანა ბიჭზე ოცნებობს... შენისთანა შვილიშვილზე... შა? რას იტყვი!

- ავტობუსმა არ გაგასწროს... - თქვა მირომ.

- შო... მართალი ხარ... - მოვიწყინე უყებ, მაგრამ იმწამსვე ავენთე: ჯიბიდან ხუთლარიანი ამოვიღე და მუჭში ჩავუტენე ჩუმად. არ მინდოდა, იმ ვილაც ტარხან მასტს დაეჩანა...

- ფიქრე... ხუთი წუთი დარჩა... ბებია გეყოლება. სახლი გქვება. ისწავლი... შენი ძმა ვიქნები. მაგარი ძმა და შო... აი... ესეც აიღე... - მუჭში მეორე ხუთლარიანი ჩავუტენე, - თუ არ მოგწონება, დააჯდები ისეც ამ ავტობუსს და წამოხვალ... არავინ დაგაკავებს... მე-5 სალარო-

ში აიღე ბილეთი... თუ... თუ არ აიღებ და... შენი იყოს ეს ფული...

- ზღვა არის იქ? - მკითხა ბიჭმა.

- ზღვა არა. დიდი მდინარეა. ლაზაზი მდინარე. მთებია.

- ზღვა მიყვარს მე, - თქვა ბიჭმა.

- მერე რა! იცი, რას გეტყვი? ყველა მდინარე ხომ ზღვისკენ მიდის ა? ხვდები? ყველა მდინარე ზღვაში ჩაედის! დაიცა, შენ! ზღვის დროც მოვალ! შენი ზღვის!

- შენ, მასწავლებელი ხარ? - მკითხა ბიჭმა.

- ხო. შენწლებსაც ვასწავლი.

- და ის ბებია სადაა? შენთან ახლოშია?

- ძალიან. იქვეა, სკოლასთან...

ბიჭი თავწაქინდრული იჯდა და ცალ ფეხს აქანავებდა.

- წამოდი! - ლამის შევეცდრე, - აქ გდებდა, არაფერს გიშველის... წამოდი... სანამ დაგვიძახებენ...

- არაფერი არ ვიცი მე... - თქვა ბიჭმა.

ავტობუსზე მაგვიანდებდა. უნდა ავიდე.

- კარგი. მე წავედი. ხუთი წუთი დრო გაქვს. შოდა... შენ იცი!

ესეც ასე.

ქალი, რომელსაც ღრუბლიანი ამინდისნაირი ხმა აქვს, ჩემი ავტობუსის გასვლას იუნწყება...

- გადის მერწყედის მარკის ავტობუსი...

ავტობუსის ფანჯრიდან მიროს გხედავ. იქვე ზის და მიყურებს. მიყურებს. ვუყურებს. მიყურებს. ვუყურებს. მიყურებს. ვუყურებს...

- "აღდე ადე!! ადე!!!" - ვღრიალებ გულში. თვალებით თითქოს მაღალი ძაბვის ტალღებს გადავცემ.

"აღდე ადე!!! ადე!!!"

"გადის მერწყედის მარკის ავტობუსი..."

თვალეს ვუჭყავ... და ორიოდე წამში ვახე...

მირო იქ აღარ ზის...

თვალეს ვაცეცებ...

შა!!! მე-5 სალაროსთან დგას... წინ ... წინ მიძვრება...

მძალიან ავტობუსს ქოქავს...

- დაიცა ძაო... ერთ-ორ წუთს დაიცა! ბავშვია ამო-

სასვლელი...

და თვალეს ისე ვუჭყავ...

და თრიმლით გადაწითლებულ, შემოდგომის მთებს ვხედავ.



გელა ჩვენაძე

ა უ რ ზ ა უ რ ი

ციკლიდან "ერთი ტოპარა ემოცია"

ჯიუტი კაცი იყო ბარნაბა ანთია. ჯიუტი და, ცოტა არ იყოს უცნაურიც, მაგრამ ის, რომ ციხიდან დაბრუნებისას მონატრებულ ცოლს მთელი სამი დღე ვერ მიეფერა, ეს ფაქტი მის უცნაურობაზე სულაც არ მტკიცებულეს. მე თუ მკითხავე - მეზობლების, კერძოდ კი დარეჯან კვარაცხელიას ბრალი იყო ყველაფერი. ბარნაბამ ციხეში, სადაც სახლის უკანონო მიწუნებისთვის ჩააყვდეს, თითმმეტი თვე გაატარა. თითმმეტი თვე ენატრებოდა შვილები - გოგო (სონა) და ბიჭი ალექა (ცოლიც ენატრებოდა, რა თქმა უნდა). დაბრუნდა იქიდან და გამოთვალა, ციხეში ყოფნა უფრო იაფი დამიჯდა, ვიდრე იმათი მოსყიდვა დამიჯდებოდა, ვინც სახლის მიწუნების ნებართვას გასცემსო. იმასაც ამტკიცებდა, ციხეში ყოფნისას ვისევენდითო. ეს მანამ მოხდა, სანამ მისი დაბრუნების შესაშვ დღიდან დანა-სისხლად გადამტკრებული მეზობლებისთვის შერიგების აღსანიშნ სურვებს გააწყობდა ერთნაშეთის მიყვლებით და მერე ბარნაბას ცოლი, ლოგვისის მომზობით, მისი ქმრის მიერ ციხის კედლების ხევის ხარვებს შერიგების სურვის ხარვებსაც დაამატებდა (ამავე მოთხრობაში დარწმუნდებით, რომ სურვის ხარვები ციხეში ყოფნის ხარვებს უნდა დამატებოდა ლოგვისის ყველა კანონის მოთხოვნით) და აღმოაჩინდა, რომ სახლის მიწუნების პროექტის დასამტკიცებლად გასაღები ქრთამის ოდენობას მნიშვნელოვნად გადააჭარბა.

მოსაღამოებული ყოფილა, ციხიდან გამოსული ბარნაბა სახლში რომ მოსულა. ჯერ მიწუნების კედლებს მოეფერა, ნახაბ დაუსვა ხელი, მოშურნე მეზობლების ჯინაზე ხომ ამოგიყვანეთ და გადაგზურეთო, განაცხადა ამაყად (ბავშვები კისერზე ვკიდნენ ამ დროს და მოუთმენლად ელოდნენ როდის გამოაჩენდა ბარნაბა მაშინ ძალზე მოდურ, ზღვით შემოტანილ კონტრბანდულ საღეჭ რეზინ "PEDRO"-ს, რომლის მოტანასაც ბარნაბა შვილებს ციხიდან გამოგზავნილ წერილებში ჰპირდებოდა და რო-მელიც, სიმაბრლოე ითქვას, ბარნაბას არ მოუტანია). ეფერებოდა გაუღესავ კედლებს და ბავშვებსაც (გულისამაჩუყებელი სანახაობა იყო) და ცოლსაც (არიადნას) გადაუსვა თავზე ხელი - არ უკონია, ბავშვების მოყრიდა, ვნებიანი მზერით აულოკა მხოლოდ ყელ-კისერი და ათქვირული მკერდიც - ისეთი მზერით, "ჯერ ბავშვები დავაძინებო"-ს რომ უწოდებდა გამოცდილი კაცი.

მეზობლებიდან დარეჯან კვარაცხელია მოვიდა პირველი. დარეჯანი სახლიდან იშვიათად გამოდიოდა და თუ მეზობლის ეწვეოდა სტუმრად, ეს დიდ პატივით ითვლებოდა მიუღს ბარათაშვილის ქუჩაზე. სუსტი და მალალი ქალი იყო, სამოცდაათს გადაცილებული, ჭლარაგაკეთ-ობიერი, ამაყმზრინანი - ისეთი თვლებით, არაფერი რომ არ გამოჩნებოდა ამქვეყნად, და იმ თვლებით სიმშვიდესა და თავდაჯერებას ასხივებდა, თანაც ისეთს, თითქოს ამქვეყნად ყველაფერი სცოდნოდეს და სხვა დანარჩენთან ერთად ეს ყოვლისცოდნობაც მოსწყენოდეს.

- როგორ ხარ ბარნაბა? - ჰკითხა დარეჯანმა (მთელი თავისი დღე და მოსწრება მთელი სარეწონის აივანზე იჯდა და ზღვას და სფეხბურთით სტადიონად გადაქცეულ იოდრომს გასცქეროდა, მისმა ნაადრევად დაღუპულმა საქმრომ რომ გააშენა თავის დროზე და მას მიუძღვნა მთელი თავისი რწველი და მოზოქური გულით) და პირდაპირ საქმზე გადავიდა (ბარნაბა გაუღესავ კედლებს უტყავუნებდა ისევ ხელს) - კედლებსაც კი ყურები და ასხიათო, ასე უტყავს ბრძენ ხალხს... როგორ გგონია, ის ანონიმური წერილი, რომლის საუფქედლებზეც დაგაპატრონებ, მე დავწერე?



- როგორ გეკადრებთ ქალბატონო დარეჯანე?!... ღმერთმა დამიბოროთო თქვენზე მივიტანო ეჭვი! რამ გაციურებინათ ასეთი რაღაცა?! - გოცდა ბარნაბა (გოცა ემის გამოსახატავად ცალ წარბს ანკიპავდა ხოლმე. ჩვევა ჰქონდა ასეთი).

პური შეგინავო. ჯენეტს არ სურს, დღემუდამ იხილოს სამზარეულოში მისიურსა და შორტებში გამონჭობილი, ფეხებგაჩახული პარვი, რომელსაც ლაგებს შორის გაღლეული სათესლეები მოუჩანს, ხოლო ყვითელი კოჟრებით დაფარული ფეხის თითები ნაავას ნაყინის იმპერიის მფლობელის გროტესკულ სახეს, რომელიც უოლეს სტივენსმა შექმნა. დიახ, ასე იჯდება, მდუმარე და გამოთავანებული. ღმერთო, ნეტავ ვცდებოდა, ფიქრობს ქალი. ცხოვრება ისედაც ცარიელი და უაზროა. განა ამაზე ვოცნებობდი, როდესაც ვზრდიდი (შემდეგ კი - გავახოხვე) სამი ქალიშვილი, როდესაც, პარვის სასყვარულო გატაცებების მიუხედავად, შევინარჩუნე ოჯახი და ქმართან ერთად (ნუ დავიფიქვებთ ამას) დავაგროვე მწიფნელოვანი ქონება? თუ ჩემმა ვაი-ვაგლასმა მხოლოდ ეს შედეგი გამოიღო, განა ღირდა ამდენი ნაღობა?

ამ კითხვანუ პასუხის გაცემა ძნელი როდია. არ ღირდა, მაგრამ ჯენეტმა ამის შესახებ არაფერი იცოდა და ჯოტად ებღუჭებოდა მთარულ წარმოდგენებს ცხოვრებისეული ფასულობების შესახებ. ის ხშირად აივლიერებს აღბოხს თავისი ნორჩი ქალიშვილების ფოტოსურათებით: აი, უფროსი მათგანი, ტრიმა, ეთამაშება კოკერ-სპანიელს; ჯენა, რომელსაც ჯერ არ აინტერესებს მასზე უფროსი მამაკაცები, ახტება სარწყავ მანქანას; და, ბოლოს, სტეფანი თანატოლია შორის. ამ ფოტოსურათების უზრაველსობაში (ჩვეულებრივ, უკანა პლანზე) იღიმიან ჯენეტი და პარვი, ისე, თითქოს ვერძალბოდათ სხვაგვარი გამოიმეტყველების მიღება.

დიდი ხანია, რაც გოგონები წამოიზარდნენ და იმედები გაუცრუეს დედას, ხოლო კაცი, რომლის სიყვარულის შენარჩუნებისთვისაც ჯენეტი თავგამებტებით იბრძოდა, ახლა ფეხებგაჩახული ზის სამზარეულოში და ორმოცდაათობმეტი წლისად გამოიყურება მის საუკეთესო კოსტიუმებში, თუმცა ამ დილას მას სამოცდაათი წელს მისცემ, ან, უშაკმა დაღაბვრის, სამოცდათხუთმეტსაც.

ჯენეტი კვლავ ნიჟარასთან დგას და აცემინებს - ერთხელ, ორჯერ, სამჯერ.

“როგორა ხარ?” კითხულობს პარვი და გულისხმობს ჯენეტის ალერგიას. ქალი პასუხობს, არც ისე კარგადო. ამასთან, ალერგიის წყალობით მას საბაბი აქვს, აღარ მიუნწეს ლაღაშობით ქმარს; ჯენეტს აღარ გაეღვიძება იმის გამო, რომ პარვი საბანს აცლის ცოლს ან, ღრმა ძილში, პარვს აფუჭებს. ზაფხულბოთი ქალს შუვიდა სძინავს ექვსი ან შვიდი საათის განმავლობაში, მაგრამ შემოდგამისხე, როდესაც პარვი კვლავ ცოლთან დანდება, ჯენეტის ძილი მხოლოდ ოთხ საათს თუ გასტანს.

მოვა დრო, როდესაც პარვი აღარ დანებება ცოლთან. და ჯენეტს არასოდეს გაუმთავრა ქმრისთვის - რადგან არ სურს, გული ატკრიოს მას, რომ ეს ძალზე გაახარებს. ქალი ოხრავს. “არც ისე ცუდად”, ამბობს ის.

და მაშინ, როდესაც ჯენეტი ფიქრობს (ან პირველად

როდი ფიქრობს), ცხოვრება არავითარ მოულოდნელობებს აღარ მიქცისო, პარვი უნაზურად შეცვლილი ხშირ ამბობს, “კარგია, რომ ნუნელ ჩემ გვერდით არ გეხარ, ჯექს. უსიამოვნო სიზმარი ვნახე. ყვირილით გამეღვიძა”.

დიდი ხანია, პარვის ცოლისთვის “ჯექსი” არ უწოდებია, “ჯენეტის” ან “ჯენის” ნაცვლად. “ჯექსი” საალერსო სახელია, რომელიც ქალს სძაგს და ამზრუნენ მასიბო ქალს ავონებს კინოფილმ “ლესიდან”. ბიჭუნა (ტიმი, მს ტიმი ერქვა) განწყვეტილი ეცემოდა კიბეზე, ან გველ კენდა, ან კიდევ - ზაფანში ვარდებოდა. ნეტავ, რომელი ჭკუათმოყვანილი მშობელი მიანდობს ბავშვის სიცოცხლეს უტვინო ძაღლს?

ჯენეტი კვლავ ქმარს უყურებს და ავიწყდება წყლიანი ქვაბი, რომელშიც ბოლო კვერცხი დევს. პარვიმ უსიამოვნო სიზმარი ნახა? ქალი ცდილობს გაიხსენოს, ერთხელ მაინც თუ უთქვამს ქმარს, კარგი სიზმარი ვნახეო, და ბუნდოვნად აგონდება მათი სიყვარულის დღეები. პარვი ამბობს, “დაამიზნო”, ჯენეტი კი საკმარისად ახალგაზრდა გახლდათ იმისთვის, რომ დაეჯერებინა ეს.

“რა მითხარი?”
“ყვირილით გამეღვიძა”, ამბობს კაცი. “განა ვერ გაიგონე?”

“არაფერი გამიგია”, პასუხობს ქალი და ქმარს აკვირდება. ხომ არ მასტუბუქსო, ფიქრობს. იქნებ პარვი ზუმროს? მაგრამ მას ზუმრობა არ ეტყობება. პარვის წარმოდგენა იუმროზე შემოიფარგლება მხოლოდ ანეკდოტებით ჯარში გატარებული დღეების შესახებ. ჯენეტს ასევერ მიანიც მოუხსენია თითოეული მათგანი.

“რადაც სიტყვებს გავეყვირო, მაგრამ მათ მკაფიოდ ვერ გამოვთქამდი. დამბლადაცემულივით ვილუღულუღებდი ჩახსულივით ხშირ. ისე არა, როგორც - ჩვეულებრივ”. პარვი ცოტა ხნით ჩუმდება, შემდეგ კი განაგრძობს. “როდესაც მიგვხვდა, რომ ვყვიროდი, ხმა გავიკმინე, მაგრამ ურთიანად ვთრთოდი. შუკი ავიანთ და შევეცადე მოემშარდა, მაგრამ ვერ შევეცდი. ბოლო დროს შარდვა არ მიქოხს - ცოტას მაინც ვახერხებ - მაგრამ ამ დილას, ორ საათსა და ორმოცდაშვიდ წუთზე, ვერ შევეძლი”. პარვი კვლავ ჩუმდება. ჯენეტი ხედვას შიხს სხივში მოლოცოცე მტყვერ, რომელიც შარავანდევით ვარს ეხვევა კაცს.

“რა დაგესიზნრა?” კითხულობს ჯენეტი და უნაზური რამ ზდება. პირველად სუთი წელს განმავლობაში (მას შემდეგ, რაც მათ ერთხელ შუალამემდეგ იკამათეს, შენახათ თუ გაყედათ “მოტირორებს” აქციები - ბოლოს კი მაინც გაიყვეს) ქალს აინტერესებს, რისი თქმა სურს ქმარს.

“არ ციცი, უნდა გითხრა თუ არა ეს”, ამბობს პარვი და თვალბებს დაბლა ხრის. შემდეგ საპილიპლეს იღებს და ხელში ათამაშებს.

“ამბობენ, მოყოლილი სიზმარი არ ახდებოა”, შენიშნავს ქალი და მოულოდნელად ხდება კიდევ ერთი უნაზური რამ: ჯენეტს ეჩვენება, თითქოს პარვი ურთიველად გამოიყურება. თვით მისი ჩრდილიც (კვდელზე, ტისტერის ზემოთ), როგორცაა, ძალზე დიდია. ქალს აზრით, ქმარი ისე გამოიყურება, თითქოს მათ ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა. ეს-ესაა ფფორტიბი, ცხოვრება ცარიელბა-შეუკი. წუთო კვდებოდა? ესაა იენისის დილა. ჩვენ კონექტივტუმი ვიყვარებით. იენისის ყოველთვის კონექტივტუმი ვაჭარბობთ. მალე ერთ-ერთი ჩვენგანი გაზუხს მიიღებს და ნაიკითხავს.

“ასე ამბობენ?” კითხულობს წარბშეკრული კაცი (დიდი ხანია, ჯენეტს არ შეუკრთავს გრძელი, ხშირი წარბები, რომლებიც პარვის პირქუჩა გამოემტყველებას ანოქებს) და კვლავ ათამაშებს საპილიპლეს. ჯენეტს სურს, უთხრას ქმარს, საპილიპლე თავის ადგილას დადგო, რადგან აღიზიანებს მისი ცუდა, ისევე - როგორც პარვის

წრდილის მოძრაობა კედელზე, ან როგორც უმიზეზოდ მჭარბული გულისცემა, მაგრამ არ უნდა, დაარღვიოს კაცის ფიქრთა ნაკვეთი. და მაშინ შარვი მაგიდაზე დგებს საბილილეს. ჯენეტი თითქოს უნდა დამშვიდდეს, მაგრამ ასე არ ხდება. საბილილეს აქვს საკუთარი ჩრდილი, რომელიც მთელ მაგიდაზე იჭიმება, ჭადრაკის ვეება ფიგურის მსგავსად. მაგიდაზე მიმოხეული პურის ნამცეცხვსაც კი საკუთარი ჩრდილები აქვს. ქალს არ ესმის, რატომ ამინებს ეს, მაგრამ მინც ძრწის. მას ახსენდება ჩემი რული კაცის სიტყვები, აქ ყველანი შეშლილები ვართო, და ანახლეულად გრძნობს, რომ აღარ სურს შარვის სულელური სიზმრის მოსმენა. აღარ სურს, რომ ცხოვრება რაიმე იყოს, უაზრობის გარდა. უაზრობას არაფერი სჯობს. თუ მანში ეჭვი გვაპარებათ, დააკვირდით კინოსმახიბო ქალებს.

არაფერი უნდა ითქვასო, ფიქრობს ალგზნებული ჯენეტი. დიას, ალგზნებული, თითქოს უეცრად ხდება ქმრის სათქმელს. მას უნდა, უთხრას შარვის, რომ მოყოლილი სიზმარი აუცილებლად ახდება, მაგრამ გვიანაა. შარვი უკვე შყვება. იქნებ, ქალი იმიტომ ისჯება, რომ ცხოვრება უაზრობად მიაჩნია? მაგრამ ცხოვრება ხომ, ჯეთრო ტულისა ან იყოს, მართლაც ატურავით უაზროა, განა ასე არაა?

"დამესიზმრა, თითქოს დილა იყო და სამზარეულოში ჩამოვედი", ბუტბუტებს შარვი. "შაბათი დილა იყო, მაგრამ ჯერ კიდევ გეძინა".

"შაბათობით ყოველთვის შენზე ადრე ვდგები", - ამბობს ქალი.

"ვიცი, მაგრამ ეს სიზმარში ხლებოდა", - მშვიდად პასუხობს შარვი, და ჯენეტი ხედავს თეთრ ბუსუსებს ქმრის

მკლე ბარაკებზე. უნინ შარვი ჩოგბურთის თამაშობდა, მაგრამ შემდეგ მიატოვა.

"გული განუსებს, ჩემო კარგო", - დაცინვით ფიქრობს ქალი, "აი რა მოგილბეს ბოლოს. შეიძლება, შენი ნეკროლოგი "თამაშში" გამოქვეყნდეს, მაგრამ თუ იმავე დღეს პატრონს ჩაბარდება ორმოცდაათიანი წლების მეორესართის სიზმარი კინოსმახიბო ან ორმოციანი წლების ნაკლებად ცნობილი ბალერინა, ესეც არ გელირსება".


"სწორედ ასე იყო", - განაგრძობს შარვი, - "შვინანი ამინდი იდგა". ის ხელით ფანტავს შვის სხივი მოლიც-ლიც მტვერს და ქალს სურს დაიყვიროს, ნუ ავეთებ ამას, ნუ არღვევ საშყაროს მყუდროებასო.

"იატაკზე ევენებოდა ჩემი ჩრდილი, რომელიც არაჩვეულებრივად ელვავს და დიდი იყო"; შარვი ილიმება და ჯენეტი ამჩნევს, რომ კაცს ტუწები დამაშფრია. მაგრამ "ელვარე" შესაბამო სიტყვაა, როდესაც "ჩრდილის" შესახებ ლაპარაკობ, არა? "დიდბც" ასეთია".

"შარვი..."
"ფანჯარასთან მივედი, გარეთ გავიხედე და დაინახე ჩანაზნეტი ფრიდმანების "ვოლგო" კარზე. და ვიცოდი - რა უცნაური! - რომ მთვრალი ფრენკმა მანქანა შინ დაბრუნებისას დააზიანა".

ჯენეტი უეცრად გრძნობს, რომ სჯერა ყოველივე ეს. მან დაინახა ჩანაზნეტი ფრენკ ფრიდმანის "ვოლგოზე", როდესაც გარეთ გავიდა იმის შესამოწმებლად, მოიტანეს თუ არა გაზეთი (არ მოუტანიათ), და ივარაუდა, ალბათ, მთვრალმა ფრენკმა მანქანა რაღაცას გამოსდრო და გაფხაჭანა.

იქნებ, შარვიმაც დაინახა ეს, ახლაც კი ასე უცნაურად ეხუმრება ცოლს? შარვის საძინებელი ოთახის





ერთი ფანჯარა ქუჩაში გადის. მაგრამ ის ასეთი კაცი არაა. შარვი სტივეისს ლაზღანდარობა არ სჩვევია.

ქალს ოფლით ენამება ლოყები, შუბლი და კისერი. გული გამაღებთ უცემს. რაღაც საშიშროება ხომ არ მოივლის? რატომ გაურჩნდა ამგვარი გრძობა ახლა, როცა გარემომცველი სამყარო ეგზომ მშვიდობიანია, მომავალი კი - კეთილსამართლო? იქნებ ღმერთს შევედოდო, ფიქრობს ჯენეტი, რომ საფრთხე ავაცილოს?

“მაცივართან მივედი”, ჰყვება შარვი, “შევიხედე და დავინახე თუფში კვერცხებიანი სალაითი. მესიამოვნა - რადგან მომშინოდა”.

გაცს გაეცინა. ჯენეტი - ესე იგი, ჯექსი - უყურებს ნიჟარაში ჩადგმულ ქებას, რაღაც მაგრად მოხარული კვერცხი დევს. ნაჭუჭგაცილილი და ორად გაჭრილი დანარჩენი კვერცხები ფილაში აწყვია, თაროსთან. იქვე დევს მაიონზიანი თვალი. ჯენეტი ამირებს, კვერცხებიანი სალაითი მოიწმინდოს საუზმისთვის.

“არ მსურს დანარჩენის მოსმენა”, ოდნავ გასაგონად ჩურჩულებს ქალი, ისე, რომ თვითონაც არ ესმის თავისი ხმა. ოდესღაც ის დრამატულ წრეში მცადაინებოდა, ახლა კი ძლივს ახერხებს გარკვევით ლაპარაკს.

“ვიფიქრო, ერთ კვერცხს მაინც ავიღებ-მეთქი”, ამბობს შარვი, “მაგრამ შემეშინდა, რომ გაბრაზდებოდი. უცრაოდ ტელეფონმა დარეკა და მას მივყარდი - არ მინდოდა, რომ გაგავიძებოდა. შემდეგ კი დაინწყო სიზმრის ყველაზე შემზარავი ნაწილი”.

არა, ფიქრობს ქალი, რომელიც კვლავ ნიჟარასთან დგას. არ მსურს, მოვისმინო შემზარავი ნაწილი. მაგრამ, იმავდროულად, მას ნამდვილად სურს მისი მოსმენა. ყველას სიამოვნებს შემზარავი ამბების გაგება, აქ ყველანი შემოღობილი ვართ. დედაჩემი კი ნამდვილად ამბობდა, მოყოლილი სიზმარი არ აღდგება, ესე იგი, შეიძლება ავის-მომასწავებელი სიზმრების მოყოლა და სასიამოვნო სიზმრების საიდუმლოდ შენახვა, ისე, როგორც კბილს ინა-

ხვენ ხოლმე ბალიშქვეშ. მათ სამი ქალიშვილი ჰყავთ. ერთ-ერთი მათგანი ცხოვრობს იმავე ქუჩაზე, ცოტათი ქვემოთ. ესაა ქმართან გაყრილი ჯენა. სამი ქალიშვილი ნიშნავს ბალიშქვეშ შენახულ უამრავ კბილს, აგრეთვე - ჯენეტის შიშს მანქანებიანი უცნობი მამაკაცების გამო, რომლებიც ქალებს სთავაზობენ გასეირნებასა და ვახშამს. ჯენეტი იმედოვნებს, რომ დედამისი არ ცდებოდა და რომ უსიამოვნო სიზმრის მოყოლა ნიშნავს სოლის ჩარქობას ვამპირის გულში.

“ყურმილი ავიღე”, ამბობს შარვი, “ტრიშა რეკავდა”. ტრიშა მათი უფროსი ქალიშვილია, რომელიც აღმერთებდა ჰუდინისა და ბლუკსტონს, სანამ ბიჭებით მოიხიბლებოდა. “თავდაპირველად ერთი სიტყვა მიხსრა - “მამიკო” - მაგრამ მაშინვე მიხვდი, რომ ტრიშა იყო. ხომ იცი, როგორ ხდება ხოლმე ეს?”

დახს. ჯენეტმა იცის, როგორ ხდება ეს. როგორ სცნობ საცვარელი ადამიანის ხმას პირველვე სიტყვიდან, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ ის გაიზრდება და გამოიცვლება.

“ფუხარია: გამარჯობა, ტრიშა, რატომ მირეკავ ასე ადრე, ძვირფასო? დედაშენს ჯერ კიდევ სძინავს-მეთქი. მან არაფერი მომიბოგო და ვიფიქრე, რომ გაგვითიშეს. შემდეგ გავიგონე მისი ჩურჩული და ქვითინი. სიტყვებს მკაფიოდ არ გამოთქვამდა, გაურკვეველად ლულულულებდა. თითქოს სურდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამოსუნთქვის ძალა არ შესწევდა. და მაშინ შევშინდი”.

ჯენეტი ანუ ჯექსი, რომელსაც ოდესღაც შესანიშნავად ხერხებოდა ფრანგული კოცნა, ეწეოდა “ტიტანის” მარკის სიგარეტებს და უყვარდა ტეკვილა, ახლა შიშმა აიტანა. ის შიშმა აიტანა მანამ, სანამ შარვი ასხენებდა ჩანანზექს ფრენკ ფრიდმანის “ვოლგოზე”, ახლა კი ავინდებდა ერთი კვირის წინანდელი სატელეფონო საუბარს შანასთან, სწორედ ის საუბარი, რომლის ერთ-ერთ თემს წარმოადგენდა ალცჰაიმერის დაავადება. შანა ქალაქში



ჭიურებოდა, ჯენტი კი ფანჯრის რაფაზე იჯდა და გასაყურებად მზანე მდელისა და ხეებს, რომელთა გამო ს აცემინებდა და თვალები ეცრემლებოდა. სანამ საუ- სრი აღტაცების შეეცებოდა, ქალები ჭორაობდნენ ლუ- ს ფრიდმანისა და ფრენკის შესახებ. რომელმა მთავანმა ეჭა ეს? რომელმა მთავანმა შენიშნა: "ლოთი ფრენკი გი- ეოთი დაატრელებს მანქანას და, საბოლოო ანგარიშში, იმეს იბსვერლებს?"

"შემდეგ ტრიშმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც "ლექ- იას" მივახსავსებ, მაგრამ სიზმარში ვიცოდი, რომ ტრი- ში არ გამოთქვამდა პირველ მარჯვლად და მან, სინამდ- ელებში, თქვა "პოლიცია". ვკითხე, პოლიცია რად გინდა, რას გულისხმობ- მეთქი, და დავეყექა. აი, იქ დავეყექა". სარე უთითებს სკამზე, ტელეფონის მახლობლად.

"უფროსში ვერ არავფერი ისმოდა, შემდეგ კვლავ გა- ეიცინე ნანყვეტ-ნანყვეტ სიტყვები და აღსუქუნი, რამაც ენალამ გამაგებია. მაგრამ ბოლოს ტრიშმა მკაფიოდ თიხრა "ნომერი". ვიცოდი (ისევე როგორც ვიცოდი, რომ ეს ცდილობდა, ეთქვა "პოლიცია"): ტრიში მერუბნებოდა, რომ პოლიციიდან დაურეკეს, რადგან იქ არ ჰქონდათ ცენი ტელეფონის ნომერი".

გაოცნებული ჯენტი თავს უწევს ქმარს. ორი წლის წინ ცოლ-ქმარმა სიებიდან ამოაშლევინა მათი ტელეფო- ნის ნომერი, რადგან რეპორტიორები ხშირად ურეკავდ- ნენ ჰარვის (ჩვეულებრივ სადილის დროს). მაგრამ განა პოლიცია ვერ მიაკვლევდა აღსულებზე ნომერს? ალბათ, როდესაც პოლიციელებს ეჭვარებათ რაიმე ფაქტის სასწ- რაფოდ დადგენა, ისინი ამაზე დროს არ ხარჯავენ. გარ- და ამისა, სიზმრები ხომ ლოგიკით არ გამოირჩევა? სიზ- მრები არაცნობიერიდან ამოტივტივებული პოეზიაა.

აფორიატებული ჯენტი გარეუ გადის და უფურებს ქუჩას, რომელიც "ამერიკული ოცნების" ერთგვარ ვარი- ანტს წარმოადგენს. რა წაწარია ეს დილა! ბალახზე ნაპი კიაფობს. მაგრამ ქაღს გული გამალებით უფერს, სახე კი ოღლით აქვს დაცვარული. მას სურს უთხრას ქმარს, განუდგოდო. ჰარვიმ არ უნდა მოჰყვეს ეს სიზმარი, ეს შემ- ხარავი სიზმარი. ჯენტიმა უნდა გაახსენოს ქმარს, რომ ამავე ქუჩაზე, ცოტათი ქვემოთ, ცხოვრობს ჯენა, რომე- ლიც იქვე, სოფელში მუშაობს და მთელი ღამეების გან- მავლობაში სვამს ფრენკ ფრიდმანის მსგავს ტიპებთან ერ- თად.

"ის ქვითინთ ისროდა ნანყვეტ-ნანყვეტ სიტყვებს", - ამბობს ჰარვი. "შემდეგ მომესმა "შოკლული" და ვიცოდი, რომ ჩვენი ერთ-ერთი ქალიშვილი მოკვდა. ეს ზუსტად ვიცოდი. დაიღუბა არა ტრიშმა (რადგან ის ტელეფონით მელაპარაკებოდა), არამედ - ჯენა ან სტეფანი. ელდა მე- ცა. ვფიქრობდი, ნეტავ, რომელი-მეთქი, და ავეყრიდი: "მითხარო, რომელი მითხარო, რომელი ლევისა გულისათი- ვის, ტრიში, მითხარო, რომელი!" და მაშინ სიზმარში გა- მიჰქონა რეალურმა სამყარომ".

ჰარვი ოღნავ იღიპის. დილის მზის ელვარე სხივებში ჯენტი ხედავს ნოთელ ლაქას ფრენკ ფრიდმანის "ვოლ- ვოს" ჩანაწნეზე, რომელიც ერთ ადგილას ჩამოუქებულია. ეს შეიძლება იყოს ტალახი ან თმა. ქაღს წარმოუდგება ფრენკი, რომელიც დილის ორ საათზე პირუდნება შინ და იმდენად მივრალია, რომ მანქანა ენოსიც კი ვერ შემ- ყავს, გარაჟზე რომ არავფერი ვთვიათ.

"მივხვდი, რომ სანოლში ვინექი, მაგრამ კვლავ ჩამე- მოდა ჩახლქილი ხმა, რომელიც ჩემსას არ ჰგავდა და სრულიად ვერ გამოთქვამდა სიტყვებს. "თხარი, მელი, თხარი, მელი", და კვლავ: "თხარი, მელი, იში". მითხარი, რომელი მითხარი, რომელი, ტრიში!

ჰარვი ჩუმდნება. მის თავთან მტვერი ლცლიცებს. მზის სხივებში ქათბოებს თეთრი მახსურა.

"ვინექი და ვუცდიდი, როდის ჩახვდოდი ქვემოთ, როდის გაიგებდი, რა მოხდა", წარმოთქვამს კაცი ბოლოს.

"მარტოლებდა. თავს ვარწმუნებდი, ეს მხოლოდ სიზმა- რია-მეთქი, მაგრამ იმისაც ვეფიქრობდი, რომ სიზმარი ძალზე რეალური, გასაოცარი, თავზარამცემი იყო". ჰარ- ვი კვლავ წყევტს თხრობას და ფიქრობს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უთხრას ცოლს დანარჩენი. ის ვერ ხედავს, რომ ქალი აღარ უსმენს ჯექი ახლა მთელი ძალ-ღონით არწმუნებს თავს, რომ "ვოლვოს" სისხლი კი არ ამწვია, არამედ - ტალახი. "ტალახი" ის სიტყვაა, რომელსაც არაცნობიერი ძალზე სწრაფად კარნახობს ქაღს.

"საინტერესოა, რამდენად შორს მიდის ფანტაზია", - ამბობს კაცი. "ამგვარი სიზმარი წააგავს პოეტის (ქუშმარ- ირტი პოეტის) მიერ დანახულ ლექსს. ყოველი დეტალი იმდენად მკაფიო და ნათელია..."


ჰარვი დუმს. სამზარეულოს მზე და მტვერი ეუფლუ- ბა. გარეთ ყველაფერი უცვლელადაა. ჯენტი უყურებს "ვოლვოს". როდესაც გაისმის ტელეფონის წვრილი, ქაღს სურს, დაივიროს, მაგრამ სუნთქვა ეკვრის, სურს, ყურებ- ზე ხელები აიფაროს, მაგრამ ხელების აწვეის ძალა არ შესწევს. ჰარვი მიდის ტელეფონთან, რომელიც განუწყ- ვეტელი წვრილებს.

ალბათ, ნომერი შეეშალათ, ფიქრობს ჯენტი. ეს ასე უნდა იყოს, რადგან მოყოლილი სიზმარი არასრდეს ახ- დება.

ჰარვი ამბობს: "გისმენთ?"

ანგლისურადან თარგმანა

მანან, ლომიძე



წიგნაკრები

ნაციონალური მისტიციზმი ეკლესიასა და სახელმწიფოში

საქველური საქველურთა ჩამონათვალში

კარლამენტარმა გურამ შარაძემ, როდესაც იგი "ღამის კურირში", 11 ივლისს, პრეზიდენტის კანცელარიის უფროსს - პეტრე მაშრაძეს ეპაექრებოდა, გაისენა კრებული "ეკლესია და სამოქალაქო საზოგადოება. საქართველო. XXI საუკუნის დასაწყისი", რომელიც "კავკასიურმა სახლმა" 2001 წელს გამოაქვეყნა. მან აღმოთხა გამოთქვა შესავალი წერილის იმ მონაკვეთის გამო, რომელშიც ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვასა და იოანე-ზოსიმეს სახელით ცნობილი ნაწარმოების ლიტურგიაში ჩართვაზე ლაპარაკი შესაძლებელია, ეს წერილი აქვს შედგელოლამ დეკანოზ როსტომ ლორთქიფანიძესაც, რომელმაც გაზეთ "ახალ ეპოქაში" (2003, 12-18.X.136) განაცხადა: "...დღეს მავანი და მავანი მრავალმნიშვნელოვანი მანქვა-გრებით სვამენ კითხვას: რატომ აღიარა ილია საქართველოს დედაეკლესიამ წმინდანად?". ასეთი შეკითხვის დასმის მიზეზად დასახლებულია "ერის უზენაესი ზეობრივი პრინციპების" გაუზარებლობა და "ქრისტიანული ფილოსოფიის" არცოდნა. ამდენად, პატრივტუდული დეკანოზი ოპონენტებს ქართველოლოგიასა და ქრისტილოგიაში ჩაუხედაობას აბრალელებს...

აღნიშნული წერილი ეკუთვნის მწერალ ნაირა გელაშვილს, კრებულის რედაქტორს, მაგრამ ზოგიერთი და, კერძოდ, ზემოხსენებული მონაკვეთის შედგენასა და დავენაზე მე ვმუშაობდი (კრებულის გამოცემისას დაშვებული მექანიკური შეცდომის გამო ჩემი, როგორც შესავალი წერილის თანაავტორის, გვარი არ იქნა მოხსენიებული). ამის გამო თავს ვაღდეულებად ვთვლი, მისი შინაარსისა და მიზანდასახულობის თაობაზე მკერე კომენტარი გაეკეთებ და ჩემი პოზიცია წარმოვსაზღვრავ.

წერილში ჩამოთვლილია ფაქტები, რომლებიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თანამედროვე ცხოვრებისათვის ნიშანდობლივია და რომლებსაც რედაქტორი და თანარედაქტორი, ე.ი. ამ სტრიქონების ავტორი, ეკლესიოლოგიური, ეროვნული, მოქალაქეობრივი თუ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უარყოფითად აფასებენ.

განსახილველ ფაქტს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, - საყვედურს საყვედურთა ჩამონათვალში მე-11 ადგილი უჭირავს. ამ საყვედურის ის ნაწილი, რომელიც ოპონენტმა ტელეთეიმში გაასაზღაურა და რამაც გვედგებება, ასეა ჩამოყალიბებული: "საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მასშტაბით დიდი ნაწილი ეკომიგრება და კარს უსწის პროცენტულ და უმცირესობით აბექტებულ ნაციონალიზმს. მან დააკამყოფილა 80-იანი წლების დისიდენტთა და დიდმორწმუნეობით თავმჯიწონებულ მწერალ-მკვნიერთა მოთხოვნა ილია ჭავჭავაძისა და ცოტენ დანაშაულის წმინდანად აღიარებადების თაობაზე; შემოეშავა რწმენა მშობლიური ერის გამორჩეულობისა და განსაკუთრებულობისა, გაავტეხა იოანე-ზოსიმეს მატერული ნაწარმოები და შემოიღო ისეთი დღესასწაული და საგალობელი, რაც უცხო და მიუღებელია ბიბლიისათვის, საეკლესიო ისტორიისათვის და, ზოგადად, ქრისტიანული მსოფლმშვედველობისათვის. შედგელოლამ გაავტეს ქართული ერის დღესასწაულის შემოღება და "ქართული ერის საგალობლის" ლიტურგიკულ პრაქტიკაში ჩართვა, რაც ძალზე უსწავრიანა..."

დაისმის კითხვები: 1) რამდენად თავსდება საეკლესიო-პაგოგრაფიულ ტრადიციასა და კანონიკის ნორმებში

სენებელი მამულიშვილების წმინდანად გამოცხადება და 2) ქრისტიანული ეორტალოვანი (დღესასწაულთმცოდნეობა), რომელსაც ოსკალუენოვანი ისტორია აქვს იცნობს თუ არა რომელიმე ბუნებითი მოვლენის, მაგალითად, ერის ლოცვისა და ვედრების საგნად გახდომას? ენა კომუნიკაციის, აზროვნებისა და ექსპრესიის საშუალებაა და არა მიზანი, იდეალი. ამის გამო, - დასაშვებია თუ არა მის მიმართ სავედრებულ-სამადლობელი ლოცვების აღლენა? სადაა პრეცედენტი? ეკლესიის ისტორია იცნობს თუ არა მსგავს მოვლენას?

როგორ ბარდაქმნება მოქვდავი წმინდანად?

ეკლესიის და, მით უმეტეს, მართლმადიდებელი ეკლესიის როგორც თეორია, ისე პრაქტიკა დაფუძნებული წიწილზე (ბიბლიაზე) და საღვთო გადმოცემაზე, რის გამოც მოუყველა სიახლე, რაც ეკლესიის საზღვრებში მისაქცევადა განკუთვნილი, შინაგანი კავშირით საღვთო წერილსა და საღვთო გადმოცემას უნდა ეფუძნებოდეს. იგულისხმება: ისეთი ეკლესიოლოგიური მოვლენა, როგორცაა ამა თუ იმ წმინდანის, დღესასწაულისა თუ რელიკვიის კანონიზაცია, საჭიროებს არქტივობის (პირველახის) და-დასტურებას და წარმოქმნას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეკლესიაში მხოლოდ ის სიახლე ჩაითვლება კანონიკურად, რაც წარსულ გამოცდილებაში ჰპოვებს საყრდენ ფესვს და გამართლებას.

ამდენად, ეკლესიის ნომენკლატურულ წმინდანად, საეკლესიო ტრადიციის თანახმად, მხოლოდ და მხოლოდ ის ისტორიული პირი გამოცხადდება, რომლის ბიოგრაფია პაგოგრაფიის კანონიზებულ მოდელს ესატყვისება.

წმინდანობის ინსტიტუციის ძველი და კარგად დამუშავებული წესგანგებანი, განსაზღვრული და შემოფარგლული რეგლამენტი აქვს. ემითები წმინდა (ბერძ. შაგაიოს და ლათ. სანკტუს), როგორც საეკლესიო-კანონიკური ტერმინი, მითითებებს პიროვნების სულისა და ხორცის (გეგამი) განსაკუთრებულ მდგომარეობაზე, სხვათაგან გამორჩეულობაზე, მნიველისა და უკეთურების ჩამოფრთხვაზე, ვნებისა და მიწიერი სურვილების დათრგუნვაზე და ზედამავალი კობის უზენაეს საფეხურამდე მიღწევაზე. ამდენად, წმინდანობა ასკეტიკის სფეროს განვსუტუნება და წმინდანი არის ის, ვინც საკუთარ სულსა და სხეულში ღმერთი დამიკვდრა.

სახარების ენაზე წმინდანის ღვთის შვილი ეწოდება. ისინი (წმინდანები), იესო ქრისტესაგან განსხვავებით, არიან ღვთის არა ბუნებითი შვილები, არამედ მადლით განღმერთობილები (შდრ. იოანე 11-13), იოანე დამასკელის თქმით, - მადლისმიერი ღმერთები. ასე რომ, მორწმუნე



ჩსტანთა სიმრავლიდან გამოირჩევიან პიროვნებები, რომლებიც საკუთარი გადამწყვეტილების თანხმად განღობობის გზაზე დგებიან და ღვთის თანამოქმედების ქცობით ამ იდეალს წუთისოფელშივე ახორციელებენ. ანუ ხდებიან ზვცის კაცები და ქვეყნის ანგლოზები, ჟის ახოვანი მხედრები, რასაც კათოლიკე და სამოცილო ეკლესია აღიარებს და ადასტურებს.

ამა თუ იმ პიროვნების წმინდანობის დასტურყოფას, ქდის დასამსა, და ქქმარიტებს კანონიზაცია ეწოდება, რაც ლათინურად სუფიქსირებული სიტყვაა და დადენებას, დაწესებას ნიშნავს. მას, ისე როგორც ნებისურ ეკლესიურ აქტს, თავისი ნორმა და რიტუალი აქვს, აქ კანონიზაციის პროცესს შამბექტაობას მატებს.

აქ შავიოფელ უნდა ითქვას შემდეგი: ვერც ერთი საეკლესიო კრება, ვერც ერთი სამღვდელმთავრო სისილი ვერც ერთ ადამიანს წმინდანად ვერ გახდის, ვეც იგი თვითგანწმენდისა და თვითამაღლების ზით უკვე ასეთად გამხდარი არ არის. ამდენად, წმინდანები არსებობენ თავისთავად და საეკლესიო ინსტიტუტია მათ სატატუსს, რომელიც თვითონ მიიშუშავენ და შეიძინეს, მხოლოდ და მხოლოდ დასაცხადებს და განმტკიცებს ანუ მორწმუნეთა თვალში ავტორიტეტს შესქნის. კანონიზაცია რეალურად მყოფის, ისედაც არსებულის მოქცევის აღსარულებს. აქედან დასკვნა: გამოთქმა "ეკლესიაშ შურაცხა წმინდანად" არის პირობითი და ზნა შურაცხაშ ამ შემთხვევაში შემოქმედებით აქტს არ გულისხმობს. იგი პირდაპირ (ანბანურად) არ უნდა გავიყოთ. ესა თუ ის პირი წმინდანად კანონიზაციაშ კი არ აქცია, არამედ იგი წმინდანი მანამდე გახდა.

წმინდანობის სამი ძირითადი სახე არსებობს:

ა) ბიბლიური წმინდანები, რომელთა სათავეში ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი დგანან. მათ გვერდით არიან: მამათმთავრები, წინასწარმეტყველები და მოციქულები;

ბ) მონაშეები ანუ, ბერწულად, მარტიკლები (მონაშეები, დამონაშეები ანუ, დასტურყოფლები), რომლებმაც იფეს. ბეგრება სისლი დადვარა;

გ) კეთილმოღვაწენი, რომელთა შორის პირველ რიგში წუთისოფლისაგან განმყოფობული მონაზვნები (მამები და დედები) იგულისხმებიან, აგრეთვე - ეკლესიის მოძღვრები (მღვდლები და მღვდელმთავრები), რომლებმაც ქქმარიტების სიტყვიერად და წერილობითად ჩამოყალიბების გზაზე კანასტორიული ნაბიჯები გადადგვეს. მათთან ერთად კათა სასუფეველები სის ერისმთავრები და მეფეები განისკვნებენ, რომლებსაც ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის. თითოეული დასს, რეჟონატქვამი რომ შეეჯავბით, გამთარჩევს სწმინდს, ზედად მისი წვერები (წმინდანები) ამქვეყნად შეიმოსენ, რადგან ღვთის მცნებებისა და გამწინების შესაბამისად მოქალაქობდნენ.

თქო კონკრეტულად რომ ვთქვათ, წმინდანობა პიროვნების ფსიქიური და სომატური, ე.ი. სამშინველისიული და ზორციელი მხარის გასულიერებას ნიშნავს, რაც, შავიოლოგიური ცნობიერების თანხმად, მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიის წიაღშია შესაძლებელი. თუოზისი (განდწმობა) ანუ ღვთის შვილად ქცევა ქრისტიანული ასეტიზმის ქვაკუთხედი და არ იღვალის სრულყოფის ერთადერთი საშუალება არის იდეალის გზა, რომელიც ან მონაშეობით, ან მონაშეობის ტიტლფასი მოღვაწეობით მთავრდება. ლაბარაკია ისევ და ისევ ეკლესიურ მოღვაწეობაზე, რომლის უმაღლეს ხარისხზე

მყოფობისათვის წმინდანობივია სულიერ-თუერციული ძალის შექნა. ვინც ამ ძალით და მხედველობის უწარმი (მჭერტეკლობით) შეიმოსება, მას კაცთა ბუნების აღმატებული საქმის კეთების უწარიც მიემაღლება, რაც ზოგ შემთხვევაში სასწაულომოქმედებაში ვლინდება, ზოგ შემთხვევაში - წინასწარმეტყველებაში, ზოგ შემთხვევაში - ფიცხელ მარტოობაში, გვაქმის ამა თუ იმ ფორმით განხორწნელობაში და ა.შ. ამიტომაც, რომ წმინდანობის წმინდი საღვაწეუ (ზოგადად, გვაქმის მიერ) მოხდენილი სასწაულებივია.

ვისაც შავიოგრაფიული ტექსტები ნაუკითხავს, დაგვეთანხმება, რომ ეკლესია ამა თუ იმ პიროვნების კანონიზაციის საკითხს ფრთხილად და ფაქიზად ეკიდებოდა. კონკრეტული მონაშისა თუ მოღვაწის წმინდანად ცნობის იდეა მორწმუნეთა, მხოლოდ და მხოლოდ მორწმუნეთა (სამღვდელითა და საეროთა), შორის იბადებოდა, რაზეც ვერდიტეს ეკლესია გულმოდგინე განსჯა-გამოკვლევის შემდეგ განაჩინებდა, - განაწესებდა ხსენების დღეს და დათანხმდებოდა, რომ შავიოგრაფებს საკითხავები და საგალობლები დაენერათ.

რას ნიშნავს "ეროვნული წმინდანი"?

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის განუყოფელი ნაწილი, კანონიზაციის საყოველთაო წესებს განხორციელებს. მან არამც თუ სრულყოფილად აითვისა არ სდევროში მხოლოდ ეკლესიის გამოცდილება (გიორგი მთაწმინდელმა მე-11 ს-ის შუა წლებში სრული თვენი, სცინაქსარი და არაერთი წმინდა მწამისა თუ მოღვაწის ცხოვრება თარგმნა), არამედ ხსენდება და განგებანი ეროვნულ წმინდანებსაც გაწურნა.

"ეროვნული წმინდანი" ქვეშ, არც მტტი, არც ნაკლები, მოქვეყნული ქვეყნის მინაწაღზე მონაშე ამ მოღვაწე პიროვნება იგულისხმება. ეროვნული წმინდანი ექსტაით მცხეთელიც და გრიგოლ ხანძთელიც, თუქცა ეროვნებით პირველი სპარსელი იყო, მყოვე - ქართველი. სახელმწიფოებრივად და, შესაბამისად, ამქვეყნური, "მებრძოლი" ეკლესიის თვალთხედვით ორივე ქართველია, ვინაიდან ქართლის სანაშეებში მოსაგრობდნენ და საქართველოს ეკლესიის შვილები იყვნენ. წმინდანის რანგში ექსტაით მცხეთელიც და გრიგოლ ხანძთელიც ეკლესიურმა ცხოვრებამ და სარწმუნოებისათვის თავდადებაშ აქტისა. ეკვეც ითქმის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა კანონიზებულ წმინდანზე. კანონიზაციის აქტის შინაშეწმობა ამ შემთხვევაში ლიტურგიკულ ხსენებებსა და მოთხრობა-საგალობლებს ენიჭება.

მაყოფელ უნდა ითქვას (თუქცა მთელი ტრადიციის მიხვევებით): ვის შესახებც ქველ ეორწლოგური წესებმსა და კრებულებში შავიოლოგიური მასალა არ დასტურდება, მას კანონიკურ წმინდანად ვერ მიიწვევენ. ეს მასალა ქართულ სინამდვილეში ყველაზე სრულყოფილად და ამომწურვად კათალიკოსმა ანტონ პირველმა შეაჯავა. მან XVIII ს-ის 40-50-ანი წლებში დიდი მასშტაბის არქეოგრაფიული სამუშაო ჩაატარა და შეადგინა სადღესასწაულო თვენი და ტრიოდიონი (საგალობლებისა და სცინაქსარული საკითხავების კრებულები), რომლებშიც თავი მოუყარა მასალის მთიქმის ყველა ეროვნული წმინდანის შესახებ. ეს კორპუსი დღეს შევსებული და დაზუსტებული არადაგან XIX-XX სს-ში ბეგრის ისეთი წერილობითი ძეგლი გამოვიდინდა, რაზეც ანტონ პირველს ხელი არ მიუწვდებოდა. საკითხით დანტრქესებული

საზოგადოებრიობისთვის ცნობილია ენრიკო გაბიძაშვილი-ს შემჯავებელი ნაშრომი "ქართველ წმინდანთა და აღმსარებელთა კალენდრის შესახებ", რომელიც პირველად "საღვთისმეტყველო კრებულში" დაიბეჭდა (1981.#5; გამოდიოდა შიდაობმხარების წესით). გამოკვლევას ერთ-ერთ "ძველი საქართველოს წმინდანთა და სინონიმთა კალენდარი", რომელიც ხელმოვრედ საქართველოს საპატრიარქოს "ძველი ქართული წერილობითი ძეგლების პაკოლოგიური კვლევის ცენტრმა" გამოაქვეყნა (ხელმძღვანელი ილიშერ ქულიძე) (იხ. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შერთებული კალენდარი, თბ.,2001, გვ.297-302).

ესა ქრონოლოგიის კვალდაკვალ შედგენილი ტაბულა, რომელიც ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ამა თუ იმ პიროვნების კანონიზაციის საკითხში ჩვენი წინაპრები დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ. მათ წმინდანებად არ შეირაცხეს ისეთი დამსახურებული და ვნებული მუშევრები კი, როგორებიც არიან: პირველქვისტიანი მირიანი, ვახტანგ გორგასალი, აზოტ კურაპალატი (არაბების მიერ საკურთხევალსა ზედა მოკლული), დიმიტრი თავდადებული, აგრეთვე - საეკლესიო მწერლები და მოძღვრები: ეფრემ მეორე, არსენ ივალთოელი, იოანე პეტრიანი და სხვა. ისინი არასდ, არც ერთ ლიტურგიულ ძეგლში, წმინდანებად მოხსენიებულნი არ არიან. მეტიც - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამოციქულო საეპარქია წმინდანთა დასში შეფეთმეფე თამარის კი არ შურცხა. წმინდანთა მას შოლოდ XI ს-ის ხელნაწერის (კლარჯული სცინაქსარის) ერთი გვიანდელი მიწაწერი მოიხსენიება, რასაც სხვა საეკლესიო წიგნებში ვეღარ ვხვდებით. ეს ნიშნავს, რომ საეკლესიო იერარქიამ, თვით ანტონ კათალიკოსამაც კი, თამარ მეფის წმინდანობა არ აღიარა (კალენდარში იგი XIX ს-ის მეორე ნახევარში შეიყვანეს ბევრ სხვა ისტორიულ მოღვაწესთან ერთად).

მინ წამოაყმანა ილია ჭაჭავაძისა და ცოტნა დადიანის პანონიზაციის იდეა?

ილია ჭაჭავაძე ერის მოქირანახულე მამა და წინამძღვარი იყო. იგი მართლმადიდებელთა ოჯახში დაიბადა და აღზარდა. მისი მსოფლმხედველობა და მხატვროლესთეტიკური პოზიცია ბიბლია და საეკლესიო ტრადიციის საფუძველზე ჩამოყალიბდა, რასაც ბიოგრაფები და მკვლევრებიც ადასტურებენ (იხიენი სიტყვა "ბიბლია ილიას ცხოვრებასა და შემოქმედებაში": ჟურნ. "სიტყვა", 1998, #1). თვალსაჩინო სიტყვა მან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეშიც თქვა, მაგრამ საკუთრივ ეკლესიისათვის უფრო საყურადღებო მისი წმინდოებრივი პათოსი და ისტორიულ-ლტერატურული თემატიკის სახარებისეული ანალოზი უნდა იყოს. ამ ფაქტს ქართველმა სამღვდელეობამ იმთავითვე, განსაკუთრებით წინაშორის ტრადიციის შემდეგ, სათანადო პატივი მოაგო, მაგრამ არავის უთქვამს: მისი ცხოვრება და აღსარული წმინდანის ცხოვრება და აღსარულიაო.

მორწმუნებელი ილია ჭაჭავაძის წმინდანად შურცხვის შესახებ პირველად დისიდენტთა შორის გაიხმა, - 1981 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობას, როდესაც ირაკლი ნერეთელი, გიორგი კერეგალიშვილი, თამარ ჩხიეძე, ნანა კაკაბაძე, მარინე კოშკაძე, სოსო ორჯონიკიძე, მარინე ბაღდავაძე, ხათუნა არაბიძე და სხვანი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიმართავდნენ თხოვნით, ილია ჭაჭავაძე წმინდანად გამოეცხადებინა. შესაბამის პეტრიკი-აზე ისინი კათედრალსა და მის გალავანში ხალხს ხელს

ანერინებდნენ. მათ გვერდით იდგა ზვიად გამსახურდია, რომელიც პოლიციამ სვეტიცხოვლის კარიბჭის წინ მანქანაში შეაგდო და დააპატიმრა. მაშინ თბქმეც მანქანას ბორბლებში უწვებოდა, გვერვლიშვილი პოლიციელების ხელდან მსხვერპლის გამოსასხნელად მიიწვედა. მათ მხარი დანარჩენმა აქტივისტებმაც აუბეს და თბილისისაკენ დაიძრნენ ყინით: "ძირს შუგარდნამე, გაუმარჯოს ილია ჭაჭავაძეს!" პოლიციამ ისინიც დააპატიმრა და გაასამართლა. დაიბეჭდა, გიორგი მაშულაშვილის ხელმოწერით, წერილი "შოთინებნასაც საზღვარი აქვს ანუ სულიკნები მორწმუნეთა როლში" ("თბილისის უნივერსიტეტი", 1981, 30.X.#32), რომელშიც ნათქვამი იყო: "მორწმუნე ხულიკნები" მტეთათა "რალაც დოკუმენტს აკონწინებდნენ... "რალაც დოკუმენტში" ილია ჭაჭავაძის წმინდანად შურცხვის მოთხოვნა იგულისხმება (ეს ამბები ვრცლად მიზილოლუია ილიაშვილის სტატიითა "კომუნისტების დროინდელი შავი პარტი": გაზ. "ჯორჯიან თაიშია", 2002, #26,29). დისიდენტების ინიციატივას სოლიდარობა არც საეკლესიო იერარქიამ გამოუცხადა, რის გამოც ისინი პროტესტს გამოთქვამდნენ და უწმინდანე ილია მეორეს დაქინებით მოუწოდებდნენ, ილია ჭაჭავაძე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე წმინდანად შურცხას.

ეს მოთხოვნა, რომელსაც მაშინ პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა, მხოლედ პერსპექტივის ფას დაკმაყოფილდა. 1987 წლის 7 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა ილია ჭაჭავაძე წმინდანად გამოაცხადა.

ცოტნე დადიანის კანონიზაციის სურვილიც საერო სულისკვეთმა წარმოშვა. რეპტორთა საბჭოს და შემოქმედებითი კავშირების საბჭოს სახელით აკადემიკოს როინ მეტრეველმა და მწერლთა კავშირის თავმჯდომარემ თამაზ წიგნებამ 1998 წელს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორეს შემდეგ წინადადებით მიმართა: "დაიხვას საკითხი ქართული ეკლესიის სინოდის წინაშე შესახებ იმისა, რომ საქართველოს უდიდესი ზეობრივი გმირი ცოტნე დადიანი ან და მარადის შურცხულ იქმნას საეკლესიო წმინდანად" ("ლიტსაქ.", 1998, 1-8.V, N18). მიმართვას მხარი პრეზიდენტმა ედუარდ შევარდინამაც დაუჭირა, რასაც დადებითი გამოსაზურებათა მთელი სერია მოჰყვა სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო დანქსეთებებისაგან. წმინდნამ 1999 წლის 26 ოქტომბერს ცოტნე დადიანი წმინდანად გამოაცხადა და სხენების დღე 30 ივნისს გაანაჩნა.

რა ვიციტ ცოტნე დადიანის ქრისტიანულ-ეკლესიური რწმენისა და მოსაზრების შესახებ? ის, რასაც ვთხოვად მწერელი გავუწყვს, რომ ცოტნე დადიანი, "კაცი წარჩინებული და სათნოიანი", ანტიმონოლოური შეთქმულების ერთ-ერთი თაოსანი, თანამებამულეთა ხედვრის გაზიარებას აპირებდა, ზეობრივი გადანყვეტლების ნიშნშია. ეს საქელივი შემტანანეს სახარების სიტყვებს ასხენებს: "იმ-აზე დიდი ხიცვარული არავის აქვს, როცა ვინმე თავს სწირავს თავისი მეგობრებისათვის" (იოანე 15:13). სხვისთვის თავგანწირვა ერთობ ქრისტიანული ნაბიჯია, მაგრამ არა მხოლოდ ქრისტიანული. ესაა ვაყვაცობა, ზეობრივი გმირობა, რომელიც ქრისტიანსაც და არარქრისტიანსაც, მორწმუნესაც და არამორწმუნესაც თანაბრად აღაფროთვანებს. ქრისტიანული ასკეტიკა არის მეტი, ვიდრე ის, რასთანაც საქმე ცოტნე დადიანის ეპიზოდში გვაქვს. ეს ეპიზოდი საერო ეპიზოდი და ბუნებრივია, რამც ერთმა და ქვეყანამ, ქრისტიანებმაც და არარქრისტიან-



ქმად იგი მოწინებთ გაიხსენებ და იდეალისწაუღონ. ასე ხდებოდა და კვლავაც მოხდება, მაგრამ მისთვის მათოლოგიური ხარისხის მიცემა, თუკი საეკლესიო ტრადიციით ვინმეღმძვინვანებულ, კანონზომიერი მოვლენა არ წდა იყოს იმ უზარალო მიზეზის გამო, რომ მას ეს ხანისი რეალურად არ გააჩნია.

არ მოგვიწონდებოდა ენა, რომ ილია ჭავჭავაძისა და ჟუნე დიდაშის პიროვნებთა ღირსება, ღვაწლი და კვების წინაშე დამსახურება ექვეყნუ დავაყვინთ. მათ სხავთ დიდების შარავანდედი, რომელიც მამულისათვის ავადდებულ ერისკაცთა შარავანდედი, მაგრამ რა საუფუძველი გვაქვს, ამ რა აუცილებლობა, რომ ეს შარავანდედი წმინდანის შარავანდედად გამოვაცხადოთ? თუკი მათ სახეს იმ ფერით გამოვსახავთ, რომელიც მათი სახის რეალური ფერი არაა, განა ეს ან ერთის, ან მეორის უკლს ესიაომენება?

რუს გვხსნავლის

“ქებაი ძართულისა ენისაი”

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თანამედროვე ცხოვრებაში საერო ცნობიერების გახატარებას უფრო მკაფიოდ ენის დღესასწაულის დანესება ცხადყოფის. იგი 1986 წელს შემოიღეს; მიზნულია ლაზარეს შაბათზე და ეწოდება “ქებაი და დიდებთა ქართულისა ენისაი”.

ლიტერატურულ წყაროდ აღებულია ამავე სახელწოდების შესხმა, რომლის შინაარსი ასეთია: ქართული ენაში შენახულია საიდუმლო. იგი (ეს ენა) მძინარეა, მდბაბლი და აქუნუნებული, მაგრამ მას ლაზარეს მცავსი მოძაველი აქვს - მეორედ მოსვლის ჟამს იესო ქრისტეც აღადგენს და მტტიც, იგი ყოველ ერს ამ ენით გაასამართლებს. ხელნაწერები, რომლებშიც ეს თხზულება დაცული, დაკრძობიებულია X ს-ის ცნობილი არქეოგრაფისა და მწერლის იოანე-ზოსიმეს სახელიან. დღეს მკვლევართა უმრავლესობა მას ამ ნაწარმოების გადამწერად მიიჩნეს და, შესაბამისად, ტექსტს ადრეული ეპოქის ძეგლად რაცხს. ეს ფილოლოგიის პრობლემაა. ჩვენთვის არასებობა მწიგნულობა შემდეგ გარემოებას აქვს: იდეა და მხატვრული ხერხი, რაც “ქებაი“-ს საფუძველია, ქართული მწერლობის ისტორიაში სრულიად უცნობი და უპრეცედენტია. ჩანს, ეს იდეა იმ ლიტერატურული სკოლის საზღვრებს არ გაცოცლებია, სადაც აღმოცენდა, მაგრამ დამბევრებთი ვერ ვიტყვი, თუ სა, რომელ წერილში იგი აღმოცენდა (სინაის მთაზე?). საზოგადოებას ამ ნაწარმოების გაცნობის შესაძლებლობა მაშინ მიეცა, როდესაც ალექსანდრე ცაგარელმა სინაის მთაზე მოპოვებული მასალები გამოქვეყნა. ეს 1888 წელს მოხდა, მაგრამ მის პუბლიკაციას არც საერო და არც სასულიერო წრეებში დიდხანს შესამწევი რეაქცია არ მოჰყოლია. ამ ძეგლის მიმართ არაჩვეულებრივი ინტერესი მხოლოდ XX ს-ის 70-80-იან წლებში გამოვლინდა და ჩამოყალიბდა აზრი ჩვენი ენისა და ერის რჩეულობის შესახებ (“ქებაი“-ს ისტორიულ-ფილოლოგიური, ტექსტოლოგიური საკითხები და მიბოლოარაფია ვრცლად და ამომწურავად იხ.კრებულში “ქებაი და დიდებთა ქართულისა ენისაი. ქებაი ქართულეთი და ქართულეთა ენისაი”, 2000).

საეკლესიო პრესაში ამ თემაზე სტატია პირველად ჩვენ გამოვაქვეყნეთ - “და ესე ენაი შემკული და კურთხული სახელითა უფლისათა” (“ჯვარი გზისა”, 1979, N1). სათაური მიგვიანწნებს, რომ “ქებაი“-ს ტექსტს მაშინ ჩვენც ისე ვკითხოვდებით, როგორც გვერი სხვა და სწორედ ასეთი ნაკითხვა აღგვაფრთხილებდა.

ყოველივე “ქართულის” ბუნებითად გამორჩეულობისა და აღმბატებულიების წრწენა ეროვნულ-განმთავისუფლებული მოძრაობის კვლადაკვლ ღრმადებთა და უფერ შემთხვევაში უცნაურსა და უკუღმართ ფორმებს იღებდა. ასეთმა წრწენა-წარმოდგენებმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლეს იერარქიაში შეაწინა და სინოდს ამ დღესასწაულის შემოღება შთააგონა. ასეც მოხდა; “ქებაი“-ს ტექსტის მიხედვით საეკლესიო საგალობელი შეითხსა (კომპოზიტორი იოსებ კეკელიძე), რომელიც საღვთსაწალო ლიტურგიაში ჩაერთო. პატრიოტიზმით თავმოწმწრ ადამიანები ეროვნული სამკვდელობის მიმართ მადლიერებით განწყენენ. გაწნდა ილუზია და ბევრმა ირწმუნა, რომ აზრი ქართული ენის განსაკუთრებული მისის შესახებ მართლმადიდებლური მოძღვრების შემადგენელი ნაწილია და აქ სადავო თითქოს არაფერია. მაგალითად, ქართული ენის პრინციპისა და “თვისობრივი აღმბატებულობის” წრწენა აკადამიას გამყრელიძესაც მართლმადიდებლური სარწმუნოების ნორმად წარმოუდგენია (კათოლიკურისგან განსხვავებით) (“ლიტსაქ”, 1998, 13-20.III, N11). ამ შედეგულობის გაღრმავებას ცდილობს ზემოდამოწმებული კრებულის შემდგენელ-რედაქტორი და ერთ-ერთი ავტორი ტარიელ ფუტყაძეც. ამასთანაზრებს არა ერთი და ორი სასულიერო პირი მბავინინანაც კი ქადაგებს. და ი, სრულიად მოულოდნელად გამოქვეყნდა ზადებუთის წერილი “თამაში ყალიბი მარგალიტებით” (ჭ“არილი”, 2000, N7), სადაც აღნიშნულია ტექსტი, რომელიც საქართველოს საეპიტარქიაში ბოლო დროს ღამის საღვთო წერილს გაუთანაბრა, შეიცავს უკიდურესად მწვალებლურ, ანტიმართლმადიდებლურ, ანტიქრისტიანულსა და, მაშასადამე, მაგნებლურ იდეას, რომელსაც დღევანდელ საქართველოში, ერსა თუ ბერში, გასავალი აქვს. ავტორის თქმით, “ჩვენი ფილოლოგიური მეცნიერება წამოყვებულია საცდურზე, ასეც ეკლესია, რაც სავალალოა”. დასკვნა ასეთია: “რა მოეთხოვება ენა, როცა ეკლესიასაც დაეკარგა კრიტიკურობები, რისი ცხადი დასტური “ქებაის” ლიტურგიკულ-სიტუციოლოგიური ხარისხში აყვანია. ამის შედეგად აღარ უნდა გვიკვირდეს, როცა საერო დანესებულებთა ინიციატივით ისტორიულ პირთა კანონიზაცია ხდება”.

ეს დაუნდობელი შეფასება პირადად ჩვენ მეორე უკიდურესობად მიგვაწინა და ვთვლით, რომ თავად “ქებაი” კი არ შეუცავს მწვალებლურ აზრებს, არამედ ის ინტერპრეტაცია, რომელიც მისი ტექსტის ანბანური კითხვისა და აღქმის შედეგად ყალიბდება. ჩვენ ვთვლით, რომ ამ ნაწარმოებში საკმე გვაქვს აზრის აღდგომულად გამოთქმის მეთოდთან, რაც სათავეს ბობილიდან იღებს. მაგალითად: ძველი აღთქმისეული გამოთქმა ისრაელის რჩეულობის შესახებ ახალი აღთქმის თვალთ წმინდანწყლის ერსია, ფილტვური მწვალებლობა, თუკი მას პირდაპირ გავიგებთ და შორს აღარ წავაღვ. ეგვიპტეის თანამად, “ქველი ისრაელი” არის წინასწარი უწყება, წინასახე “ახალი ისრაელისა”, რომელიც სინამდვილეში ერთ რომელიმე ერს კი არ გულისხმობს, არამედ - ეკლესიას, ახალ ერს, ახალ იერუსალიმს. ქართული ენის ქრისტეს ენად, იმავე ესქატოლოგიურ ენად, წარმოსახვა სხვა არაფერია, თუ არა იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ ეს ენა და ხალხი, ვისთვისაც ეს ენა მშობლიური ენაა, ეპირსტიანდა; მოხდა ქართული ენის ქრისტიანიზაცია და ლიტურგიაზაცია. ამიტომ: რადან ქართული ენა საღვთო ლიტურგიაში ენაა, იგი უკვე იმ რეგისტრშია აღზევებული, სადაც ყველა ლიტურგიკული ენა ერთიან-

დება და მთლიანდება, იქ წილი ქართულსაც უდევს. აღწერულ საკითხზე ჩვენი თვალსაზრისი შედარებით ვრცელად გამოთქმული გვაქვს გაზეთში "კაბლაშია" (2001, N1) და აქ სიტყვის გაგრძელების აუცილებლობას ვერ ვხვდებით.

ფაქტად ვთვლით: "ქებაი ქართულისა ენისა"ს შინაარსი ძნელად გასაკებია, რადგან სიღრმისეულ შრეებსა და დაფარულ აზრებს შეიცავს. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს ხოტბა მკითხველთა ფართო წრისათვის არ იყო გასაკუთრელი, მით უმეტეს, - ლიტურგიისათვის, არც საზოგადო და არც კერძო მსახურებისათვის; მას საგალობლის ფუნქცია არ ჰქონდა. ესაა ინდივიდუალური ხედვისა და სტილის ნაყოფი. ალბათ ამიტომ ვერ მოიპოვა მან პოპულარობა და, ვიმიერებით, ერთი კონკრეტული მონასტრის კედლებს ვერ გასცდა.

დაისმის კითხვა: მიზანშეწონილია თუ არა, საყოველთაო მსახურების შემადგენელ ნაწილად ვაქციეთ თხზულება, რომელიც მკითხველთა შორის ამდენ აზრთა სხვადასხვაობას და შესხლა-შემოხლას იწვევს?

ენა არაა პირველად, სუბიექტი, თავისუფალი ნებისა და არჩევანის მქონე არსება. ამის გამო მას ვერაფერს შევთხოვთ, ვერც შევაცემთ და ვერც დავაჟმნათ. იგი ადამიანთა ინსტრუმენტადაა შექმნილი (შდრ. მდ.2:19-20) და ჩვენ გვემსახურება. ენის გასულიერება (პერსონიფიკაცია), ისე როგორც ბუნების, მხოლოდ და მხოლოდ პოეზიის ერთბაშად შესაძლებელია, რაც ესთეტიკის სფეროს განეკუთვნება და არა ეკლესიოლოგიას.

ამასთანავე, დღესასწაული და, კერძოდ, საეკლესიო, სულიერად აღმატებული მოვლენის გახსენების ნიშნავს (სიტყვა "დღესასწაული" ხომ "სასწაული", რაღაც ნიშნის აღბეჭდვად დღეს გაულისხმებს?). რა ფაქტს გვახსენებს ქართული ენის დღესასწაული? გაუგებარია. ამიტომ ვართ იძულებული, რომ ვაღიაროთ - ენის დღესასწაულის ეკლესიაში გამოჩენა უპრეცედენტო და უჩვეულოა.

მკლამის, პირი და სახელმწიფო

მოვლენა, რომლის კერძო შემთხვევებზეც ვსაუბრობთ, შეიძლება ასე დასათურდეს - ნაციონალური მისტიციზმი ეკლესიაში. ეს იგივე ფილტვიზმია, - ერთგვარი ერესი, საბიფთო როგორც ეკლესიისათვის, ისე ეროს და სახელმწიფოსათვის. ამ დროს კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაში კათოლიკე და სამოციქულო ცნობიერება კნინდება, რის ხარვეზზე პროვინციულ-ეროვნული ცნობიერება შლის ფრთებს. ამის ერთ-ერთი გამოვლილებაა საეკლესიო და საერო სინამდევების ერთმანეთში აღრევა, უფრო სწორად - საკურალიურის დესკალიზაცია, პროფანაცია, მეტად რომ დაფავონკრეტო, - საეკლესიო მოვლენებისათვის ეროვნული მნიშვნელობის თვითწიურად (ხელაფნარად) მიჩნევა და პირუკუ: ჩვენ საქმე მხოლოდ შემთხვევასთან გვაქვს, - პროფანულის საკურალიზაციასთან, როდესაც ეროვნულ ღირებულებებს ეკლესიური შეფრთხობა ქცევა და ეკლესიურ ღირებულებებსადაც ცხადდება, მაგრამ უშედეგოდ, რადგან ეს მზარე მათთვის მთავარი და არსებითი არაა.

ეროვნული თემების, მოტივებისა და განწყობილებების ეკლესიაში შეჭრა, კერძოდ, საერო ისტორიული პირობის (თუნდაც გმირების) და ენის საკურალიზაცია როგორც ეკლესიას, ისე სამოქალაქო საზოგადოებას უქმნის პრობლემებს. ეს პრობლემები ერთბაშად არ შეიარაღება და მათ სიმწვავეს ყველა ვერ განიცდის, მაგრამ მოშავალში, კრიტიკულ მომენტში, ისინი უსათუოდ მამოყოფენ თავს.

ფილტვიზმის შედეგი პირველ რიგში არის ის, რომ ადგილობრივი ეკლესია მსოფლიო ეკლესიის მაჯის-ცემას ჩამორჩება, ხოლო ერი და სახელმწიფო, რომელიც, როგორც წესი, არაა მონოთეონური და მონოკონფესიური, შიდაშლილობის ქაოსში გახვევია. ამის საუკეთესო მაგალითი, პოლიტიკური თვალსაზრისით, ბიზანტიისა და რუსეთის იმპერიის ისტორიაა ხაზლავთ.

რბ მოვლენის ნინაშე ვდგავართ დღეს?

აშკარა ეკლესიისა და სახელმწიფოს, ეკლესიისა და ერის ერთმანეთში გათქვევის მცდელობა, რაც ბღალავს და ენებს როგორც სარწმუნოებისა და ეკლესიის, ისე ერისა და სახელმწიფოს ბუნებას. ისინი სხვადასხვა წარმომავლობის მოცემულობებია. პირველი (სარწმუნოება და ეკლესია) ზეციური მოვლენაა და სტატუსი წუთისოველია, მეორე (ერი და სახელმწიფო) - ამაჟვერის მკვიდრი და ზეციური სტუმრის მასპინძელი. მათი ურთიერთობა განაკცხებული დემოკრის ორი ბუნების ურთიერთობას ჰგავს. იესო ქრისტეს პიროვნებაში ორი ბუნება, ორი საწყისი - ღვთაებრივი და ადამიანური - სუფევს ურთიერთშერწყნმულად, თუმცა ურთიერთდაპირისპირებლად. ესაა დიოფიზიტობა (მონოფიზიტობის საპირისპიროდ). მისი სიღრმისეული ანალიზი უდევს საფუძველად ქრისტიანთა არჩევანს დემოკრატიის სასარგებლოდ. იდეალურია ის ვითარება, როდესაც ეკლესია და სახელმწიფო, ეკლესია და ერი (როგორც ხალხს ისტორიულ-პოლიტიკური ერთობა) ერთმანეთისაგან გამოჯუნულია დაუპირისპირებლად. ასეთ ვითარებას სიმფონია ჰქვია, რომელიც ირღვევა მაშინ, როდესაც დიოფიზიტობას მონოფიზიტობა ცვლის, როდესაც ორი სხვადასხვა ბუნება, ორი სხვადასხვა მოვლენა ერი (იგივე სახელმწიფო) და ეკლესია - ერთმანეთს ფარავს, როდესაც ისინი ისე შეერწყმიან ერთმანეთს, რომ ორიდან ერთი წარმოიქმნება. ასეთ შემთხვევაში ორივე ბუნება ზიანდება და ზარალდება.

ქართველები XXI ს-ის დასაწყისში არასასურველი რეალობის ნინაშე ვდგავართ, რომელიც, ჩვენი შთაბეჭდილებით, დღემდე თვითდინებაზეა მიშეუბლი.

ვეულისხმობთ ეკლესიისა და სახელმწიფოს ფუნქციანთა ერთმანეთში აღრევას. ეროვნულ გმირებს და სახელმწიფოებრივ დღესასწაულებს ეკლესია წინმდინებად აცხადებს ან სინამდევთა შარავანდედით მოსავს და თავის საზღვრებში აქცევს, სახელმწიფო კი წინმდინაწლის საეკლესიო დღესასწაულებს საყოველთაო დღესასწაულის სტატუსს ანიჭებს და არამართლმადიდებლობა და არაქრისტიანებისთვისაც უქმედ აცხადებს. ხელისუფლების მიერ განსაზღვრული რელიგიისადმი განსაკუთრებული და ავთორიტეტული ყურადღების გამოვლენა, როგორც წესი, სხვადასხვა ეთნოსისა და კონფესიისგან შექმნილ სახელმწიფოში თანხმობისა და მშვიდობის პროცესს ამახრუტებს და დესტრუქციულ როლს ასრულებს. ერთიმობა საერთო პრინციპების, საერთო თემების, საერთო იდეალების ძიებასა და ნახალების მოთხოვს.


საპირისპირო ვითარება სახელმწიფოს კატასტროფას უქაძის.

თუკი საერო მმართველობის ზედაფენა და საეკლესიო იერარქიამ ამაჟამადი და მოსალოდნელი პრობლემების სინამდევს არ გააცნობიერა, არც ძვეყნას და არც ეკლესიას თავსატეხი არ დაეღვევს.





<http://www.opentext.org.ge/arili>

გადასაღებია
HERE 



1-50

"სრეტი"

სპ 79/7



ახალი
გამომცემლობა



ახალი
წიგნები